

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

# არნოლდ ჩიქობავას საკითხავები

XXXI

2020 წლის 17-20 ნოემბერი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი  
2020

სამეცნიერო სესია გაიმართება არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის **სხდომათა დარბაზში** (პ. ინგოროყვას ქუჩა №8, მეორე სართული).

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი  
მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **ვ. შენგელია**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

# მ უ შ ა ო ზ ი ს გ ე გ მ ა

17 ნოემბერი, 11 საათი

თავმჯდომარეები: **ნ. მაჭავარიანი, კ. მარგაანი**

- ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. 93-95
- თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, ატრიბუტულ-პოსტპოზიციური მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმებისათვის ახალ ქართულში
- მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართულის CVCC ტიპის **ქელქ**- ფუძის წარმოქმნის ერთი შესაძლო გზა
- გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, იოსებ ყიფშიძე და ქართული მართლწერა
- ე. გ ა ზ დ ე ლ ი ა ნ ი, ნათესაობის გამომხატველი ზოგი ტერმინის შესახებ სვანურში
- თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, ზოგი სიტყვათშეხამების დამკვიდრებისათვის საკანცელარიო ენაში
- ს. ო მ ი ა ძ ე, „პიკნიკი თუ არიფანა“ – იოსებ გრიშაშვილის ერთი შენიშვნის შესახებ
- ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, ზმნისართები სვანურ ტოპონიმებში
- ა. ბ ა ს ი ლ ა შ ვ ი ლ ი, რამდენიმე ქართველური ფუძის ეტიმოლოგიისათვის უდიური ენის მონაცემთა გათვალისწინებით

## 18 ნომბერი, 11 საათი

თავმჯდომარეები: **მ. დლონტი, ნ. არდოტელი**

- ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, გარდაქცევათობის -ს სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა აფხაზურში და მისი კავშირი საერთო იბერიულ-კავკასიურ შესაბამის ოდენობასთან
- ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი, რ. ქ უ რ დ ა ძ ე, მ. ლ ო მ ი ა, ნამყო დროის მიმდევობების სემანტიკური და ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების საკითხები ქართველურ ენებში
- თ. ლ ო მ თ ა ძ ე, რუსულენოვანი ებრაელები საქართველოში
- ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, ერთი იშვიათი დერივატისათვის შატბერდულ კრებულში
- რ. ლ ო ლ უ ა, მოსაზრება მამტოცის მიერ ქართული და ალბანური დამწერლობების „შექმნის“ შესახებ ცნობის გაჩენის დროისა და წყაროსთან დაკავშირებით
- ც. ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა, მეგრულში ნასესხები რამდენიმე სიტყვის სემანტიკისთვის
- ნ. ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ზოგიერთი ფიტონიმის დაზუსტებისათვის
- ბ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ბარბარიზმების საკითხისათვის თანამედროვე ქართულში
- მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა, **შიგა, შიდა** მორფემებიანი კომპოზიტების მართლწერისათვის

## 19 ნოემბერი, 11 საათი

თავმჯდომარეები: **ლ. ქაროსანიძე, რ. ფარეულიძე**

- მ. ლ ლ ო ნ ტ ი, მიზნის აღმნიშვნელი ლექსიკისათვის ძველ ქართულში
- ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, საბრუნებელი სახელის ფუძის შესახებ დიდოურ ენაში
- ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა, განუსაზღვრელი ოდენობის აღმნიშვნელი სახელები მეგრულში
- მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, ნასესხები რელიგიური ლექსიკური ერთეულების შემცველი სვანური ჰიბრიდული ტოპონიმების ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ადაპტაციისათვის
- მ. ბ უ კ ი ა, აფხაზიზმები იოსებ ყიფშიძის „მეგრულ-რუსულ ლექსიკონში“
- ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე, „კვანჩხა“, „კვანჩხი“, „კონჩხო“ სიტყვების წარმომავლობისათვის
- მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, „მეტაფორის ალქიმია“ და მეტალინგვისტური რეფლექსია შოთა ნიშნიანიძის უცნობ ბელეტრისტულ პოემაში „ყვავები“
- ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, ჩართული სვანურში

## 20 ნომბერი, 11 საათი

თავმჯდომარეები: **მ. სუხიშვილი, ვ. შენგელია**

- ი. ჩანტლაძე, რ. იოსელიანი, ჩოლურული მასალა ნიკო მარის სვანურ-რუსულ ლექსიკონში
- რ. ფარეულიძე, მიმართულების გამოხატვის თავისებური შემთხვევები ჩეჩნურში
- ლ. ქაროსანიძე, პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონის ახალი გამოცემისათვის
- ლ. აზმაიფარაშვილი, ძალის სიტყვის შემცველი გამონათქვამები ეთნოგრაფიული სინამდვილის კონტექსტში
- ქ. დათუკიშვილი, თანდებულისი თანამედროვე ქართულში
- ლ. კელაურაძე, ჟ ფონემის რეკონსტრუქციისათვის საერთო-ქართველურში
- ნ. ციხიშვილი, გერმანიაში დაცული ქართული ხელნაწერები
- ს. ჭაავა, აფხაზეთის საჯარო სკოლების აფხაზური ენის მასწავლებლების ენობრივი კომპეტენცია

**ძალლი სიტყვის შემცველი გამონათქვამები  
ეთნოგრაფიული სინამდვილის კონტექსტში<sup>1</sup>**

ვაჟა-ფშაველას მოეპოვება საყურადღებო ეთნოგრაფიული და-კვირვება მცირე შენიშვნის სახით, რომელიც შეეხება ერთ მონაკვეთს სოციოლოგ მ.კოვალევსკის ნაშრომისა „კანონი და წეს-ჩვეულება კავკასიაში“<sup>2</sup>. ვაჟა აღნიშნავს: „ამბობს რა კოვალევსკი იმას, რომ ზოგი ცხოველები არიან შექმნილნი არიმანისა და სხვანი ორმუზდისა, ფშავლებსაც შიგ ატანს იმ ხალხში, ინგუშებში ჩაჩნელებსა და ოსებში, რომელნიც მოვალესთან მიიყოლებენ ძალლს და ეტყვიან: თუ არ გამისწორდი, ამ ძალლს შენს მკვდარს დავაკლავო. ეს ჩვეულება იქნება იყო ფშავში, მაგრამ დღეს ვეღარ ვხედავთ ფშავლებს შორის, თუმცა დედაკაცები კი როდესაც ერთი მეორეს ჰლანძღავს, ეტყვის: „ძალლს ჩავაკლავ შენს მკვდარსაო“ (ვაჟა-ფშაველა 1964. ხაზგასმა ჩემია. – ლ. ა.).

ამ სალანძღავ თუ საწყევარ გამოთქმასთან დაკავშირებული რეალური ეთნოგრაფიული ფაქტის შესახებ შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ხევსურეთში ძველად არსებული ერთ-ერთი ჩვეულების მიხედვით, რასაც ეწოდებოდა **ძალლ-ციცა-თად ცემა**.

„თუ ცილს სწამებდნენ ქალს ან მამაკაცს, ის თავის გასამართლებლად რომელიმე სახლის ბანზე ავიდოდა, ძალლს დაიჭერდა ხელში ან კატას და ბანიდან ხმამალა იტყოდა: „ვინაც მე ქურდობას მაბრალებს (ან ენის მიტან-მოტანას), მაშინ იმის საყურებლად-დ სოფლის საყურებლად ვიძახ, თუ მე ამ საქმეში დამნაშავე ვიყვად მართალ არ ვიყვ, მაშინ ეს ძალლ იყვას ჩემის მკვდრისად, ამ ძალლის სისხლ გადავასხი ჩემთ მკვდართ საფლავზე და თუ არა და ვინაც მე მაბრალებს ტყუილად, მაშინ ძალლ იმის მკვდრისად იყოსა-დ ამის სისხლ გადაესხას იმის მკვდართ საფლავზე“ (მ. ბალიაური, ნ. მაკალათია 1940. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-072).

<sup>2</sup> М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, I, 1890, გვ.102-103.

„ძალს სამჯერ მაგრად ჯოხს დაჰკრავდა და ძალი რომ აწკმუტუნდებოდა, დაუმატებდა: „მტყუნის მკვდართ საფლავზე დამცაწკმუტუნდების ეეს ძალ ეესრ“; თუ კატა ეჭირა ხელში, კატას სამჯერ „დაჰკრავდა“ (დანარცხებდა მიწაზე) და იტყოდა: „ციცა იყოს იმის მკვდრის საპირიკსნო<sup>1</sup>, ვინაც მტყუანი ას“. ხშირად თავის გამართლების დროს ძალს თოფსაც დაჰკრავდნენ (მოკლავდნენ თოფით) და იტყოდნენ: „ემ ძალის სისხლითამ ეზიარებინა, გადაინათლებინა, მტყუნის მკვდრის სულნი“-ო (მ. ბალიაური, ნ. მაკალათია 1940. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

„თუ სოფელში რაიმე დაიკარგებოდა და ვერ იპოვნიდნენ, კატას მოკლავდნენ და ხალხის გასავლელ გზაზე ხეზე ჩამოკიდებდნენ. კატა ქურდის „მკვდართ საწირავად“ იყო მოკლული და ჩამოკიდებული“ (მ. ბალიაური, ნ. მაკალათია 1940. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

ვაჟას მიერ ფშაურიდან მოხმობილი მაგალითი **ძალს ჩაგაკლავ შენს მკვდარსა**, ისევე როგორც **სალიტერატურო ქართულშიც** არსებული მისი მსგავსი **ძალი მიაკვდა სულში** და სხვ. მისთ., წარმოადგენს ოდენ სალანძღავ (საწყევარ) გამოთქმას, ხოლო ხევსურულის მაგალითები იმით არის საყურადღებო, რომ ამ გამოთქმებს აქვს **სარიტუალო დანიშნულება** და რეგულარული სახით ხდება მათი ხმარება სათანადო წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებულ რიტუალში. ამ კონტექსტში ფრიად დამახასიათებელია **ძალი, ციცა** სიტყვათა რეგულარული გამოყენება მკვდართან დაკავშირებით.

საყურადღებოა, აგრეთვე, წესი ძალის მოკვლისა, რაც ხევსურეთში ხდებოდა საზოგადოებიდან ვისიმე მოკვეთის დროს. ამას ერქვა **ძალით მაკვეთა** (ალ. ჭინჭარაული 2005), მაგ., „გამოვიდა ბათაკა, გატენილი თოფით, ძალი ხეზე მიაბა და დაიძახა: „გაიგონეთ კაცმა-დიაცმ, ბერმა ახალმ, სოფლელ-სტუმართ, მტერმა-მოკვეთემ, ცამა-დედამიწამ, ქვამა-ხემ, სულმა, ჯვარმა, რომ ჩვენ ოთხ ძმან თავის ცოლ-შვილით, ორნ დანი უქმარშვილოდ ვიკვეთთ დისწულებს, არ ვატანთ ჩვენ დას ნათელას, რახანც ის მკვდარი ას, ვიკვეთთ სამუდამოდ. ვერც ცოცხლებ შავლენ დედიძმათ სახლების ჭერთ ძირში,

---

<sup>1</sup> ხევს. **საპირიკსნო** „პირისკსნისთვის განკუთვნილი“, **პირისკსნა** „მიცვალე-ბულის დასავლავების შემდეგ ხორცით გახსნილება“ (ალ. ჭინჭარაული 2005).



ვერც მკვდარს მივლენ დედიძმათ მკვდართან, ვერ ჩაეთვლებიან საიქიოს დედიძმათ ანდაბში!“ და მოკლა ძაღლი. ხევსურეთის წესით, როცა ძაღლს მოკლავენ, ხატში ხევისბერი არც საკლავს დაკლავს და არც რიგს უყენებს ჯვარს, სანამ ძაღლის მომკლავი საკლავს არ დაჰკლავს ჯვარ-ჯვარისკარის სამხსნელოს. ბათაკამ და იმისმა ძმებმა ძაღლი გზაჯვარედინზე დააგდეს, რომ ყველას დაენახა. ეს უკვე მძიმე მოკვეთა იყო“ (ნ. ბალიაური 1991).

შეიძლება **ძაღლით მაკვეთილი**-ს შერიგება, რასაც ეწოდებოდა **ძაღლის ვსნა**. ამისათვის დაკლავდნენ საკლავს. ასეთ საკლავს ერქვა **ძაღლის სამხსნელო** (ნ. ბალიაური 1991, ალ. ჭინჭარაული 2005).

ხდებოდა მოკვეთა ძაღლის ცემითაც, მაგ., „აბაკამ, როდესაც ქალი მოიკვეთა, წინასწარ მოიყვანა ძაღლი, დაიყენა ახლო და ყველას გასაგონად დაიძახა: „...მე ის ამ დღის იქით შვილობით მამის-ხლეტავ! გამიგონეთ სრუყველამ! თუ მე ის ჩემ სიცოცხლეში სახლში შამაუშვ, თუნდა კარი-კარ პურის ლუკმათ მაუნდას კრეფაი, მაშინისა ეს ძაღლი ჩემსამც მამა-პაპაის სულისა დამც იქნების, იმთამც ტაბლაზე აწკავწკავდების!“ ამ სიტყვებზე ძაღლს სამჯერ დაარტყამს იმ ძალით, რომ ძაღლმა დაიღმუვლოს“ (ნ. ბალიაური 1991. ხაზგასმა ჩემია. – ლ.ა.). „ძაღლის წკავწკავი“, როგორც ჩანს, ამ წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებულ თავისებურ მყარ გამონათქვამსაც წარმოადგენს, მაგ., „ჩვენის მკვდარ-ცოცხლის შესარცხვენლად ძაღლს ვერ ვაწკავწკავებთ“ (ნ. ბალიაური 1991. ხაზგასმა ჩემია. – ლ. ა.).

ვაჟა-ფშაველას თავის ეთნოგრაფიულ წერილში „ხევსურული ქორწილი“ აღწერილი აქვს ერთი ჩვეულებაც – კატის დაკიდება:

„თუ უჯიშო გვარის ხევსურს გაჰყვა ცოლად ჯიშთან გვარის ქალი, მაშინ ქალის ნათესავები მოიკვეთენ „თესლ-ჯილაგის“ შემბლავ ქალს, „კატას დაუკიდებენ“ – დაურჩობენ იმას, ვინც სახლში გაატარებს ნათესავთაგანი ქალს და იმის ქმარს: „ეს კატა იყო სა იმის მკვდრისა და ვინც შენ სახლში შამოგიტიას, ან შენი ქმარი იმაკეთოს“ (ვაჟა-ფშაველა 1964. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.). კატის დაკიდებას მიმართავდნენ სხვა შემთხვევებშიც. ეთნოგრაფიულ

---

<sup>1</sup> ხევს. **ანდაბი** „რელიგიური შეხედულების თანახმად, ერთი გვარისა და შთამომავლობის სულები საიქიოში გარკვეულ ჯგუფებად – ანდაბებად იყვნენ დაყოფილი. ახლად გარდაცვლილთა სულები თავისი გვარის ანდაბებში ერთიანდებოდნენ“ (ნ. ბალიაური 1991. სიტყვის განმარტება ეკუთვნის თ. ოჩიაურს).

წერილში „ხევსურები (საზოგადო შენიშვნები)“ ვაჟას აღწერილი აქვს, რომ რამე დანაშაულში ბრალდებული ხევსური აიყვანდა კატას, ხეზე ჩამოკიდებდა და ყველას წინაშე წარმოთქვამდა ამგვარ ფიცს: „თუ მე ჩაჩაურის (ანუ სხვა ვინმე იქნება) ცხენ მამეპაროს, ეს კატაიმც იქნების ჩემის მკვდრისადა, ცოცხალისადა, ჯვარისადა, ტაბლისადა, სანთლისადა, წყლისადა, წისქვილისადა, მთისადა, ბარისადა, თუ არა და, ვინც მე უღბით დამწვა-დამდაგა, იმისამც მკვდრისად იქნების, ცოცხალისად, ჯვარისად, ტაბლისადა, მთისადა, ბარისადა, ყველაიმც ღრიბლიან (წაბილწული, შებღალული) იქნებისა“ (ვაჟა-ფშაველა 1964. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

დასტურდება ზოგიერთი ისეთი გამოთქმაც, რომელთა შემადგენლობაშიც ვხვდებით სიტყვებს **მელა** (მაგ., „მ კ ვ დ ა რ თ ა დ ა მ ც გ ი ძ ე მ ე ლ ა ო!“; იხ. ა. შანიძე 1984) ან **ვირი** (მაგ., „ვ ი რ ი მ ც ი ქ ნ ე ბ ის მ ა შ ი ჩ ე მ ის მ კ ვ დ რ ის ა დ, თუ სხვას მიეცით ქალი“, იხ. ნ. ბალიაური 1991. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.). ა. შანიძე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მელას ან ციცას, ვირს, ცხენს, ძაღლს, ერთი სიტყვით, რაც „ყროლია“, ხმარობენ წყევლა-გინების დროს: ციცას მიგიკლავ მკვდარსაო! ჩემს ძაღლს ჩავაკლავ მის მკვდართა ნაწყლჩადმა და მისთ.“ (ა. შანიძე 1984).

ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით აქ დასაზუსტებელია ერთი რამე: ძაღლი და კატა, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ს ა რ ი ტ უ ა ლ ო ცხოველებად გვევლინებიან და მათთან დაკავშირებული გამონათქვამებიც, შესაბამისად, ს ა რ ი ტ უ ა ლ ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ის ა ა, ამიტომ მათ ცალსახად ვერ გავუთანაბრებთ სხვა მსგავს გამონათქვამებს. **ძაღლი** და **კატა** სიტყვების შემცველი ზემოთმოხმობილი გამონათქვამები უბრალოდ ინვექტივა კი არ არის, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, არამედ სათანადო რწმენა-წარმოდგენებითაა გამყარებული და საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებას წარმოადგენს. განსხვავებით, მელა და ვირი, ამ მხრივ, ჩვეულებრივი ცხოველებია და, ამდენად, სათანადო გამონათქვამებსაც არა აქვთ რამე განსაკუთრებული ფუნქცია, გარდა ინვექტიურობისა<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> მაგ., ნ.ბალიაურის თხზულებაში დადასტურებული „ვირიმც იქნების მამი ჩემის მკვდრისად, თუ სხვას მიეცით ქალი“ (ბალიაური 1991) გარკვეულწილად ანალოგიური ჩანს იმისა, რაც თანამედროვე სასაუბრო მეტყველებაში არის ფიცლის ერთგვარი ფორმა, ე. წ. „დაგინება“.

**ძალღი** რომ სალანძღავ სიტყვად გამოიყენება, აძაში არაფერია განსაკუთრებული. ამის მაგალითებს მსოფლიოს მრავალ ენაში შევხვდებით. თუმცა ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო ფაქტს ვაწყდებით ქართული ენის მთის კილოებში (ხევსურულში, ფშაურში, მთიულურში, მოხეურში), სადაც დადასტურებულია სიტყვა **ოთხფეკი**, რაც ა. შანიძის განმარტებით არის: „ძალღი (მორიდებულ საუბარში, თითქმის მხოლოდ ძალღი)“ (ა. შანიძე 1984). მოიპოვება სხვა ანალოგიური სიტყვაც – **მეფარი** „ძალღი (მორიდებულ საუბარში)“ (ა. შანიძე 1984). ფაქტი საინტერესოა, რამდენადაც წარმოადგენს იშვიათ შემთხვევას ქართულ ენაში ცხოველის ევფემის სიტყური სახელდეებისა. სალიტერატურო ქართულში, ამ მხრივ, უპირველესად გვახსენდება **სახედარი** და, ალბათ, **პირუტყვი**. საფიქრებელია, რომ ძალღის ევფემისტური სახელდება მთის კილოებში უნდა გამოეწვია არა მხოლოდ იმ ნეგატიურ და ინვექტიურ კონოტაციებს, რაც მის სახელს ახლავს, არამედ ზემოთ აღწერილ წეს-ჩვეულებათა კონტექსტში **ძალღი** სიტყვის რეგულარულად გამოყენებასაც.

ნოდარ არდოტელი

## საბრუნებელი სახელის ფუმის შესახებ დიდოურ ენაში

(დიდოურ-ქართული სალექსიკონო მასალის მიხედვით)<sup>1</sup>

1. საბრუნებელი სახელის ფუმედ გამოიყენება **სახელობითი ბრუნვის** (resp. **აბსოლუტივის**) **ფორმა** (resp. გაუდიფერენცირებელი ფუმე), რომელსაც დაერთვის სათანადო ბრუნვის ნიშანი.

როგორც ცნობილია, ერთფუმიანი ბრუნების დროს სახელობითი ბრუნვის ფორმა გასდევს ყველა ბრუნვას, ორფუმიანი ბრუნვისას კი I ფუმე მხოლოდ სახელობითში გვექნება, დანარჩენ ბრუნვებში, მოყოლებული ერგაცივიდან ინსტრუმენტალისის ჩათვლით,

---

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: FR-18-3659).

ნაწარმოები (resp. ხმოვნით ან ნაწილაკებით გართულებული) ფუძე გამოიყენება.

2. ახლომონათესავე ენათა ანალოგიურად, დიდოურ ენაშიც ბრუნების ორი ტიპი გამოიყოფა: ა) **ერთფუძიანი** (resp. **მარტივი**) და ბ) **ორფუძიანი** (resp. **რთული**).

ა) ერთფუძიან ბრუნებისას მხოლოდობით რიცხვში სახელობითი ბრუნვის ფორმას (არამარკირებულ ფუძეს) ერგატისა და ირიბ ბრუნვებში პირდაპირ დაერთვის ბრუნვის შესაბამისი ნიშანი, მაგ.: სახ. ბესურო „თეფი“ – ერგ. ბესურ-ს (< ბესურ-ა), მიც. ბესურ-რ, ნათ. ბესურ-ს...

მრავლობით რიცხვში მხოლოდ ორფუძიანი ბრუნებაა გაბატონებული – სახელობითის ფორმას ერთვის მრავლობითობის **-ბი** ფორმანტი, რომელსაც დანარჩენ ბრუნვებში ენაცვლება **-ზა** დაბოლოება, მაგ.: სახ. ბესურო-**ბი**, ნათ. ბესურო-**ზა**-ს და ა. შ.

ბ) ორფუძიანი ტიპის მიხედვით იბრუნვის როგორც თანხმოვანფუძიანი (თითქმის ყველა), ისე ხმოვანფუძიანი (შედარებით მცირე) არსებითი სახელები. ამასთან ერთად, ბრუნებისას საბრუნებელი სახელის არამარკირებულ ფუძეს ბოლოკიდურად დაერთვის ან ოდენ ხმოვანი (**ე, ი, ა, ო**), ან **-CV, -CVSV, -SV** სტრუქტურის ელემენტი (ხმოვანფუძიანებს: **-აო, -რე, -რო, -მე, -მო, -ზე, -ზა**; თანხმოვანფუძიანებს: **-დო, -და, -მო, -მე, -რო, -რე, -ზი, -ნო, -დარე**, რომელთაც მოსდევს ბრუნვის ნიშნები).

3. დიდოური ენის არსებით სახელთა ბრუნების ანალიზი ცხადყოფს, რომ ხუნძური და ზოგი სხვა ენის ორფუძიანი ბრუნების ანალოგიური სტრუქტურები აქ არ შეიმჩნევა, არამედ „**ფუძის ორფუძიანობაზე**“ **დამყარებული ბრუნების ყალიბი დასტურდება**.

სპეციალისტთა ერთი ნაწილი ზემოხსენებულ ხმოვნებს და გრამატიკულ ელემენტებს „ირიბი“ ფუძის მაწარმოებლებად (resp. დეტერმინანტებად) მიიჩნევენ (ე. ბოკარევი, ტ. გუდავა...), მეორენი მათ „ჩანართ“ ხმოვნად თვლიან (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, დ. იმანიშვილი...), მესამენი კი ბრუნვის ფორმანტს მიაკუთვნებენ (ი. მეგრელიძე, გ. თოფურია, მ. ხალილოვი...).

4. ჩვენი აზრით, თანხმოვანთკომპლექსების სუპერაციისათვის გამოყენებული ხმოვნებისა და **-CV, -CVSV, -SV** სტრუქტურის ელემენტების ბრუნვის ნიშნისათვის მიკუთვნება მართებული არ ჩანს, ვინაიდან ეს იწვევს ბრუნვის ნიშანთა რაოდენობის თვალსაჩინოდ

გაზრდას. გარდა ამისა, აგლუტინაციური ტიპის ენაში მრავალი ფორმანტით ერთი ფუნქციის გამოხატვა თეორიულადაც გაუმართლებელია. ამასთანავე, ზოგჯერ ირიბ ბრუნვებში შეიმჩნევა ფუძეთა ნაირგვარობა, მაგ.: **ალახ** „მინდორი, მდელო“ – ნათ. **ალახე-ს//ალახიოდ-ს**<sup>1</sup>. აუსლაუტში თანხმოვანთკომპლექსები არ არის ნიშანდობლივი, ამიტომ მათი სუპერაცია ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში თანხმოვანფუძიან სახელებთან ხმოვნითი ელემენტების დართვით ხორციელდება, მაგ.: სახ. რელ „ხორცი“ – ნათ. რელ-**ო-ს**.

## ა მ ი რ ა ნ ბ ა ს ი ლ ა შ ვ ი ლ ი

### **რამდენიმე ქართველური ფუძის ეტიმოლოგიისათვის უდიური ენის მონაცემთა გათვალისწინებით**

უდიური და ქართული მონათესავე ენებია, შესაბამისად, ქართველური ეტიმოლოგიური ძიებანის დროს დამატებით ფაქტობრივ მასალად, ზოგჯერ კი საკითხის გადაწყვეტის ერთადერთ საშუალებად (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელთ მხოლოდ ერთ-ერთი ქართველური ქვესისტემის ფაქტი გვაქვს) შესაძლებელია უდიური ენის მონაცემები (ისევე როგორც სხვა მონათესავე ენების ჩვენება) წარმოვიდგეს.

1. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ დასტურდება ლექსემა **პოპლიკა** „უბალნო“ Z, „არა წვერ-ულვამ მსხმო“ ABC (*ქოსას* ასე განმარტავს საბა: „სხვათა ენაა, ქართულად **პოპლიკა** ჰქვიან“ ZAB, „ქოსა არა არს ქართული, არამედ **პოპლიკი**“ E). -იკ/-იკ-ა კნინობითობის სუფიქსია, რომელიც ფუძესთან არის შეზრდილი, ფუძედ კი *პოპლ* გამოიყოფა. იქნებ მისი შესატყვისი ჩანდეს მეგრულ **პოპორ**-ში, რომელსაც ერთ-ერთ მნიშვნელობად „ფაფარი“ უდასტურდება (ა. ქობალია) და ის სხვაგვარი წარმომავლობისა იყოს ანუ ქართ. *ფაფარი* : მეგრ. *ფოფორი* : სვ. *ფაფალ* შეპირისპირებისგან გან-

---

<sup>1</sup> მ. ხალილოვი თავის **ბეიტურ-რუსულ ლექსიკონში** ამგვარ ელემენტებს ბრუნვის ნიშანს მიაკუთვნებს და პარალელურობის ნიშნით ორივე სახესხვაობას უთითებს.

სხვაეხვებულ ეტიმოლოგიას გულისხმობდეს. თუ ასეა, ბგერათმესატყვისობათა გათვალისწინებით საერთოქართველურისთვის აღდგება **\*პოპ-ალ** არქექტიპი „თმა“, „ბალანი“ მნიშვნელობით. ქართველურ მონაცემს პარალელი აღმოაჩნდება უდიურ ენაში – ფოფ „თმა“, რაც მის ფუძემენურ წარმომავლობაზე შეიძლება მიუთითებდეს. ქართ. პ : უდ. ფ, ქართ. ო : უდ. ო ბგერათფარდობა სხვა მაგალითშიც დაცულია (იხ. მომდევნო შეპირისპირება). ევგ. ჯეირანიშვილი უდიური ფოფ-ის ქართ. ფაფართან შესაძლო კავშირს ვარაუდობდა.

2. აგებულების თვალსაზრისით *პოპლიკას* მსგავსი უნდა იყოს **პოსლიკაც** „მელოტი“, „უთმო“ ანუ ამ შემთხვევაშიც კნინობითობის გამომხატველ -იკ სუფიქსიანი ფუძესთან უნდა გვექონდეს საქმე. ორივე შემთხვევაში -იკ სუფიქსიანი წარმოება ფიზიკურ ნაკლს – სიმელოტეს გახაზავს. ქართ. *პოსლიკას* მეგრულში **პორსა** „მელოტი“, „ქოსა“ შეესატყვისება, არქექტიპად კი \*პოს-ელ „მელოტი“ ფორმა აღდგენილი (ჩუხუა 2017 : 315). მ. ჩუხუას მიერ გამოვლენილია ქართველური მასალის აფხაზური შესატყვისი ა-**პაშ** „მელოტი“, „მოტვლეპილი“. თუ *პოსლიკა* ფუძის რთული შედგენილობიდან ამოვალთ და *პოპლიკა*-ს ეტიმოლოგიზების ზემოთაღწერილ ცდას გავიხსენებთ, მაშინ *პოსლიკა* წარმოქნილ სახელად წარმოგვიდგება, რომლის სემანტიკაც, შესაბამისად, წარმოქმნას დაუკავშირდება და საძიებელი იქნება პოსლ- ფუძის მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევაში კი უდიური ენის მასალა კვლავ დახმარებას გაგვიწევს. უდიური **ფოს-ფოსკალ** – რედუპლიციკირებული ფუძე (-კალ სუფიქსური ელემენტი ჩანს) „ბუმბულს“ ნიშნავს. თმა – ბუმბული სემანტიკურად ძალიან შორს არ დგას ერთმანეთისგან. აქვე გაგვახსენდება ქართ. **ბუსუს**-ი (← \*ბუს-ბუს-ი) ფუძემგაორკვეებული სახელი, რომელიც ასევე დაუბრკოლებლად დაუკავშირდებოდა უდიურ მონაცემს, მაგრამ მაინც ზემოთაღწერილი ბგერათფარდობის გათვალისწინებით (განსაკუთრებით ხმოვნური შესატყვისობის გამო) პირველი დაკავშირება შეიძლება უფრო სწორი იყოს.

3. ქართული ენის დიალექტებში დასტურდება ლექსიკური ერთეულები: (გარეკახ.) **კიწი** „პატარა, მცირე რამ“, (თუშ.) **კიწი-კიწიყას** „წვრილ-წვრილად, არა ერთნაირად, გაუმეტებლად“. ქართული *კიწი* ჯერჯერობით განმარტოებულად დგას – არ ჩანს მისი კოლხურ-სვანური შესატყვისები. უდიურში გვაქვს ლექსემები: **კიწი** „მცირე“, **კიწკე** „პატარა“. ქართულ-უდიურ მონაცემებს სტრუქტურ-

რულ-სემანტიკური იგივეობა აერთიანებს. უდიურ-ქართულ იზოგლოსს ეხმიანება წოვათუმ. **კაწკო** „პატარა“ სიტყვაც. ამავე დროს საინტერესოა ქართველურ ენათა ჩვენება: ქართ. (ქიზიყ.) **წიკ**-ა-მაკ-ა „წვრილ-წვრილი ნივთები“, (ქართლ.) **წიკ**-ო-მაკ-ო „წვრილმანი, ქსოვილის წვრილი ნაჭრები“, (თუმ.) **წიკ**-უ-ფ „სულ მცირე; ნამცეცა“ : მეგრ. **ჭიკ**-უ „პატარა“ (ფენრიხი, სარჯველაჯე 2000 : 670). ქართველურ ენა-დიალექტებში შეიძლება ერთი ძირის ორ – მეტათეზირებულ ვარიანტთან გვაქვს საქმე. თუმცა უდიურის (და სხვა კავკასიური ენების) ჩვენებამ არ არის გამორიცხული ეს ძირები ერთმანეთისგან გაგვამიჯნინოს და საერთო-ქართველური ლექსიკური ფონდი ერთი ერთეულის ნაცვლად ორით გაამდიდროს.

სულ სხვაგვარი წარმომავლობისა უნდა იყოს **კინწი/კირწი/კიწი** ლექსემები (**კიწი** „ყურძნის მტევნის პატარა შტო მარცვლებიანად“ – ქეგლ), შდრ.: **გაკიწენა** – ნამხრევებისა და ზედმეტი ყლორტების გაცლის აღმნიშვნელი ტერმინი (ლ. ასათიანი).

4. ქართველურ და ნახურ ენებში დასტურდება ცალმორფემიანი **ღ**- ზმნური ძირი „(შთა/მო)სვლის“ მნიშვნელობით: ქართ. შთა-ღ-ვ-ა „შთასლვა“ (საბა), (ლეჩხუმ.) მო-ღ-ავ-ი „მოსავალი“, სვან. ქა-ღ-ე „მოდ“ : ჩეჩნ. დ-ა-ღ-არ//და-ღ-ან „მოსვლა“, ინგ. დ-ა-ღ-ა//დ-ა-ღ-არ „id“, ბაცბ. დ-ა-ღ-არ//და-ღ-ან „id“ (ჩუხუა 2008 : 420). უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მოსაზრება ლეჩხუმური *მოღავის* სვანურიდან სესხების შესახებ (მ. სუხიშვილი). შესაძლებელი ჩანს უკვე შეპირისპირებულ მასალას დაფუძნებით „სვლის“ აღმნიშვნელი **ღ**- ცალმორფემიანი ზნური ძირი უდიური ენიდან: ე-ღ-ეს „მოსვლა“, თა-ღ-ეს „წასვლა“, ბაფ-ღ-ეს „შესვლა“, ჭე-ღ-ეს „გასვლა“, ლაფ-ღ-ეს „ასვლა“, ცი-ღ-ეს „ჩასვლა“. ე-, თა-, ბაფ-, ჭე-, ლაფ-, ცი- ელემენტები მიმართულების გამომხატველი პრევერბებია.

**აფხაზიზმები იოსებ ყიფშიძის  
„მეგრულ-რუსულ ლექსიკონში“**

იოსებ ყიფშიძის „მეგრულ-რუსული ლექსიკონი“ 1990-იან წლებამდე მეგრული ლექსიკოგრაფიის ერთადერთი ნიმუში იყო. მართალია, ლექსიკონი თარგმნითი ხასიათისაა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ავტორი ურთავს ეტიმოლოგიურ კვლევებს და ენციკლოპედიურ ცნობებს; ნასესხებ ფორმებში მითითებულია სიტყვის წარმომავლობა, ამოსავალი ფორმა. ცალკეული სიტყვები ბუდეებშია წარმოდგენილი, ვრცლად არის განმარტებული მეგრული რწმენა-წარმოდგენების აღმნიშვნელი ტერმინები.

სხვა ენებიდან შეთვისებული სალექსიკონო ერთეულების გვერდით გვხვდება აფხაზიზმებიც. ავტორი ძირითადად უთითებს განსამარტავი სიტყვის წარმომავლობას:

- აზარწა** (აფხ.) – აივანი
- აკა** (აფხ. აკე) – ერთი
- აფუნი** (აფხ. აფუნ) – გაზაფხული
- აფშირჰა** (აფხ.) – ხის ჭურჭელი მაწვნისთვის
- ხათეცი** (აფხ. ათაცა) – პატარძალი
- ხაცეცი** – იხ. ხათეცი

სინონიმური წყვილის არსებობის შემთხვევაში ლექსიკოგრაფს მითითებული აქვს შესაბამისი მეგრული ფორმა:

- აფსთა** (აფხ.) – მდინარე, ხეობა, იხ. **ღალი**
- ბჟაკე** (აფხ. აჟაკა, აჟაკე) – წვერი, იხ. **ფრიშული**
- დაგვა** (აფხ. ადაგვა) – ყრუ, შდრ. **სუნგა**

ცალკეულ შემთხვევაში ლექსიკონში არ არის მითითებული სიტყვის წარმომავლობა, მაგრამ მისი აფხაზურობა ეჭვს არ იწვევს:

- არგათა** – ბრბო
- აფხა** – მხარი
- აყუ-ჯიხა** || **აყუ-ჯიხა** – სოხუმი (ორენოვანი კომპოზიტია)
- ბაცუ** – იხ. ცქუმუტური



**ლაზაშა** – გრძელი ხის ჯოხი რკინის ბოლოთი  
**ღანდა** – ლობე  
**ჩემჭვა** – რძიანი კისელი  
**ცქეზგ** – იხ. ანთარი  
**ხაწა** – დვრიტა.

აფხაზური წარმოშობის სიტყვის **აგვარა**-ს განსამარტავად ი. ყიფშიძე რატომღაც ამოსავალ ფორმად მიუთითებს სულ სხვა სტრუქტურის სიტყვას და იქვე აღნიშნავს მის მეგრულ (resp. ქართველურ) შესატყვისს: **აგვარა** (აფხ. **აზოვრა**) – შდრ. **ქართა**.

ზოგიერთი სიტყვის აფხაზიზმებად მიჩნევა სადავოა:

**ლერე** (აფხ. ალგრა) – ღერძი (მეგრული ფორმა უნდა იყოს ლგრე)

**მახვარი** (აფხ. ამახვარ) – ხელი

**ჭაპანი** (აფხ. აჭაპან) – ჭიპი

მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკონი საუკუნეზე მეტი ხნის წინ შეიქმნა, დღემდე შეუცვლელია მეგრული ლექსიკის შესწავლის საქმეში, ისევე, როგორც ავტორის „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა“.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

## **ზოგი სიტყვათშეხამების დამკვიდრებისათვის საკანცელარიო ენაში**

თანამედროვე ქართულში ხშირად იქმნება ახალ-ახალი სიტყვათშეხამებანი, რომლებიც მასმედიიდან თუ პოლიტიკოსთა მეტყველებიდან აქტიურად იკიდებს ფეხს ენაში. ზოგი მათგანი ადრევე გამოიყენებოდა, ზოგიც სულ ახლახან, ჩვენ თვალწინ გაჩნდა. ასეთებია: **კრიტიკული მდგომარეობა**, **კრიტიკული აზროვნება**, **კრიტიკულად მნიშვნელოვანი**, **კრიტიკულად შეუსაბამო** და სხვ.

**კრიტიკული მდგომარეობა** განიმარტება როგორც ჯანმრთელობის მოშლის ფორმა, როდესაც ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია და დაუყოვნებელი მკურნალობის გარეშე სიკვდილი გარდაუვალია.

ის გამოიყენება ზოგადად მძიმე ვითარების აღსანიშნავადაც (არა მხოლოდ ჯანმრთელობასთან მიმართებით): „ასევე **კრიტიკული მდგომარეობაა** სხვა დამოუკიდებელი მედიამენეჯერების და დამფუძნებლების საქმიანობის თავისუფლების შემთხვევებშიც“; „რატომ შეიქმნა ასეთი **კრიტიკული მდგომარეობა** ქვეყანაში, რომელიც იმ დროს მთელ ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე შემწყნარებელ ქვეყნად ითვლებოდა“... აქედან დამკვიდრდა გამოთქმა **მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა**. როგორც ჩანს, ამგვარ სიტყვათშეხამებაში მდგომარეობის უფრო მეტად მძიმე ვითარებაზე ამახვილებენ ყურადღებას, ანუ ასეთ კონტექსტში იგულისხმება განსაკუთრებით მძაფრი შინაარსი. გამოთქმა **კრიტიკული აზროვნება** მოიცავს ფაქტების არა მხოლოდ დაფიქსირებას, არამედ მათი მიზეზებისა და შედეგების გარკვევას, ესაა დამოუკიდებლად აზროვნება. **კრიტიკული დაავადებები** კი გულისხმობს განსაკუთრებით მძიმე დაავადებებს.

სიტყვა **კრიტიკულის** ერთ-ერთი მნიშვნელობა ყოველთვის იყო **გადამწყვეტი**, მაგრამ მან ჩვენ თვალწინ გაიფართოვა გამოყენების არეალი და დღეს საკანცელარიო ენაში ხშირად ქმნის წყვილს სხვადასხვა სიტყვასთან: **კრიტიკულად მნიშვნელოვანი, კრიტიკულად შეუსაბამო, კრიტიკული რაოდენობა, კრიტიკული ინფრასტრუქტურა, კრიტიკული ფაზა, კრიტიკული პოლიტიკა**... ყურადღებას გავამახვილებთ სიტყვათშეხამებებზე, რომლებშიც ზმნიზედური ფორმით გააქტიურდა მისი გამოყენება: „მთავრობასა და ბიზნესს შორის შეთანხმებას განსაკუთრებული და **კრიტიკულად მნიშვნელოვანი** როლი აქვს“; „ჩვენთვის **კრიტიკულად მნიშვნელოვანია** მშვიდობა და მოლაპარაკება“; „საშუალო განათლების სტანდარტების დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან არის **კრიტიკულად მნიშვნელოვანი**“. თუ გავაანალიზებთ შინაარსს, ჩანს, რომ გულისხმობენ გადამწყვეტს, აუცილებელს, სასიცოცხლოსა თუ ძალიან მნიშვნელოვანს. აქ გასათვალისწინებელია უცხო ენის გავლენაც. მაგალითად, ინგლისურ ენაში ძალიან ბუნებრივია სიტყვათშეხამება **კრიტიკულად მნიშვნელოვანი**: critically important: It is critically important that an agreement is reached this month. იქ ზმნიზედას **კრიტიკულად** აქვს სხვა მნიშვნელობებიც: **სერიოზულად, ექსტრემალურად** და გამოიყენება ნებისმიერ სიტყვასთან შინაარსის გასამძაფრებლად, რაც ქართულს არ ახასიათებს. შესაძლოა, სწორედ უცხო ენის გავლენაა ახალი სტილური დანიშნულებით გამოთქმების **კრიტიკუ-**

**ლად მნიშვნელოვანი, კრიტიკულად შეუსაბამო** დამკვიდრება, რომლებშიც გულისხმობენ ძალიან, მეტისმეტად მნიშვნელოვანს. სიტყვათშეხამებაში **კრიტიკულად შეუსაბამო** პირველი კომპონენტი **გადამწყვეტის** მნიშვნელობით არ გამოიყენება, როგორც ეს ზემოთ აღნიშნულ წინადადებებში დასტურდებოდა. ვფიქრობთ, ეს ექსპრესიისათვისაა შერჩეული და მეტ ემოციას გამოხატავს. ამ შემთხვევაში სიტყვა **ძალიან** ჩაანაცვლა ზმნიზედამ **კრიტიკულად**. გარდა ამისა, ადრე სიტყვებთან **რაოდენობა, ფუნქცია, ფაზა, პოლიტიკა** სიტყვათშეხამებას არ ქმნიდა **კრიტიკული**, ქართულისათვის არ იყო დამახასიათებელი, დღეს კი საკანცელარიო ენაში ის გახშირდა შინაარსით **გადამწყვეტი, მნიშვნელოვანი**.

ახალი სტილური ელფერი შეიძინა სიტყვამ **უკიდურესად**, რომელიც დღეს მკვიდრდება სიტყვათშეხამებებში: **უკიდურესად სერიოზული, უკიდურესად მნიშვნელოვანი, უკიდურესად მძიმე...** „ერთმანეთს ჩავჭიდოთ ხელი, ვიყოთ **უკიდურესად სოლიდარულები**, ერთად გლობალურად ვებრძოლოთ ამ გამოწვევას“; „სოცაგენტების შრომითი პირობები **უკიდურესად მძიმეა**“; „ხელისუფლებას **უკიდურესად ეშინია** მოახლოებული არჩევნების“; „საქართველოში ძალაუფლების კონცენტრაციის **უკიდურესად მაღალი ხარისხია**“; „ეს იყო **უკიდურესად მნიშვნელოვანი** ბრძოლა“; „**უკიდურესად მძიმე საყურებელია**, როდესაც გაკოტრებული ოპოზიცია იმის მაგივრად, რომ პარლამენტში რამე შინაარსობრივზე საუბრობდეს, საუბრობს გარდაცვლილი ადამიანების სახელით.“

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სიტყვა **უკიდურესი** ასე განმარტება: მეტისმეტი, უაღრესი, უსაზღვრო: **უკიდურესი სიღარიბე, უკიდურესი ადელგება...** ჩვენ მიერ მოხმობილ წინადადებებშიც ის ზუსტად ამ მნიშვნელობით გამოიყენება, თუმცა დღეს ის საკანცელარიო ენისათვის დამახასიათებელ არაერთ სიტყვათშეხამებაში აქტიურად გამოიყენება ძირითადად ზმნიზედური ფორმით. როგორც ჩანს, ენა მასაც სტილისტიკური დანიშნულებით, ექსპრესიისა და ემოციის გასამდიერებლად იყენებს. ამიტომ მის ნაცვლად **ძალიან** სიტყვის გამოყენება, ფაქტობრივად, ჩაანაცვლა ზმნიზედამ **უკიდურესად**.

## ნათესაობის გამომხატველი ზოგი ტერმინის შესახებ სვანურში

დედას სვანურში **დი**, **დია**, **დედე** ტერმინები აღნიშნავს. ქართ. დედას კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ., ლაზ. **დიდა** და სვანურში დედე. **დი** მეგრულიდან შეთვისებულად მიიჩნევა. სვანური **დი** უფრო ძველი ტერმინი ჩანს ვიდრე **დედე**. **დი** ფორმა დასტურდება მთელ სვანურში. მიმართვის დროს ზემოსვანურში: **დია**, **დედე** ფორმებია გაბატონებული, ქვემოსვანურში – მხოლოდ **დედე**. „თელელარაშუქდ ჭჷში დი ი მუ დი- მეთილ ი მუ-მეთილ ლიხ (ლნტ.) „რძლისთვის ქმრის დედა და მამა დედამთილი და მამათილი არიან“. კომპოზიტებში უმეტესად **დი** ლექსემა გვხვდება. **დი-გეზად** „დედა-შვილი“; **დი-მუთუნი** „დედამშობელი“; **დი-მეზგი** „დედა ოჯახი“ (ძირითადი ოჯახი); **დი-დ-ლგენე** „დედობილი“ (დედად დაყენებული); **დი-ე-ნაცად** (დი-ემნაცად) დედინაცვალი; **დი-უთურა**, **დი-უითრა** დედინაცვალი (სიტ. სიტყ. დედაუცნობი); **ლე-ლ-დი-ერ** ლშხ. დედულეთი. **დიელუმვადა** სასქესო ორგანოები (დედის მიცემული) და სხვა.

მამას სვანურში სამი ტერმინი აღნიშნავს: **მუ**, **მამა**, **ბუა** – ლანან ქორაშ ბუას, ჯარი კიბდენ ქორაშ დიას (ბქ.) „საბძელი სახლის მამას, ვარცლი და კიდობანი სახლის დედასო. **დი**’ს მსგავსად კომპოზიტებში უმეტესად **მუ** ფუძე დასტურდება. **მუ-დ-ლგენე** „მამობილი“ (მამად დაყენებული). **მუ-ე-ნაცად** (მუ-ემ-ნაცად) „მამინაცვალი“; **მუ-უითრა** „მამინაცვალი“ (სიტ. სიტყ. მამაუცნობი); **ლი-მუ-უ** „მამობა“.

ცნობილია, რომ **დი** და **მუ** მრ. რიცხვს, სხვა ნათესაობის გამომხატველი ტერმინების მსგავსად ლა- / -ლა- – ა კონფიქსის საშუალებით აწარმოებს **ლა-დი-ა** „დედები“, **ლა-მუ-ა** „მამები“.

**დედე** „დედა“ და მამა მრავლობით რიცხვში ჩვეულებრივ -არ/ -არ სუფიქსებს დაირთავენ. ეს ტერმინები იმიტაც არის გამორჩეული, რომ მრ. რიცხვის ნიშნის წინ -ელ/ -ელ, -ალ/-ალ მარცვლებს ავლენენ: **დედ-ელ-არ** ბზ., **დედ-ელ-არ** ლშხ. **დედ-ელ-ალ-არ**. ლნტ. „დედები“. **მამ-ალ-არ** ბზ., **მამ-ალ-არ** ლშხ. **მამ-ალ-არ/-ალ** ლნტ. „მამები“.

თ. შარაძენიძე წერილში „მრავლობითი რიცხვის წარმოება ზემოსვანურ დიალექტებში“, აღნიშნულ ტერმინებს გამოყოფს და ვარაუდობს, რომ აქ ორმაგი მრავლობითობა გვაქვს ან ეს ელემენტები დეტერმინანტები არიანო“. ეს მარცვლები ჩნდება -ა და -ე ბოლოხმოვნიან ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებთან და ზოგი ერთმარცვლიანი ლექსემების მრავ. რიცხვში. **ზაზა** „ბაბუა“, **ზაზ-ალ -არ** ბზ., **ზაზ-ალ-არ** ლშხ. **ზაზ-ალ-ად** ლნტ. „ბაბუები“, **ზეზე** „ბებია“ **ზეზ-ელ-არ** ბზ. **ზეზ-ელ-არ** ლშხ., **შიმ** „ყური“ **შდიმ-რ-ალ** ლშხ., შდრ. **შტიმ-არ-ალ** ლნტ. „ყურები“ და სხვა. ჩვენი ვარაუდით ამ ტიპის სახელებთან ორმაგი მრავლობითობა გვაქვს.

სპეციალური ტერმინით აღინიშნება სვანურში ძმათა ცოლების ცნება, რომლებიც ერთმანეთს: **მეყერუა** ბზ., ლშხ., **მეყერუა** ბქ. **მეყერა** ლნტ. **შილი**, „მაზლის ცოლი“ მრავლობით რიცხვს ეს ტერმინიც ლა-/ლწ- – ა კონფიქსით აწარმოებს: **ლწ- მეწრუ-ა** ბზ., **ლა-მეწრუ-ა** ლშხ., **ლწ-მე-არ** ბქ., ლნტ. „შილები“. ლახუბან ლწეხუა უმხვარემდ ლამყარ ლიხ (ლნტ. 19) „ძმათა ცოლები ერთმანეთისთვის შილები არიან“. ლა-/ლწ პრეფიქსული ხმოვნის გავლენით ე ხმოვანი ყველა დიალექტში დაკარგულია, მათ შორის ლენტეხურშიც, რომელიც სუსტი რედუქციის მქონე დიალექტად გამოირჩევა.

ა. ლიპარტელიანის ლექსიკონში **მეყარუა** თარგმნილა როგორც წამხედურობა. ასევე თარგმნის **იმყერულ** ფორმასაც.

რ. ხარაძის ვარაუდით ტერმინი მეყერა მეგრულ-ჭანური ძირის სახელს უნდა წარმოადგენედეს. მეგრულად **მაყალე** „თანატოლს“ აღნიშნავს, აქედან ნაწარმოებია ზმნა -მაყალაფა, რომელიც „დამეგობრებას, დაამხანაგებას“ ნიშნავს.

ვფიქრობთ, ეს ტერმინი უნდა უკავშირდებოდეს სვან. **ლი-მეყრუალ-ს** „ჯიბრი“, **ხემეყრუალს** -ერთმანეთთან ჯიბრში არიან, ერთმანეთს ეჯიბრებიან. (შდრ. ქეგლ-ში შეტანილი ტერმინი შილი- „ძმათა ცოლები“. იქვე გვხვდება შილაობა „კინკლაობა“).

## ზმნისართები სვანურ ტოპონიმებში

სვანურში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, გვხვდება ზმნისართების მონაწილეობით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები.

ტოპონიმთა საწარმოებლად ძირითადად გამოიყენება ადგილის ზმნისართები: **ამხე** „აქეთ“, **ეჩხე** „იქეთ“, **სგა** „მიგ“, **ქამ** „გარეთ“, **ლეჟა** „ზევით“, **ლექტა** „ქვემოთ“, **სგტებინ** „წინ“, **ტეშგინ** „უკან“.

ტოპონიმი შეიძლება ნაწარმოები იყოს აფიქსაციით – როგორც მარტივი ფუძისაგან, ისე კომპოზიტისაგან. აფიქსაციით მიღებული ზმნისართული ტოპონიმებია: **ჩვიბარ** „უბანი“ (ლნტ.), **ჩვიბინი** (ჩუბიანი), **სგაშარ** „უბანი“ (მაცხვარიში), **სგებარე** „ყანები“, **ლექტაშარ** „უბანი“, **ლექტაშხენ** „ყანა“, **ქამინი** „სამოვარი“ (კახურა), **ქამშარ** „უბანი“, **ლეჟაშხან** „ყანა“, **ტეშგმარ** „კლდე“...

კომპოზიციის გზით ზმნისართების მონაწილეობით მიღებულ ტოპონიმებში წყობა პრეპოზიციულია.

ლენტეხურში დასტურდება მ სუფიქსით (ნათესაობითის ბრუნვის ნიშნისეული ნაშთი) გაფორმებული ნაზმნისართალი სახელის მონაწილეობით შედგენილი ტოპონიმები: **ლეჟამ მოლ** „სახნავი“, **ლეჟამ ტუბ** „სათიბი“, **ლექტამ მოლ** „სახნავი“, **ქამინამ შუკუტ** „გზა“...

წარმოების თვალსაზრისით გამოიყოფა ატრიბუტულმსაზღვრელიანი და გენეტიურმსაზღვრელიანი ტოპონიმები.

ატრიბუტული მსაზღვრელიანი ტოპონიმებია: **ამხე ბოგელ** „სათიბი, ტყე“, **ეჩხე ზენ** „საბალახო“, **ჩვიბე დაბ** „ყანა“, **სგამე ჭალად** „ყანა“, **ლექტა გაყტ** „სათიბი“, **ქამე ლახტ** „სამოვარი“, **ლეჟა ლაზგა** „სახნავ-სათიბი“...

მსაზღვრელი ზოგჯერ მრავლობით რიცხვშიც გვხვდება: **ქაბშარე დაბარ** „ყანები“, **ლეჟაშრე მურყტამ** „კომკი“, **ჩვიბშარე კარბე** „სამოვარი“...

გენეტიურმსაზღვრელიანი ტოპონიმებში მსაზღვრელი გვხვდება როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვში: **ამხენიმ ჭვარილარ** „სამოვარი“, **ეჩხენიმ ჭვარილარ** „სამოვარი“, **სგანჩუშ ლარა** „სათიბი“, **ლეჟშ ლარალ** „სათიბები“, **ლეჟშ ნაკრიელ** „სათიბები“... **ლეჟაშრე მურყტამ** „კომკი“, **ჩვიბშარე მურყტამ** „კომკი“...

გვაქვს სამწევრიანი კომპოზიტური შესიტყვება: **ლექტა ზაგრი ნაკ** „სათიბ-სამოვარი“, **ლეჟა ზაგარი ნაკ** „სათიბ სამოვარი“, **ჩვიბე ბავარი ბოგ** – „ხიდი“, **ჩვიბიანი მელდღ** „ლასგტრა „მაღლობი“...

## გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

### **იოსებ ყიფშიძე და ქართული მართლწერა**

საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში დაცულია იოსებ ყიფშიძის ხელნაწერები. ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთ-ერთმა მათგანმა, რომელსაც სათაურად აქვს „ქართული მართლწერა“ (არ არის დათარიღებული); ხელნაწერი სულ სამიოდე გვერდს შეიცავს. აქ გამოთქმული აზრები ი. ყიფშიძისა განივრცობა ს. გორგაძისადმი მიწერილ პირად წერილში (თარიღი – 26 თებერვალი, 1915 წ.); ხოლო ეს წერილი არის ფაქტობრივ პასუხი ს. გორგაძის პირად წერილზე ი. ყიფშიძისადმი (თარიღი: 1915 წ. 9 თებერვალი) და ამ წერილში დასმულ შეკითხვებზე. პირადი წერილების თარიღები ფაქტობრივ აზუსტებს „ქართული მართლწერის“ დაწერის თარიღსაც... სამივე ეს ხელნაწერი გამოვაქვეყნეთ 2015 წელს გამოცემულ იოსებ ყიფშიძის „თხზულებანში“ (თსუ გამომცემლობა).

იოსებ ყიფშიძე ამ ხელნაწერებში გამოთქვამს ძალიან საინტერესო აზრებს ქართულ მართლწერის შესახებ; ზოგ მათგანს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა...

## ქ ე თ ე ვ ა ნ დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი

### **თანდებულისი თანამედროვე ქართულში**

ტრადიციულად თანდებულის ორ სახეობას გამოყოფენ: ცალკე მდგომი (მიერ, შესახებ...) და სიტყვასთან შერწყმული (-ზე, -ში...). ცნობილია, რომ ძველ ქართულში ეს უკანასკნელი სახეობაც ცალკე მდგომი იყო (ზედა, შინა...), შემდგომ ეტაპზე კი შეერწყა ბრუნვის ფორმას, რის შედეგადაც თანამედროვე ქართულში გვაქვს ორი ენობრივად განსხვავებული ერთეული: სიტყვები (ცალკე მდგომი თანდებულები) და აფიქსები (სიტყვასთან შერწყმული თანდებულები). ვფიქრობთ, ენობრივად განსხვავებული ერთეულები განსხვავებული ტერმინებით უნდა აღინიშნოს. სამეცნიერო ლიტერატურაში

სიტყვასთან შერწყმული თანდებულებისათვის შემოთავაზებულია შემდეგი ტერმინები: ლოკალური ბრუნვის ნიშნები (ა. შანიძე), თანდებული-მორფემოიდები (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაძე, მ. ბერიძე), რელატიური აფიქსები (ტ. ფუტყარაძე), მაგრამ ისინი არ დამკვიდრდა. ვფიქრობთ, სიტყვასთან შერწყმული თანდებულის აღსანიშნად უფრო მისადაგებელი იქნება ტერმინი „თანდებულისი“, იგი მარტივია (შედგება ერთი სიტყვისგან), ამასთანავე ჩანს, რომ ის მომდინარეობს თანდებულისაგან. ტერმინი „თანდებული“ კი ცალკე მდგომი თანდებულის აღსანიშნად უნდა დარჩეს.

თანდებულისები დაერთვის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას. მათ უმრავლესობას ისტორიულად ცვლილება არ განუცდია და ისინი დღესაც ბრუნვის ნიშნის შემდეგ გვხვდება. მაგ.: სახელობითი ბრუნვის თანდებულისი: -ვით (კაც-ი-ვით), ნათ. ბრუნვის თანდებულისები: -გან (კაც-ის-გან), -კენ (კაც-ის-კენ) და ა. შ. მაგრამ ფონეტიკური პროცესების შედეგად ზოგი თანდებულისის წინ ბრუნვის ნიშანი დაიკარგა სრულად (კაც-ზე, კაც-ში) ან ნაწილობრივ (კაც -ა-მდე) და ა.შ. ამიტომ დღეს ეს თანდებულისები ერთვის არა ბრუნვის ფორმას, არამედ ფუძეს. ვფიქრობთ, თანამედროვე ქართული ენის სისტემის აღწერისას ასეთ შემთხვევებში უნდა ითქვას, რომ თანდებულისი დაერთვის ფუძეს და არა ბრუნვის ფორმას. ამგვარი აღწერა მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისით, კერძოდ, ენის სწავლების დროს (განსაკუთრებით ქართულის, როგორც უცხო ან მეორე ენის სწავლებისას). აღწერა უფრო მარტივი და გასაგებია, როცა ვამბობთ, რომ ფორმაში „სახლზე“ **ზე** თანდებულისი დაერთვის ფუძეს (სახლ), ვიდრე იმისი ახსნა, რომ **ზე** არის მიცემითი ბრუნვის თანდებულისი, რომლის წინ ბრუნვის ნიშანი იკარგება და ა.შ. ამგვარი აღწერა მნიშვნელოვანია მოდელირების შემთხვევაშიც.

თუ თანდებულისების აღწერის ამგვარ პრინციპს მივიღებთ, მაშინ უნდა ითქვას შემდეგი: თანამედროვე ქართულში თანდებულისი შეიძლება დაერთოს ფუძეს ან შემდეგ ბრუნვათა ფორმებს: სახელობითს, მიცემითს, ნათესაობითს ან მოქმედებითს. წარმოვადგენთ თითოეული სახის თანდებულისებს:

**ფუძესდართულები:** -თან (თანხმოვანფუძიანებთან), -ზე, -ში, -იდან//-დან, -ამდე//-მდე; -ამდის//-მდის

**სახ. ბრ.:** -ვით (თანხმოვანფუძიანებთან)

**მიც. ბრ.:** -თან (ხმოვანფუძიანებთან), -ვით



**ნათ. ბრ.:** -თვის, -გან, -კენ, -ებრ, -თანავე

**მოკმ. ბრ.:** -ურთ

უნდა აღინიშნოს, რომ სამი ფუძესდართული თანდებულისი (იდან, ამდე, ამდის) იწვევს ფუძის ფონეტიკურ ცვლილებას, კერძოდ, კუმშვად სახელებში კუმშავს ფუძეს, კვეცადებში კი კვეცავს (სოფელ-ი – სოფლ-იდან. მთა – მთ-იდან...).

თანდებულისიანი ფორმები ქმნიან პარადიგმას. თანდებულისიანი ფორმათა პარადიგმები უნდა განვიხილოთ სახელთა ბრუნების ტიპების მიხედვით.

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

## **ატრიბუტულ-პოსტპოზიციური მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმებისათვის ახალ ქართულში**

ახალ ქართულში ატრიბუტულ-პოსტპოზიციური მსაზღვრელი თავის საზღვრულს ეთანხმება ყველა ბრუნვაში (მიუხედავად იმისა, თანხმობა ფუძიანია ის თუ ხმოვანფუძიანი): „გვერდს უზის **ქალი ლამაზი**, სანთელივითა დნებაო“ (ხალხური); „ხეზე შემოჯდა **ჩიტი პატარა**“ (ვაჟა); „თუმც კი სხვა დროს არ იკადრებს ამას **კაცი თავმოწონე**“ (აკაკი); „მაგრამ **საქმემ უკუღმართმა** შეაწუხა, დაალონა“ (აკაკი); „მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით **ფრინველმა გარეგანმა**“ (აკაკი); „**ბედმა უწყალომ** სხვა საქმისთვის არ მოაცალა“ (ილია); „**ველს მშვენიერსა** ჩასძინებოდა“ (ილია); „**ქალს დაღალულსა** მისძინებოდა“ (ილია); „დიაცს მუდამაც უხდება გლოვა **ვაჟკაცის კარგისა**“ (ვაჟა); „აღუდას აუგს ეტყოდნენ **სიტყვითა შხამიანითა**“ (ვაჟა); „გადის დუმილი ოთახიდან **ნაბიჯით ზანტით**“ (მუხრან); „იმ ჩვენი ობლის სული კი იქცა **პეპელად ჭრელადა**“ (ვაჟა); „**კლდეო მაღალო**, შეინახე ჩემი ფესვები!“ (ვაჟა) და ა. შ.

რაც შეეხება ატრიბუტულ-პოსტპოზიციური მსაზღვრელის საზღვრულთან მრავლობით რიცხვში შეთანხმების საკითხს, აქ რამდენიმე შემთხვევაა გასათვალისწინებელი:

1. საზღვრულიცა და პოსტპოზიციური მსაზღვრელიც ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი: „ნაქერალაში დამდგარან **თუშები თექიანები**“ (ვაჟა); „გარს სანგლად შემოუვლიათ **ხევეები ზექიანები**“ (ვაჟა); „მინდვრები, ქართლის მინდვრები, **ქედები მხარგაშლილები**“ (ანა) და სხვ.

2. საზღვრულიცა და პოსტპოზიციური მსაზღვრელიც ნარიანი მრავლობითით დასტურდება: „სად ჰყვავებულან დიდებულად **ქალაქნი ვრცელნი**“ (ალ. ჭავჭავაძე); „**წყალნი**, მითი **დაქანებულნი**, აღმასებრ უფსკრულს ჰსცვივიან“ (გრ. ორბელიანი); „ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ **სვავნი მყივარნი**“ (ნ. ბარათაშვილი)...

3. საზღვრული ებიანი მრავლობითით დაჩნდება, პოსტპოზიციური მსაზღვრელი კი – ნართანიანი: „მოგროვდენ ყოველის მხრიდამ **ვაყები ლომისფერანი**“ (ვაჟა); „მწყობრად მოდიან **მხედრები სახეგაშლილნი**, მზე ვით“ (ანა); „**სიტყვებს**, – წინაპართ მიერ **გახედნილთ**, დიდი რუსთველის უღელში **ნაბამთ**, **შობილთ** კლარჯეთით, ქართლით, კახეთით, – ერთად შეკრიბნა რომელნიც საბამ!“ (მუხრანი).

4. საზღვრული ნარიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი, პოსტპოზიციური მსაზღვრელი – ებიანი: „**მთანთავჩაჩქიანები** ფიქრს მისცემიან მწარესა“ (ვაჟა)...

5. საზღვრული ებიანი მრავლობითით დასტურდება, ხოლო პოსტპოზიციური მსაზღვრელი მხოლოდობით რიცხვშია: „გულს მიკლავს, გონებას მირევს **ფიქრები გაუგებარი!**“ (ვაჟა); „იქ ჰყრია დიდი **ლოდები, შავფერი, ციხისკარული**“ (ვაჟა); „როგორც **პეპლები, მშვიდი და ფრთხილი**, შემდეგ **აშლილი და აფრენილი...**“ (გალაკტიონი); „დარჩება აუხთან სანდალი და ძველი **ფოთლები, ყვითელი**“ (გალაკტიონი); „დილაა. სველია ბალახი. სველია **ბელტები ნედლი**“ (მუხრანი); „და მე ვიგონებ ჩახლართულ ღობეს, **სერებს თოვლიანს**“ (ანა); „ხომ არის ისეთი **დღეები, დარიანი**, ჰაერის სითბო მხრებში რომ აგწევს, აგამჩატებს“ (გ. კვარაცხელია) და სხვ.

ზოგჯერ პოსტპოზიციური მსაზღვრელი (როგორც ზემოთ წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს) განკერძოებული ან გავრცობილია მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებით.

ცალკე გამოიყოფა აგრეთვე განმარტოებული პოსტპოზიციური მსაზღვრელი (ასეთ შემთხვევებში წინა გამონათქვამის გათვალისწინებით აღდგება ხოლმე ის წევრი, რომელსაც მიემართება პოს-

ტპოზიციური მსაზღვრელი): „[ის] – **ირგვლივ დამკვიდრებული მყუდროებით თავმოზებრებული**, მოუთმენლად ელოდა ჩვენს მისვლას“ (რ. გვეტაძე)...

ხშირად პოსტპოზიციური მსაზღვრელი გათიშულია თავისი საზღვრულისაგან წინადადების სხვა წევრით: „გაჭირდა, **გლოვას** ვერავინ ვერ უძლებს **ამისთანასა**“ (რ. ერისთავი); „**წელიწადები** წავლიან **ძველნი**, შეიცვლებიან ქართი სიონი“ (გალაკტიონი); „**ხარს** ვგვევარ **ნაიალადარს...**“ (ვაჟა); „და... როდესაც **მზეს** შევხედე **გვირგვინოსანს**, ჩემო კარგო, ქვეყანაზე გავჩნდი ოდეს...“ (ანა).

საინტერესო ჩანს აგრეთვე იმ ტიპის პოსტპოზიციური მსაზღვრელი, რომელიც არამხოლოდ ბრუნვასა და რიცხვში ეთანხმება თავის საზღვრულს, არამედ თანდებულობიანი საზღვრულის კვალობაზე თავადაც გათანდებულებიანდება:

„ეს ორი დღეა, რატომღაც,  
ვარ **ხასიათზე ისეთზე...**  
ისე...  
რომ მკითხო მიზეზი, –  
ვერაფერს მოვიმიზეზებ“ (მუხრანი).

ატრიბუტულ-პოსტპოზიციური მსაზღვრელი ახალ ქართულში, როგორც ჩანს, მანც პოეტური მეტყველების კუთვნილებაა – ერთ-ერთი მხატვრულ-სტილისტიკური მახასიათებელი თუ რითმულ-რიტმული სტრუქტურის კომპონენტი.

ლ ე ვ ა ნ კ ე ლ ა უ რ ა ძ ე

## **ჟ ფონემის რეკონსტრუქციისათვის საერთოქართველურში**

როგორც ცნობილია, ქართულ შიშინა სიბილანტებს ზანურსა და სვანურში შიშინა ან სისინა სიბილანტისა და ველარული ხშულის კომპლექსები შეესატყვისება: ქართ. შ : ზან. შქ, სქ : სვან. შქ/შგ, სქ/სგ და ა.შ. გამონაკლისია მხოლოდ ქართული მჟღერი შიშინა სიბილანტი ჟ, რომელსაც სხვა ქართველურ ენებში არ ეძებნება მოსალოდნელი კანონზომიერი შესატყვისი ჟგ, ზგ ზგერათმომდევრობათა სახით.

ქართველურ ენათა შორის შესაძლო ახალი კოგნატების გამოვლენაზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო შემდეგმა ზანურმა ფორმებმა: (მეგრ.) (ქობალია) გო-ჟილატ-ა „გაჟლეტა, ამოწყდომა“, გო-ჟილიტ-უ-ა „გაჟლეტა, ამოწყვეტა“, (გუდავა) ჟილოტ-, (ლაზ.) ო-ჟლიპ-უ, ო-ზლიპ-უ, ო-ზლაპ-უ „გაჰყლეტა, გასრესა, გაჟლეტა“ (< \*ო-ჟლიტ-უ, ო-ჟლატ-უ?), რომელთა ძირისეული ხმოვნებიც კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ ჟლეტ-ა, ჟლიტ-ა ფორმათა სათანადო ხმოვნებს (ქართ. ე : ზან. ა, ქართ. ი : ზან. ი).

ამკარაა, რომ ქართ. ჟლეტ-/ჟლიტ- ისევე ეფარდება მეგრ. ჟილატ-/ჟილიტ- და ლაზ. ჟლიპ-, ზლიპ-, ზლაპ- მორფემებს, როგორც, მაგალითად, ქართ. ღლეტ-/ღლიტ- (ღლეტ-ა, ღლიტ-ა) – მეგრ. ღილატ-/ღილიტ-სა (ღილატ-უ-ა, ღილიტ-უ-ა) და ლაზ. ღლატ-/ღლიტ-ს (ღლატ-ერ-ი, ო-ღლიტ-უ), ხოლო ქართ. ჰყლეტ-/ჰყლიტ- – მეგრ. ჰყილატ-/ჰყილიტ-ს (ჰყილატ-უ-ა, ჰყილიტ-უ-ა). სახეზეა სრული იზომორფიზმი ამ ორ უკანასკნელ შეპირისპირებასა და ქართ. ჟლეტ-/ჟლიტ- : ზან. \*ჟლატ-/ჟლიტ- დაკავშირებას შორის და ერთადერთი, რაც ხელს გვიშლის, ეს ფორმებიც საერთო ძირიდან ნაყარად მივიჩნიოთ, ბგერათფარდობის – ქართ. ჟ : ზან.-სვან. ჟ – არაკანონზომიერი ხასიათია.

საიმისოდ, რათა ეს ბგერათფარდობა კანონზომიერ შესატყვილობად ვცნოთ, აუცილებელია კიდევ დაიძებნოს ჟ ფონემის შემცველი ისეთი შესაძლო ქართველური კოგნატები, რომლებშიც ისევე იქნება წარმოდგენილი დიფერენცირებული ხმოვანთშესატყვისობანი – ქართ.-სვან. ა : ზან. ო ან ქართ.-სვან. ე : ზან. ა – როგორც ეს ქართ. ჟლეტ- : მეგრ. ჟილატ- დაკავშირების შემთხვევაში გვაქვს. ეს არის ერთადერთი საშუალება ჩვენთვის საინტერესო ბგერათფარდობის ვერიფიკაციისათვის.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა შემდეგი დაკავშირებანი:

ქართ. ჟვერ-ი (საბა) „ფოთლიანი რტო“, (ქეგლ) „კუთხ. (იმერ.) ჭოკი, ხალა“, ჟვერ-ავ-ს (ქართლ.) „ძალიან სცემს, ბეგავს; ძალიან ავსებს, ტენის (ჭურჭელს)“, (ჩვენებურების ქართული – შ. ფუტკარაძე) „ბალახს თელავს, ფოთლებს აცლის ტოტებს, შეუბრალებლად, დაუნდობლად ექცევა გარემოს“, ჟვერ-ვ-ა (იმერ.) „დაქანცვა, დაღლა“, და-ჟვერ-ვ-ა, ჟვერ-ებ-ა (გურ.) „გალახვა, ცემა“... : ზან. (მეგრ.) ჟვარ-უ-ა „ჟვერვა, გამეტებით ცემა, დაქანცვა, ტანში მტვრევა“, (ლაზ.) ო-ჟვარ-უ „შოლტვა, წკეპვლა“, ო-ნჟვარ-უ, ო-ნჟვა-უ, ო-მჟვარ-უ „ფეხით გაქელვა (მაგ., ყანის...)“;

ქართ. ჟეჟ-ა (საბა) „წორცთ დაჯეჟკა“, (ქართლ.) მო-ჟეჟ-ავ-ს „ზერელედ, ნაჩქარევად გალენწავს (პურეულს)“, (ქიზიყ.) ამო-ჟეჟ-ვ-ა „ამოჟლეტა“, (ჯავახ. – ზედგინიძე) გამო-ჟეჟ-ვ-ა „ნედლი ბჯის (=მნა) გალენწავ“, (შ. ფუტკარაძე – ჩვენებურების ქართული) ჟეჟ-ავ-ს „თელავს, სრესს, არტყამს“ : ზან. (მეგრ.) ჟაჟ-უ-ა „ჟეჟვა“, (ლაზ. – ათინ.) ო-ჯაჯ-უ „ფეხით გასრესა, გაჭყლეტა, გათელვა (მცენარეულობისა)“ [შდრ.: სვან. ლგ-ჟჟ-გნ-ე „დაბეჟილი, დაჟეჟილი“, ა-ჟჟ-გნ-ე (ოთჟე-ჟინ...) „ბეჟავს, ჟეჟავს, ბეგავს, ჩეჩქავს“, ლა-ხ-ჟეჟ-ე (ჩლრ., ლმხ.) „(კეტი) დაარტყა“<sup>1</sup>];

წარმოდგენილ ორსავე შემთხვევაში ქართული ე ხმოვნის ფარდად ზანურში ა ხმოვანი ვლინდება:

ქართ. ჟვერ- : ზან. \*ჟვარ- (> მეგრ. ჟვარ-, ლაზ. ჟვარ-)<sup>2</sup>;

ქართ. ჟეჟ- : ზან. \*ჟაჟ- (> მეგრ. ჟაჟ-, ლაზ. ჯაჯ-).

ამრიგად, ჩვენს განკარგულებაშია უკვე სამი ისეთი მაგალითი, როცა შეპირისპირებული მასალა აკმაყოფილებს ბგერათფარდობის – ქართ. ჟ : ზან. -სვან. ჟ – ვერიფიკაციისათვის აუცილებელ პირობას, ავლენდეს დიფერენცირებულ ხმოვანთშესატყვისობებს – ქართ.-სვან. ა : ზან. ო ან ქართ.-სვან. ე : ზან. ა.

ქართ. ჟლეტ-/ჟლიტ-, ჟვერ- და ჟეჟ- ძირები ისევე შეეფარდება შესაბამის ზან. ძირებს (\*ჟლატ-/ჟლიტ-, \*ჟვარ- და \*ჟაჟ-), როგორც ყველა სხვა ე ხმოვნის შემცველი ქართული ფორმა – ა ხმოვნის შემცველ

---

<sup>1</sup> 3. ფენრიხმა ზან. (მეგრ.) ჟაჟ-უ-ას ქართ. (იმერ.) ზეზ-ვ-ა (“მაგრად დარტყმა ქვისა, ბელტისა, ჯირკისა და სხვა რისამე, რომელიც არა ჭრის”) შეაპირისპირა და ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის \*ზიეზი- არქექტიპი აღადგინა. გ. კლიმოვის 1998 წლის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში მითითებული ზანური ფორმა დაკავშირებულია როგორც ქართულ (იმერ.) ზეზ-ვ-ასთან, ისე ჟეჟ-ვ-ასთანაც. პირველ შემთხვევაში არქექტიპად რეკონსტრუირებულია \*ზიეზი-, ხოლო მეორეში – \*ჟეჟ-. ამ უკანასკნელ ძირს ავტორი ერთგან “ბუნდოვანს (vague)” უწოდებს (კლიმოვი 1998, 64). მეორეგან კი აღნიშნავს, რომ “ეს ზმნური ძირი ადასტურებს ჟ სპირანტის იშვიათობას ქართულ-ზანურ დონეზე” (იქვე, 153). ჟეჟ- ძირისგან ნაწარმოები ფორმები ქართულში უფრო ძველი და ფართოდ გავრცელებული ჩანს (ისინი, მაგ., საბასთან, ქიზიყურ დიალექტსა და ჩვენებურების ქართულშიც გვხვდება), ვიდრე ზეზ- ძირისაგანნი, და ზანურ (მეგრულ) და სვანურ განაყართან მნიშვნელობითაც უფრო ახლოა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, სრული უფლება გვაქვს ზან. (მეგრ.) ჟაჟ- და სვან. ჟეჟ-, ჟჟ- ძირებს სწორედ ქართ. ჟეჟ- დავუკავშიროთ და ისინი საერთო ამოსავალი \*ჟეჟ- ძირიდან მომდინარედ მივიჩნიოთ.

<sup>2</sup> დამოწმებული ზანური ფორმების შეპირისპირების საფუძველზე საერთო-ზანურისათვის \*ჟვარ- არქექტიპია აღდგენილი "ლაზურ-მეგრულ გრამატიკაშიც" (გვ. 830).

ზანურ ფორმებს და, აქედან გამომდინარე, წარმოდგენილ ქართულ ძირთა ჟ-ც ისევე კანონზომიერად შეესატყვისება ზან. ძირთა ჟ-ს, როგორც ამ ძირთა დანარჩენი ფონემები – ერთმანეთს.

Quod erat demonstrandum.

მაგრამ მაშინ დაისმის კითხვა, თუ რატომ არ მოგვცა საერთო-ქართვ. \*ჟ ფონემამ ზანურსა და სვანურში მოსალოდნელი \*ჟგ თანხმოვანთჯგუფი? ჩვენი აზრით, ამის მიზეზი სქ შუასიბილანტურ (პალატალიზებულ ალვეო-პალატალურ) \*ჟ<sub>1</sub> [z] და უკანასიბილანტურ (ველარიზებულ რეტროფლექსურ) \*ჟ<sub>2</sub> [z] ფონემათა უკიდურესად დაბალ სიხშირესა და, აქედან გამომდინარე, მათი ოპოზიციის უკიდურესადვე დაბალ ფუნქციურ დატვირთვაშია საძიებელი.

სწორედ ამას უნდა განეპირობებინა ის, რომ, როცა დასავლურ-ქართველურ დიალექტურ არეალში (რომლის გაგრძელებასაც ზანური და სვანური წარმოადგენს) სიბილანტთა გადაწევის „ჯაჭვური რეაქცია“ განხორციელდა – ანუ შუასიბილანტური ალვეო-პალატალები \*ჟ<sub>1</sub>, \*მ<sub>1</sub>, \*ჯ<sub>1</sub>, \*ჩ<sub>1</sub>, \*ჭ<sub>1</sub> (z, ɛ, dz, tɛ, tɛ') პალატო-ალვეოლარებში ჟ, შ, ჯ, ჩ, ჭ (ž, š, ž, č, č') გადავიდა, რასაც უკანასიბილანტურ რეტროფლექსთა \*ჟ<sub>2</sub>, \*მ<sub>2</sub>, \*ჯ<sub>2</sub>, \*ჩ<sub>2</sub>, \*ჭ<sub>2</sub> (z, ʃ, dz, tʃ, tʃ') სეგმენტაცია – ამოსავალ ბგერათა სპირანტულ და ველარულ კომპონენტებად დაშლა შქ, ჯგ, ჩქ, ჭკ (šk, žg, čk, č'k') მოჰყვა – დასავლურ ქართველურში არამჟღერ სიბილანტთა მაღალი ფუნქციური დატვირთვის მქონე ოპოზიციები ტრანსფორმირებული (ტრანსფონოლოგიზებული) სახით შენარჩუნდა, ხოლო მჟღერ სპირანტთა ოპოზიცია მოიშალა და უკანასიბილანტური \*ჟ<sub>2</sub> [z] ფონემა სქ შუასიბილანტური \*ჟ<sub>1</sub> [z] -საგან მიღებულ ჟ [ž] ფონემას შეერწყა.

მას შემდეგ, რაც ნაჩვენებია ბგერათფარდობის – ქართ. ჟ : ზან.-სვან. ჟ – კანონზომიერი ხასიათი, შეგვიძლია შესადარებლად მოვიხმოთ ისეთი მასალაც, რომელიც – იმის გამო, რომ შეპირისპირებული ფორმები დიფერენცირებულ ხმოვანთშესატყვისობებს არ ავლენს, ან ველარულ თანხმოვნებს შეიცავს<sup>1</sup> – ვერ გამოდგებოდა აღნიშნული ბგერათფარდობის ვერიფიკაციისას. ასეთი მასალის შედარების

<sup>1</sup> როგორც ცნობილია, შესატყვისობა ქართ. შიშინა : ზან.-სვან. შიშინა/სისინა + ველარი არ დასტურდება, როდესაც ამოსავალი ძირი ველარულ თანხმოვანს შეიცავს; აქედან გამომდინარე, ასეთ ძირთა შეპირისპირების შემთხვევაში ვერ გამოირიცხებოდა იმის შესაძლებლობა, რომ ფარდობა ქართ. ჟ : ზან.-სვან. ჟ სწორედ ველართა დისიმილაციური გავლენით ყოფილიყო შეპირობებული.

დროს აუცილებელია გამოირიცხოს შედარებულ ფორმათა ნასესხობა ქართულიდან ზანურსა და/ან სვანურში და პირიქით.

ასეთად გვესახება, მაგალითად, შემდეგი ქართულ-სვანური დაკავშირებანი:

1) ქართ. (ხევს.) ბაჯ-ავ-ს „აგიჟებს, ჭკუიდან შლის“, და-ი-ბაჯ-ებ-ი-ს „გადაირევა, გაგიჟდება, ჭკუაზე შეცდება“ : სვან. ბაჟ „ჭკუა, გონება, გონიერება; გონი (გრძნობა), ცნობა, ცნობიერება“.

ვფიქრობთ, შესაძლებელია ხევსურულში გამოვლენილ ბაჯ-ძირს, რომელსაც არ ეძებნება განაყარი ქართული ენის სხვა დიალექტებში, დაუკავშირდეს სვანური ბაჟ-. სვანურს დაცული აქვს ამოსავალი მნიშვნელობა („ჭკუა, გონება“), რომლის კვალი ქართულშიც შენარჩუნებულია (> „ჭკუიდან შეშლა“). ქართ. (ხევს.) ბაჯ- < \*ბაჟ- აფრიკატიზაციით (ჟ > ჯ სპორადული გადასვლისათვის ხევსურულში შდრ. (ხევს.) ბაჯ-ი „ბაჟი“ < ბაჟ-ი, კრიჯან-ი < კრიჟანგი...). სესხება ნაკლებ სავარაუდოა და, შესაბამისად, სხვა ახსნაც, გარდა შეპირისპირებულ ძირთა საერთო წარმომავლობის დაშვებისა, არ ჩანს;

2) ქართ. რიჟუ-რაჟუ-ღ „განთიადი“, შე-რიჟუ-ებ-ა „შეღამება“ : სვან. რგჳ-ი „ნათელი, გათენებული, განთიადი“.

ქართული რიჟუ- და სვანური რგჳ- ძირები ფორმითაც და მნიშვნელობითაც ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ კოგნატებად მათი მიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ დავუშვებთ, რომ სვანური ძირისათვის ამოსავალი სქ \*რიჟუ- უნდა იყოს: სვან. რგჳ- < \*რიჳ- < \*რიშ- < \*რიჟ- < \*რიჟუ- ბოლოკიდური უ-ს კარგვით, ჟ-ს გაყრუებითა და შ სპირანტის ჳ-ში გადასვლით?

3) ქართ. ღაჟ-ღაჟ-ი „წითლად ელვარება, წითლად ბრწყინვა; (საბა) „ფურცელთ ფერადობა“ : სვან. (ბზ., ჩლრ.) ნა-ღაჟ „ციალი, არეკლილი სინათლე“.

სვან. ღაჟ- ქართ. ღაჟ- ძირის ზუსტი შესატყვისია. აშკარაა, რომ სესხების დასაშვებად არავითარი საფუძველი არ არსებობს.

4) ქართ. და-ბჟუ-ებ-ა „გრძნობიერების დროებით დაკარგვა ან დასუსტება სხეულის რომელიმე ნაწილში“, ბჟუ-ილ-ი „სუსტი, დაბალი, გაბმული ხმაურის შეგრძნება ყურებში; თავისებური შეგრძნება, რომელიც დამახასიათებელია დაბჟუებული ხელებისათვის, ფეხებისათვის“, ბჟუ-ი-ს „ჟიჟინებს, ჟრიალის ხმას გამოსცემს“ : სვან. (ბზ., ლშხ.) ბჟგ-ლ-მა-ბჟგ-ლ, (ბქ., ლნტ.) ბჟგ-ლ-მა-ბჟგ-ლ „ზუზუნი, ბზუილი, ჟიჟინი, ბჟუილ-ბჟუილი“;

ქართ. ჟუ(ვ)-ილ-ი („მატლი დიდძალი ვითარცა სიმრავლე ფუტკართაჲ ჟუოდა ჳელთა ზედა მისთა“, კიმენი I, 317, 26-27), (საბა) ჟუვ-ილ-ი „დაბუჟებულის ჳორცის ჩხვლეტა“, (თუშ.) ჟუ-ილ-ი „ფუტკრების ბზუილი“ : სვან. ჟუ-ლ, ჟუ-ლ „ზუზუნი“, (ჩლრ. – ლიპარტელიანი) ჟუ-ლ „ეკლესიაში გალობის, ვედრების ხმა“, (ზს.) ჟუ-ლ-მა-ჟუ-ლ „ხმაური (ხალხისა, ქარისა...), ქარბუქის ზუზუნი“, (ზზ., ჩლრ.) ჟუ-ლ-მა-ჟუ-ლ, (ბქ.) ჟუ-ლ-მა-ჟუ-ლ „გაბმული ხმაური ყურებში“.

სქ ენობრივი ერთიანობის ხანისათვის აღდგება \*ბუზ-, \*ზუზ-ილ- (> ქართ. ბუზ-ი, ბზუ-ილ-ი, ზან. (მეგრ.) ბუზ-ინ-ი „კუილი“, (ლაზ.) ბუზ-ალ-ა „ბზუილი“, სვან. ბუზ-ულ „ბუზი“, (ზზ.) ლი-ბზუ-ლ-ი „ბზუილი“, (ჩლრ. – ლიპარტელიანი) ბზუ-ლ-ი „ბზუის“...) და \*ზუ-ილ- (> ქართ. ზუ-ილ-ი, ზან. (მეგრ.) ზუ-ლ-ა, ზვი-ლ-ა „ზმუილი, ღრიალი, ბღავილი“, ლი-ზუ-ლ-ი „ხმადაბალი ტირილი“) არქექტიპები. ზევით წარმოდგენილი, ჟ-ს შემცველი ქართული და სვანური ფორმები სქ \*ბუზ-, ბზუ-ილ- და \*ზუ-ილ არქექტიპებიდან მომდინარე ქართველურ ფორმათა იდენტური აღნაგობისაა და ქართ. ბჟუ-ისევე შეეფარდება სვან. ბჟუ-ს (<\*ბჟუ-), ხოლო ქართ. ჟუ- – სვან. ჟუ-ს, როგორც ქართ. ბზუ- – სვან. ბზუ-ს, ხოლო ქართ. ზუ- – სვან. ზუ-ს.

შეიძლება დაგვეშვა, რომ ა) ბზუ-//ბჟუ- და ზუ-//ჟუ- დუბლეტური ძირები პარალელურად განვითარდა ქართულსა და სვანურში, ან ბ) სვანურმა ქართულიდან ისესხა ჟ-ს შემცველი სიტყვები. ცხადია, ხელაღებით ვერც ერთ ამ შესაძლებლობას ვერ გამოვრიცხავთ, მაგრამ:

ა) ისტორიულ-შედარებითი კვლევისას უპირატესობა იმ შესაძლებლობას უნდა მიენიჭოს, რომელიც ჰიპოთეტურ ცვლილებათა ნაკლებ რაოდენობას ითვალისწინებს; ეს კი იმას ნიშნავს, რომ უფრო სავარაუდო უნდა იყოს დუბლეტურ ძირთა განვითარება უკვე სქ ენობრივ დონეზევე, ვიდრე – ცალ-ცალკე ქართულსა და სვანურში.

ბ) რაც შეეხება სესხებას, სვანურში ამავე ყალიბის კიდევ არაერთი მედიოაქტიური ზმნური ფორმა გვხვდება, რომლებიც ასევე სქ-დან მომდინარედ მიიჩნევა, მაგ: (ზზ., ლშხ.) ბღგლ-ი//ბღღლ-ი, (ბქ.) ბღგლ-ი, (ლნტ.) ბღელ-ი „ბღავის“ (< სქ. \*ბღაჟ-ილ-; შდრ. ქართ. ბღავ-ილ-ი), (ზზ., ლშხ.) ბღჟლ-ი//ბღღლ-ი, (ბქ., ლნტ.) ბღჟლ-ი „ბღუის“ (< სქ. \*ბღუ-ილ-; შდრ. ქართ. ბღუ-ილ-ი), (ზზ., ლშხ.) კრლ-ი, (ბქ., ლნტ.) „კივის“ (სქ. \*კიჟ-ილ-; შდრ. ქართ. კივ-ილ-ი), (ზზ., ლშხ.) ყულ-ი, (ბქ., ლნტ.) ყულ-ი „ბღავის, ყვირის, ღრიალებს, ყმუის“ (< სქ.



\*ყუ-ილ-; შდრ. ქართ. ყუ-ილ-ი), (ზზ., ლზზ.) ჭყგლ-ი, (ბქ., ლენტ.) ჭყგლ-ი „ჭყვივის“ (< სქ. \*ჭყვივ-ილ-; შდრ. ქართ. ჭყვივ-ილ-ი) და სხვ. ამის გათვალისწინებით და ასევე იმაზე დაყრდნობით, რომ ზევით ნაჩვენები იქნა ფარდობის – ქართ. ჟ : ზან.-სვან. ჟ – კანონზომიერი ხასიათი, ვფიქრობთ, მსგავსი აღნაგობის ჟ-ს შემცველი სვანური ფორმებიც ამ ენის სქ-ურ მემკვიდრეობად უნდა იქნას მიჩნეული.

ცალკეა განსახილველი ქართული ენის რაჭულ და გურულ დიალექტებში დადასტურებულ სიტყვათა, შესაბამისად, ჟანტლ-ისა („ნედლი შეშა, რომელსაც ცეცხლი არ ეკიდება“) და ჟონტორ-ოს („სველი, დამპალი შეშა“) მიმართების საკითხი. ჟანტლ- და ჟონტორ- ძირითა მნიშვნელობითი იდენტობა და გარეგნული მსგავსება აშკარაა; თვალშისაცემია ისიც, რომ გურული ჟონტორ- ისევე ეფარდება რაჭულ ჟანტლ-ს, როგორც, მაგ., ზან. (მეგრ.) მონტყორ- – ქართ. მატყლ-ს (შდრ. (ლაზ.) მონტკორ-ი, სვან. მწტყ, მატყ), ან ზან. (მეგრ.) ჭყონტორ- – ქართ. (რაჭ.) ჭყანტლ-ს. ეს კი გვაპყრობს, რომ ის სწორედ ზანურიდან (მეგრულიდან) არის ნასესხები და ისევე მიღებული \*ჟანტლ-იდან, როგორც ზან. (მეგრ.) მონტყორ- – \*მატყლ, ხოლო ჭყონტორ- – \*ჭყანტლ- არქექტიპებიდან, ანუ ზანურისათვის დამახასიათებელი კანონზომიერი პროცესების შედეგად: ა > ო გადაბერებით, ტლ ბგერათმომდევრობაში ლ-ს წინ გამყარი გ ხმოვნის განვითარებით, ო-ს მიერ გ-ს სრული წინმსწრები შემსგავსებითა და ლ-ს რ-ში გადასვლით – ჟონტორ- < \*ჟონტგლ – < \*ჟანტლ-.

ეს დაკავშირება იმით არის საყურადღებო, რომ შეპირისპირებული სავარაუდო ქართულ-ზანური კოგნატები დიფერენცირებულ ხმოვანთშესატყვისობას – ქართ.-სვან. ა : ზან. ო – ავლენენ და ამით აკმაყოფილებენ ბგერათფარდობის – ქართ. ჟ : ზან.-სვან. ჟ – ვერიფიკაციისათვის აუცილებელ პირობას. თუმცა იმის გამო, რომ გურულში დადასტურებული სიტყვის ზანურიდან მომდინარეობის გადაჭრით მტკიცება შეუძლებელია (ჟონტორ- ძირი არ ჩანს ზანურის დიალექტებში!), ჩვენთვის საინტერესო ბგერათფარდობის კანონზომიერი ხასიათის ვერიფიკაციისას მას, ცხადია, ვერ დავყრდნობოდით.

## **შიგა, შიდა მორფემებიანი კომპოზიტების მართლწერისათვის**

თანამედროვე ქართულში **შიგა** და **შიდა** მორფემებით ნაწარმოები კომპოზიტების დაწერილობა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია მართლწერის თვალსაზრისით.

ერთი მხრივ, დაისმის კითხვა: როგორ უნდა დაიწეროს ამ ზმნისართებით ნაწარმოები კომპოზიტები – ერთად თუ ცალ-ცალკე, მეორე მხრივ – რომელი მათგანი (**შიგა** თუ **შიდა**) გამოიყენება უფრო აქტიურად და როგორ უნდა გავითვალისწინოთ ისინი თანამედროვე ქართული ენის ახალ ორთოგრაფიულ ლექსიკონში.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ **შიგა** და **შიდა** შემდეგნაირადაა განმარტებული:

„**შიგ, შიგა** ზმნს. 1. აღნიშნავს, რომ ვინმე ან რამე იმაშია, რაზედაც მიუთითებს ამ ზმნისართით ნაგულისხმევი სიტყვა. სახლის მარცხნივ პატარა ადგილია შემოღობილი და **შიგ** ბოსტანია (ილია)... 2. გამოხატავს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება მიმართულია იმისაკენ, რაზედაც მიუთითებს ამ ზმნისართით ნაგულისხმევი სიტყვა. [ფიქრიას] თაროზე ლითონის მიჭვრიტინა ედგა და **შიგ** იყურებოდა (მ. ჯავახ.)... 3. პირდაპირ, სწორედ (რამეში, რისამე სიღრმეში) **შიგ** შუა სოფელში აშენებულია ქვიტკირის საყდარი (ი. გოგებ.)...“ [ქეგლი 1962:1391], ხოლო „**შიდა** (შიდასი) იგივეა, რაც **შიგნითა. შიდა** ლაშქარში იდგა ვახტანგი, მტერთან შეხვედრის წუთის დამთვლელი (გ. ლეონ.)...“ [ქეგლი 1962: 1395]. თანამედროვე ქართულში ძალიან ხშირად ეს ზმნისართები კომპოზიტებში ერთმანეთს ენაცვლება: **შიგაწვა // შიდაწვა, შიგაწნევა // შიდაწნევა** და სხვ.

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ მიხედვით, ერთად (ერთ სიტყვად) უნდა დაიწეროს „კომპოზიტები, რომლებშიც პირველ წევრად ზმნისართი ან თანდებულია წარმოდგენილი: **ზედნაშენი, თანამშრომელი...წინდაუხედავი, წინამორბედი...**“ [ნორმები 1986: 156].

დღეს დასტურდება ორივე ვარიანტი (ერთად დაწერილობით და – ცალ-ცალკეც), მაგ.: – თეატრი საფუძვლიანად რემონტდება? – ეს არის **შიდა** **სარემონტო** სამუშაოები, გარე ფასადს არ ვეხებით...“,

შდრ.: „დაიწყო **შიდასარემონტო** სამუშაოები“ [„ახალი თაობა“: 2013], „რაც შეეხება **შიგა სარემონტო** სამუშაოებს გათვალისწინებულია კედლების დამუშავება და სამღებრო სამუშაოების ჩატარება...“, შდრ.: „**შიგასარემონტო** სამუშაოები ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება“ [[architect.tbilisi.gov.ge](http://architect.tbilisi.gov.ge)] და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, გასარკვევია ისიც, დავუშვათ თუ არა **შიგას** პარალელურად **შიდა** ვარიანტიც, რომელიც თანამედროვე ქართულში ძალზე გააქტიურდა (**შიდაგაყვანილობა, შიდასახელმწიფოებრივი, შიდამოხილობა...**).

ვფიქრობთ, თანამედროვე ქართული ენის ახალ ორთოგრაფიულ ლექსი-კონში ამ სახის კომპოზიციები შემდეგნაირად უნდა იყოს წარმოდგენილი: **შიგასარემონტო // შიდასარემონტო, შიგაგაყვანილობა // შიდაგაყვანილობა, შიგაწნევა // შიდაწნევა, შიგაწვა // შიდაწვა** და ა. შ.

რ ო მ ა ნ ლ ო ლ უ ა

## **მოსაზრება მაშტოცის მიერ ქართული და ალბანური დამწერლობების „შექმნის“ შესახებ ცნობის გაჩენის დროისა და წყაროსთან დაკავშირებით**

მაშტოცის ქართლსა და ალბანეთში შესაძლო მოღვაწეობის შესახებ ძირითად წყაროდ მიჩნეულია კორიუნის თხზულება. კორიუნი, არმენოლოგიაში დამკვიდრებული აზრით, წყაროა ლაზარ ფარპელისთვის, მოსე ხორენელისა და სხვა ავტორებისთვის, როდესაც ისინი მაშტოცის საქმიანობას აღწერენ. მიუხედავად ამისა, ამ წყაროთა შორის მნიშვნელოვანი განსხვავებანი შეინიშნება როგორც სომხური ანბანის შექმნის პროცესის აღწერისას, ისე ქართულ და ალბანურ დამწერლობათა შესახებ საუბრისას. ზოგიერთი მათგანი (ლაზარ ფარპელი და სხვ.) მაშტოცის ქართლსა და ალბანეთში მოღვაწეობას არ იცნობს, ზოგი კი (კორიუნი, მოსე ხორენელი) – მას ერთმანეთისაგან განსხვავებულად აღწერენ.

აღსანიშნავია, რომ კორიუნის თხზულება ორი ძირითადი რედაქციითაა ცნობილი – „ვრცელი“ და „მოკლე“ („ფსევდო“) კორიუნი. „ვრცელ კორიუნში“ გამოსარჩევია ორი ყველაზე ადრეული ხელნა-

წერი (ორივე – XIV ს.), რომელიც ე. წ. სადღესასწაულოს კრებულებში დასტურდება. საყურადღებოა, რომ ამ ხელნაწერებში არ გვხვდება ცნობა მაშტოცის მიერ ქართული და ალბანური ალფაბეტების შექმნის შესახებ (შ. გაფრინდაშვილი). ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ კორიუნის თავდაპირველ ტექსტში ეს ცნობა არ იყო და იგი მოგვიანებით არის ჩამატებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრი გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა დროს უნდა თავჩენილიყო სომხურ საისტორიო მწერლობაში ცნობა მაშტოცის მიერ ქართულ და ალბანურ დამწერლობათა შექმნის შესახებ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, კორიუნის ტექსტში ეს ცნობა მოხვდა VI ს-ის დამლევს, ზ. ალექსიძე „ეპისტოლეთა წიგნში“ ამ ცნობის გაჩენას X ს-ის შემდგომ ვარაუდობს, ხოლო ბ. ხურცილავა მიიჩნევს, რომ სომხურ წყაროებში ის გაჩნდა XIII ს-ში, ხოლო მისი გაჩენა და გავრცელება ოვანეს ვანაკანისა და „ხორანაშატის“ სკოლის სხვა წარმომადგენელთა მოღვაწეობას უკავშირდება (თუმცა ეს მოსაზრება შეიძლება იქნას უარყოფილი იმის გამო, რომ გვაქვს XII ს-ის „მოკლე კორიუნის“ ხელნაწერი, რომელშიც ეს ცნობა უკვე დასტურდება).

სომხური წყაროების კრიტიკულად შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული ცნობა უნდა გაჩენილიყო სომხურ წყაროებში VII-IX სს-ში (სავარაუდოდ – IX ს-ში), ხოლო მისი შემთხვევითი უნდა იყოს ან მოსე ხორენელი, ანდა ის პირი, რომელმაც VII-IX სს-ში საფუძვლიანად გადააკეთა მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“ და ჩაამატა მასში ისეთი პასაჟები, რომელიც შეუძლებელია სცოდნოდა V ს-ის ავტორს (როგორც არის დათარიღებული მოსე ხორენელის თხზულება ზოგიერთი არმენოლოგის მიერ). მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიიდან“ ამ ცნობამ გადმოინაცვლა სხვა ავტორებთან, მათ შორის – კორიუნის „მოკლე“ რედაქციაში, ხოლო, რაც შეეხება „ვრცელ კორიუნს“ – მასში ეს ცნობა ჩაირთო გვიან, სავარაუდოდ, – XVII ს-ში. იგი განსხვავდება მოსე ხორენელისაგან, უფრო არარეალურია და გაუგებარი, რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეულია ინტერპოლატორის სურვილით იმაზე მეტად წარმოაჩინოს მაშტოცის „ღვაწლი“ ქართული და ალბანური დამწერლობების შექმნის საქმეში, ვიდრე ეს არის მოსე ხორენელის თხზულებაში. არგუმენტები, რომელიც აღნიშნულ მოსაზრებებს ამყარებს, იქნება წარმოდგენილი მოხსენების დროს.

## **რუსულენოვანი ებრაელები საქართველოში**

ებრაელებს საქართველოში ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. ისინი მიგრაციის თარიღისა და ენის ფლობის თვალსაზრისით რამდენიმე ჯგუფად შეიძლება გავყოთ: 1) სეფარდული ტრადიციის ებრაელები, რომლებიც საქართველოში 26 საუკუნის წინ გამოჩნდნენ 2) აშქენაზი ებრაელები, რომლებიც საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ჩნდებიან 3) ლახლუხი ებრაელები, რომლებიც მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩამოსახლდნენ საქართველოში და 4) საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან, ძირითადად, კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან და ცენტრალური აზიიდან მიგრირებული ებრაელები, რომლებიც საქართველოში მე-20 საუკუნიდან ჩნდებიან, (შერეული ქორწინების შედეგად).

საქართველოში მცხოვრები ებრაელების შესახებ ისტორიული ცნობები უმეტესად 26 საუკუნის წინ ჩამოსახლებულ სეფარდული ტრადიციის მატარებელ ებრაელებს ეხება, რომლებიც საქართველოში ძველი ებრაულითა და არამეული ენით უნდა მოსულიყვნენ. ქართველებისა და ებრაელების 26 საუკუნოვანი ისტორია იმდენად პოპულარულია, რომ თითქმის ყველა ებრაელს ბაბილონური ტყვეობის დროს საქართველოში მიგრირებულთა შთამომავლებად მიიჩნევენ. სეფარდული ტრადიციის ებრაელების სამეტყველო ენა საუკუნეების განმავლობაში გახლდათ ქართული, მაგრამ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან სოციალური წარმატება უშუალო კავშირში აღმოჩნდა რუსულ ენასთან, ამიტომ სეფარდი ებრაელების სოციალურად მაღალი ფენა (რომლებიც უმეტესად საქართველოს დიდ ქალაქებში – თბილისში, ცხინვალში, ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში ცხოვრობდნენ) რუსულენოვანი გახდა. პირებს, რომლებიც ლინგვისტურად ასიმილირდნენ რუსულენოვან გარემოში, სოციოლინგვისტიკაში რუსოფონები ეწოდებათ. მაცხოვრებელთა სპეციალური ჯგუფი – რუსოფონები – ენობრივი კონკურენციის გარკვეულ ვითარებაში ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე იმ დროის განმავლობაში, როცა რუსულის სოციალური პრესტიჟი გაიზარდა სახელმწიფო პოლიტიკის მიერ ხელოვნურად შექმნილი ხელსაყრ-

ლი პირობების გამო, რაც მიზნად ისახავდა, წაეჭეხებინა რუს ერთან გაიგივების სურვილი. თუ გადავხედავთ საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა მშობლიური ენების მონაცემებს, შეიძლება ვთქვათ, რომ რუსიფიკაციის პროცესი საკმაოდ წარმატებული ქართველ ებრაელთა შემთხვევაში გამოდგა, რადგან ისინი თავიანთ მშობლიურ ენად რუსულს ხშირად აღიარებენ.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში გამოჩნდნენ აშქენაზი ებრაელები. ისინი მოვიდნენ იდიშითა და რუსულით, ან მხოლოდ რუსულით და საქართველოში ცხოვრების პერიოდში საკომუნიკაციოდ ძირითადად რუსულს იყენებდნენ. მათი მოსვლის დროს, შემდეგ კი საბჭოთა პერიოდში, საქართველოში დომინანტური ენა იყო რუსული, ამიტომ იმდროინდელი საქართველოს ენობრივი სიტუაცია აძლევდა მათ საშუალებას ქართული არ შეესწავლათ. ისინი ბოლომდე რუსულენოვნებად დარჩნენ. რუსული იყო ძირითადად მათი მშობლიური ენა.

მე-19 საუკუნის ბოლოდან საქართველოში ქურთისტანიდან მოსული ე. წ. ლახლუხები ებრაელებიც მოსახლეობდნენ, რომლებიც ახალ-არამეული ენის მატარებლები იყვნენ. ისინი აშქენაზთა მსგავსად ცარიზმისა და საბჭოთა პერიოდის მიგრანტები გახლდნენ. შვილებს ასწავლიდნენ უმეტესად რუსულ სკოლებში. საკომუნიკაციო ენად უმეტესად რუსულს იყენებდნენ ოჯახშიც და სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან საურთიერთოდ, რის საშუალებას იმდროინდელი ენობრივი სიტუაცია მათ თავისუფლად აძლევდა. მხოლოდ მცირე ნაწილმა გადაწყვიტა შვილები ქართულ სკოლებში მიეზარებინათ. არამეულენოვანი ლახლუხი ებრაელების უმეტესობა საქართველოში რუსულენოვნები გახდნენ და რუსულით განაგრძეს ცხოვრება.

მე-20 საუკუნეში შერეული ქორწინების შედეგად საქართველოში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან, შუა აზიიდან და კავკასიიდანაც მოვიდნენ ებრაელები, ძირითადად რუსული ენით. რადგან აღნიშნულ პერიოდში რუსული ასრულებდა სახელმწიფო ენის ფუნქციას საქართველოში და ამასთანავე მაღალი პრესტიჟით სარგებლობდა, ასეთი შერეული ოჯახები თითქმის ყოველთვის რუსულზე გადადიოდნენ და რუსულენოვნები ხდებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მცხოვრები ებრაელები სხვადასხვა ენის მატარებლები იყვნენ მიგრაციის დასაწყისში (ებრაული, არამეული, ახალ-არამეული, იდიში, რუსული), საქარ-

თველოში ისინი ან ქართულენოვანები გახდნენ, ან პირველ ენად რუსული შეითვისეს და რუსული გახდა (ან იყო თავიდანვე) მათი მშობლიური ენა.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ებრაელებს საშუალება მიეცათ თავიანთ ისტორიულ სამშობლოს დაბრუნებოდნენ. 90-იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მიმდინარე რთულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია ასევე ებრაელთა დიდი ნაწილის ისრაელში, რუსეთში, ამერიკასა თუ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში (ან სხვა ქვეყანაში) გადასახლება. რუსულენოვანი ებრაელები საქართველოს ფარგლებს გარეთაც რუსულენოვნებად დარჩნენ, გადასცენ რუსული შვილებსაც, მაგრამ, რადგან ისრაელში სახელმწიფო ენა ებრაულია/ივრითია (სხვა ქვეყნებშიც შესაბამისი ენები), შვილებისათვის რუსული ყოველთვის აღარაა მშობლიური ენა, თუმცა რუსულის ფლობის კომპეტენცია მათთანაც მაღალია. საქართველოდან მიგრირებულ ებრაელთა საშუალო და უმცროსი თაობის უმეტესობა ქართულს ნელ-ნელა ივიწყებს, ხოლო რუსულს კვლავ მაღალი კომპეტენცია აქვთ. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ რუსულს დღემდე მაღალი პრესტიჟი აქვს ისრაელში. ბევრ ქართველ ებრაელს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა აქვს რუსეთთან, დასაქმების დროსაც რუსულის ცოდნას აქვს გარკვეული უპირატესობა და საერთოდ, რუსულის სოციალური ღირებულება გაცილებით მაღალია, ვიდრე ქართულისა.

ამდენად, საქართველოში რუსულენოვანი ებრაელების უმეტესობა ამქენაზური წარმოშობის, ქურთისტანიდან, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან მიგრირებული ებრაელები იყვნენ, რომლებიც მე-19 და მე-20 საუკუნეებში გამოჩნდნენ საქართველოში ძირითადად რუსული ენით. ცარისტულმა იმპერიამ თუ საბჭოთა სისტემამ საშუალება მისცა მათ რუსულით გაეგრძელებინათ ცხოვრება საქართველოში. სეფარდი ებრაელების უმეტესობა, რომლებსაც საქართველოში ცხოვრების 26 საუკუნოვანი ისტორია აქვთ, რუსულენოვანი გახდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, რასაც ბიძგი მისცა რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ და მაღალ სოციალურ წრეებთან ინტეგრაციის სურვილმა. რეპატრაციის შემდგომ რუსული ენის მაღალი კომპეტენცია თითქმის ყველა რუსოფონმა ებრაელმა შეინაჩუნა და გადასცა იგი მომავალ თაობებს.

ქეთევან მარგიანი, რამაზ ქურდაძე,  
მაია ლომია

## **ნამყო დროის მიმღეობების სემანტიკური და ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების საკითხები ქართველურ ენებში**

ნამყო დროის მიმღეობის ორი ძირითადი ტიპი დასტურდება ქართველურ ენებში: ნა-პრეფიქსიანი (ქართ. ნა-შენები, ნა-ჭამი, ნა-ცხობი; სვან. ნა-გამ, ნა-მუნ, ნა-ჭაჭ; მეგრ. ნაჭკომა, ნაჭვი) და -ულ/-ილ სუფიქსიანი: (ქართ. (ა)შენებ-ულ-ი, (შე)ჭმ-ულ-ი, (გამო)-ცხობ-ილ-ი; მეგრ. ჭკომ-ილ-ი, ჭვ-ილ-ი). ქართულ-მეგრული სუფიქსიანი მიმღეობის სემანტიკური ფარდია სვანურში ლგ-ე/ო, მგ-ე კონფიქსიანი მიმღეობური ფორმები: ლგგე, ლგმე, მგჭე.

გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც განსხვავება, რომელიც შეიძლება ოდესმე არსებულებით -ილ/-ულ სუფიქსიან წარმოებასა და ნა-პრეფიქსით ნაწარმოებ ვნებითი გვარის მიმღეობათა ფორმებს შორის გრამატიკული შინაარსის თვალსაზრისით, დღეს არ არსებობს.

ვფიქრობთ, ამ ფორმათა შორის ოდესღაც არსებული სემანტიკური განსხვავება შემდეგი ხასიათისა უნდა ყოფილიყო: პირველი ტიპის (ნა-პრეფიქსიანი) მიმღეობა სემანტიკურად მიემართებოდა პირველი თურმეობითის უპრევერბო ფორმას და ექსპერიენციული მნიშვნელობისა იყო – მის სემანტიკაში ამა თუ იმ მოქმედების (/მდგომარეობის) პრეცედენტის არსებობა/არარსებობა იყო მთავარი, ხოლო ეს მოქმედება დასრულდა თუ არა, ან შედეგი გამოიკვეთა თუ არა, არ იყო მნიშვნელოვანი. დღეისათვის აღნიშნული ნიუანსები კარგად ჩანს ვრცელ კონტექსტში. ნამყოს მიმღეობის მეორე ტიპი, რომელიც თანამედროვე ქართულში თითქმის ყოველთვის ზმნისწინანია (გასუბსტანტივებული შემთხვევების გარდა: წნული, წერილი, ჭრილი...), სემანტიკურ სიახლოვეს პირველი თურმეობითის პრევერბიან ფორმასთან ამჟღავნებს და კონკრეტულ შედეგს მიემართება.

მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართულშივე დასტურდება ნამყო დროის პრეფიქსიანი და სუფიქსიანი მიმღეობები, შესაძლებელია დაისვას ამ ფორმათა ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების



საკითხი ქართველურ ენებში, რაც იქნება დამატებითი არგუმენტი მათ შორის არსებული სემანტიკური ნიუანსების წარმოსაჩენადაც.

სალიტერატურო ენის დიაქრონიული მონაცემების ანალიზის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნა-პრეფიქსიანი მიმღეობები უფრო ძველი წარმოშობისაა, ვიდრე -ულ/-ილ სუფიქსიანი (ქართულსა და მეგრულში) და ლგ-ე/0, მგ-ე კონფიქსიანი (სვანურში) წარმოების მიმღეობები, ვინაიდან:

**ა)** მათ შემადგენლობაში იშვიათად ჩანს თემის ნიშანი (ქართულსა და მეგრულში), ხოლო თემისნიშნისაგან უმეტესად მოეპოვებათ უთემისნიშნო პარალელური ფორმები (ნაშენები – ნაშენი, ნაკეთები – ნაკეთი...); ასევე, ისინი უმეტეს შემთხვევაში ვერ ითავსებენ ზმნისწინს ან ამგვარი ფორმები ძალიან ხელოვნურ იერს ატარებს (ანაშენები, დანაწერი...), რაც ასევე ნა-პრეფიქსიან ფორმათა ადრეულ წარმოშობაზე უნდა მეტყველებდეს;

**ბ)** ნა-პრეფიქსიანების სიძველეზე მეტყველებს მათი მიმართება I თურმეობითის უპრევერბო ფორმებთან, ვინაიდან, როგორც ცნობილია, გარდამავალ ზმნათა I თურმეობითები უძველესი ფორმაციის – სტატიკური ზმნებისგან მომდინარეა ინვერსიის გზით. გადინამიკურების შემდეგ კი ამ ზმნების თავდაპირველი მნიშვნელობა, შედეგობითობასთან ერთად, ექსპერიენციულობაა, შესაბამისად, ექსპერიენციაა ნა-პრეფიქსიან მიმღეობათა უმთავრესი მახასიათებელიც.

**გ)** მნიშვნელოვან არგუმენტად მიგვაჩნია ისიც, რომ I თურმეობითის (resp. შედეგობითის) უპრევერბო ორგანულ ზმნურ ფორმათა აღწერითად გადაკეთებისას სემანტიკური იდენტურობა მიიღწევა დამხმარე ზმნითა და საუღლებელი ზმნის ნა-პრეფიქსიანი მიმღეობით (მე დათვის ხორცი არასოდეს მიჭამია = მაქვს ნაჭამი...). შესაბამისად, ამ სემანტიკური ნიშნით (ექსპერიენციით) უპირისპირდებიან პრეფიქსული მიმღეობები სუფიქსური/კონფიქსური წარმოების ნამყოს მიმღეობებს, რომლებიც, სავარაუდოდ, უფრო გვიანდელი წარმოშობისანი არიან; შესაბამისად, ზმნისგან მეძველდროებით წამოდებული აქვთ შედარებით გვიან ჩამოყალიბებული კატეგორიები: ასპექტი, მიმართულება (გეზი და ორიენტაცია), რაც უცხოა ნა-პრეფიქსიანი მიმღეობებისთვის.

**გარდაქცევითობის -ს სუფიქსის ამოსავალი  
მნიშვნელობა აფხაზურში და მისი კავშირი საერთო  
იბერიულ-კავკასიურ შესაბამის ოდენობასთან**

აფხაზურში სახელის გარდაქცევითობის კატეგორიის მაწარ-  
მოებელი სუფიქსია **-ს**. ეს სუფიქსი დაერთვის ზოგადობის პრეფიქ-  
სჩამოშორებულ სიტყვას და გვაძლევს მნიშვნელობას, რომელიც  
ქართულად თარგმნისას ვითარებითი ბრუნვის ფორმით გადმოიცე-  
მა: მაგ.: **ახაწა** „კაცი“, **ხაწა-ს** „კაცად“, **აჩუგ** „ცხენი“, **ჩუგ-ს** „ცხენად“,  
**აფჳეს** „ქალი“, **ფჳეს-ს** „ქალად“ და სხვ.

მკვლევართა ნაწილი, ამ მიზეზით, აღნიშნულ სუფიქსს ბრუნ-  
ვის ნიშნად მიიჩნევს. მაგრამ, როგორც დამაჯერებლად დაასაბუთა  
აკად. ქეთევან ლომთათიძემ, აფხაზურ ზმნას ინკორპორაციული  
ბუნების გამო ბრუნვები არ გააჩნია და მითუმეტეს გარდაქცევითი  
ბრუნვა. ქ. ლომთათიძე ამ – **ს** ელემენტს ვითარების ზმნისართებში  
ადასტურებს. მაგ.: **ას** „ასე“, **უს** „ისე“, **აბას** „ასე“ და ა. შ. ეს ელემენტი  
შესაძლოა აგრეთვე იყოსო ზმნის საგარემოებო შ, ელემენტთან კავ-  
შირში.

წარმოდგენილი აფხაზურ-ქართველური ძირ-ფუძეები ჯერ  
კიდევ პ. ჭარაიამ შეაპირისპირა.

**-ს** უძველესი საერთო იბერიულ-კავკასიური ზმნისართული  
ელემენტი უნდა იყოს.

საინტერესოა **-თ**- ელემენტის გამოვლენა ამ ზმნისართში გუ-  
რულ-იმერულში: **ასთე, ისთე** ... აღსანიშნავია, რომ ტაპანთურში **-ს**-ს  
ადგილას **-თა** სუფიქსი გამოიყენება რიგ შემთხვევებში.

მოხსენებაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ გარდაქცევითობის  
**-ს** მაწარმოებელი ზმნისართული წარმოშობისაა, წარმოადგენს საერ-  
თო იბერიულ-კავკასიურ ოდენობას და შეუძლებელია მისი ბრუნ-  
ვის ნიშნად მოაზრება.

## „პიკნიკი თუ არიფანა“ – იოსებ გრიშაშვილის ერთი შენიშვნის შესახებ

იოსებ გრიშაშვილის უმდიდრეს ბიბლიოთეკაში, რომელიც რამდენიმე ათას ნაბეჭდ ერთეულს აერთიანებს, არის მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავლის“ ორი გამოცემა (მთარგმ. გ. ყიფშიძე), რომელთაგან მეორის ტექსტში ლექსემა პიკნიკის რამდენჯერმე გამოყენების გამო სახალხო პოეტსა და გამორჩეულ ბიბლიოფილს მიუწერია – „პიკნიკი თუ არიფანა“.

**პიკნიკი** ბუნების წიაღში, ღია ცის ქვეშ გასეირნებაა დროის გასატარებლად, რომელიც იმთავითვე გულისხმობს წახემსებას. განსახილველმა სიტყვამ მნიშვნელობა დაივიწროვა და იმ საკვების აღმნიშვნელადაც იხმარება, რომელიც პიკნიკის მონაწილეებს თან მიაქვთ.

ინგლისური წარმოშობის სიტყვა პიკნიკი [picnic], რომელიც ქართულში რუსულის გზით უნდა იყოს შემოსული, არა მარტო თარგმანებში, არამედ მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა ნაწერებშიც დასტურდება, თუმცა უმეტესად იმგვარ კონტექსტებში, რომლებიც ამ სიტყვით აღნიშნული მოვლენის უცხოობას უსვამს ხაზს (მაგალითად, „სასწავლებელში გამოზრდილი მისი [მებატონის] ქალები ახალ მოდებს აჰყოლოდნენ. აბა, ბალებს, პიკნიკებს, მასკარადებს როგორ მოაკლდებოდნენ!“ – გ. წერეთელი, „პირველი ნაბიჯი“).

იოსებ გრიშაშვილის შენიშვნას შესაძლოა საფუძვლად დასდებოდა რაფიელ ერისთავის შემდეგი მსჯელობა-განმარტება: „ეს სიტყვები [მათ შორის დასახელებულია пикник – ფსონი, არიფანა] იქამდის მიყრუებულან და მოძველებულან, რომ თუ პირველათ რუსულათ არ დავასახელებთ, ზოგიერთმა იქნებ ვერც გაიგოს პირდაპირ ქართულად“; „პიკნიკი ქართულად ითქმის: არიფანა“.

მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრებთ თითოეული სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაზე, დავახასიათებთ მათს ლექსიკოგრაფიულ, დერივაციულსა და სინტაგმატურ ველებს, გავანალიზებთ მხატვრულ კონტექსტებს და, განსახილველი სიტყვებით აღნიშნული ცნებების მოცულობათა შედარების საფუძველზე, შევეცდებით ვუპასუხოთ კითხვას – რა მიმართებაა **პიკნიკსა** და **არიფანას** შორის.

**ნასესხები რელიგიური ლექსიკური ერთეულების შემცველი სვანური ჰიბრიდული ტოპონიმების ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ადაპტაციისათვის**

ამჯერად ჩვენი მოხსენების ძირითად მიზანს ნასესხები რელიგიური ლექსიკური ერთეულების შემცველი სვანური ჰიბრიდული (resp. ნაჯვარი) ტოპონიმების გამოვლენა, ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ტრანსფორმაციების ანალიზი, ნასესხობების შემოსვლის გზებისა და ქრონოლოგიის დადგენა წარმოადგენს, რისთვისაც დიდძალი საანალიზო მასალა (ე. წ. *ჰიბრიდული ტოპონიმები*), რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი სვანურია (ანუ პოვნიერია სვანურში), ნაწილი კი – შემოსულია ან სხვა ქართველური ენებიდან, ან რომელიმე უცხო ენიდან (მაგ., ბერძნულიდან, ებრაულიდან, რუსულიდან...) ქართულის, ან მეგრულის გზით, დავაჯგუფეთ რამდენიმე ნაწილად:

1) **სინტაგმის ერთ-ერთი წევრი ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები რელიგიური ტერმინის ამსახველი ლექსიკური ერთეულია, მეორე კი საკუთრივ სვანური (არარელიგიური ლექსიკური ერთეული): ბაპრე ლარწლ (ბზ.) „სამოვრები (ზედმიწ. – პაპ-ებ-ი[ს] სათიბები)“ < მეგრ.-ლაზ. პაპ-უ < ლათ. *papa* < ბერძნ. *papas*-იდან „მამა“ და სვან. *ლარწლ* „სათიბები“; ბარბალ ზაგარ (ლნტ.) „ყანა; ქედი (ზედმიწ. – წმ. ბარბარე-[ს] ზეგანი/ქედი)“ < ქართ. წმ. ბარბარე < ბერძნ. *Βαρβάρα* და სვან. *ზაგარ* „ზეგანი, ქედი, უღელტეხილი“...**

2) **სინტაგმის ერთ-ერთი წევრი ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები რელიგიური ტერმინის ამსახველი ლექსიკური ერთეულია, მეორე კი საერთოქართველური (არარელიგიური ლექსიკური ერთეული): მაცხჷარი ლაშდხჷიარ/ლაშთხჷიარ (ბზ.) „სასაფლაო (ზედმიწ. – მაცხოვრ-ი[ს] სამარხი)“ < ქართ. მაცხოვარი და სვან. *ლაშდხჷიარ/ლაშთხჷიარ* „სასაფლაო (შდრ. ს.-ქართვ. *\*(ს1)თხარ-/(ს1)თხრ-*“; ნაკჷმ ჯჷარილდ (ბქ.) „სასაფლაო; დაფერდებული ადგილი (ზედმიწ. „ვაკ-ის *ჯვარ-უკ-ა*)“ < სვან. *ნაკ* „ვაკე (შდრ. ს.-ქართვ. *\*უაკ-ე*)“ და ქართ. *ჯვარ-ი*...**

3) **სინტაგმის ერთ-ერთი წევრი ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები რელიგიური ტერმინის ამსახველი ლექსიკური ერთეულია, მეორე კი ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები არარელიგიური ლექსიკური ერთეული: ბარბლჷ მიდამ** (უშგ.) „ეკლესიის მიდამო (ზედმიწ. – წმ. ბარბარე-[ს] მიდამო)“ < ქართ. წმ. ბარბარე < ბერძნ. Βαρβάρα და სვან. მიდამ < ქართ. მიდამო; **ქრისდემ ლასფლატჷრ** (ბქ.) „სასაფლაო (ზედმიწ. – ქრისტე-ს სა-სა-ფლ-ა-ო)“ < ქართ. ქრისტე < ბერძ. χριστός და სვან. ლასფლატჷრ[ი] < ქართ. სასაფლაო...

4) **ზოგჯერ სინტაგმის ორივე წევრი ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები რელიგიური ტერმინია: ტან/იტჷნ მახრო-ბელ** (ბზ.) „ეკლესია (ზედმიწ. – იოანე მახარობელ-ი)“ < ქართ. ივანე < ძვ. ქართ. იოვანე < ძვ. ებრ. ioxanan/iehoxanan „ღვთის წყალობა“ და ქართ. მახარობელი; **მეკემ/მეკჷმ თარგლეზერ** (ბქ.) „ეკლესია (ზედმიწ. – მიქაელ მ-თავ-არ-ანგელოზ-ი)“ < ქართ. მიქაელ/მიქელ მთავარანგელოზ-ი < ძვ. ებრ. miqael „ღვთის სწორი, ღვთაებრივი“...

5) **გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა სინტაგმაში მონაწილე რელიგიური ტერმინის ამსახველი ლექსიკური ერთეულებიდან ერთ-ერთი კომპონენტი ქართულიდანაა (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები, ხოლო მეორე ან საერთოქართველურია (მაგ.: ნაცემ-ნიშ ლატჷმი** (ბქ.) „ნასაყდრალი (ზედმიწ. – [იოანე] ნა-თ-ლ-ის-მ-ც-ემ-ელ-ის სალოცავი)“ < ქართ. ნათლისმცემელ-ი და სვან. ლატჷმი „ეკლესია/სალოცავი (შდრ. ს.-ქართვ. \*ჯატჷმ-)“...); **იელიაშ ნალატჷამ** (ბქ.) „ნაეკლესიარი (ზედმიწ. – წმინდა) ელია-ს ნაეკლესიარი)“ < ქართ. წმინდა) ელია (< ძვ. ებრ.) „ღმერთი – სიმაგრე ჩემი“ და სვან. ლატჷმი „ეკლესია, სალოცავი (შდრ. ს.-ქართვ. \*ჯატჷმ-)“...), **ან საკუთ-რიგ სვანური** (მაგ.: **იელრ ლამზერ/იელ-ლამზერ** (ლშზ.) „სახნავი (ზედმიწ. – ელია-[ს] სალოცავი)“ < ქართ. წმინდა) ელია (< ძვ. ებრ.) „ღმერთი – სიმაგრე ჩემი“ და სვან. ლამზერ „სალოცავი“...); **მაცხტჷრი ლამზერ** (ბზ.) „გზა, ტყე (ზედმიწ. – მაცხოვრ-ი[ს] სალოცავი)“ < ქართ. მაცხოვარ-ი და სვან. ლამზერ „სალოცავი“ და ა. შ.

ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილ ჰიბრიდულ ტოპონიმ-თა ძირითად მოდელებში ერთ-ერთი კომპონენტი (უმეტესად პირველი, ანუ ამ შემთხვევაში რელიგიური ლექსიკური ერთეული), როგორც დიდძალი საილუსტრაციო მასალის განხილვამ აჩვენა, შეთვი-

სებული აღმოჩნდა ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით), ხოლო მეორე კომპონენტი, ანუ არარელიგიური ლექსიკური ერთეული ან საკუთრივ სვანური, ან საერთოქართველური, ან ასევე, ქართულმეგრულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) ნასესხები. ცხადია, გზადაგზა მათ თვალსაჩინო ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ადაპტაცია განუცდიათ.

უცხოენოვან რელიგიურ ლექსიკურ ერთეულთა ფუძეები სვანურში დასტურდება როგორც ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი სახით, ასევე სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებითა თუ სემანტიკური ნიუანსებით. ზოგიერთი ნასესხები ფუძე „გასვანურებულია“, ანუ შეიცავს სვანური ენისათვის დამახასიათებელ მორფოლოგიურ ინვენტარს: პალატალურ, ველარულ თუ ლაბიალურ უმლაუტს, გრძელ ხმოვანს, ანაპტიქსურ ელემენტს და ა. შ. საანალიზო რელიგიურ ლექსიკურ ერთეულთა ერთ ნაწილში კი საკმაოდ ხელშესახებია შემდეგი ფონეტიკური პროცესები: თანხმოვანთა გამჟღერება (მაგ.: **ბაპჷ კალჷ** „მღვდლის ეზო“...), **ლ/მ/ნ/რ** (სონორ) თანხმოვანთა მონაცვლეობა (მაგ.: **მექემ/მექჷმ თჷრგლეზერ** „მიქელ მთავარანგელოზი“...), რედუქციის პროცესები მსუბუქ და მძიმე ბირთვებში (მაგ.: **ოჷჷნ/ჷჷან მახრობელი ლაჷჷჷმ** „იოანე მახარობ[ე]ლის ეკლესია/სალოცავი“...), ბგერათა დაკარგვა (მაგ.: **ნაცემნიშ ლასფლაჷრ** „იოანე ნათლისმცემლის სასაფლაო“...) და სხვ.

როგორც მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, მრავალრიცხოვან სვანურ ჰიბრიდულ ტოპონიმებში შესიტყვების პირველ კომპონენტად დადასტურებული რელიგიური ლექსიკური ერთეულები, რომელთა უმეტესი ნაწილი ქართული სალიტერატურო ენიდანაა დამკვიდრებული, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სწორედ ფონეტიკურ-ფონოლოგიური თვალსაზრისით. ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს მეტად რთულ ფონოლოგიურ გარდაქმნებთან, რაც, ჩვენი აზრით, საკმაოდ ძველ ნასესხობებზე მიანიშნებს.

## მურმან სუხიშვილი

### ძველი ქართულის CVCC ტიპის ჭელჭ-ფუმის წარმოქმნის ერთი შესაძლო გზა

პეტრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონის მერვე თავი ტრაპეზის შემზადებასა და მსახურთა დუმლითა და სიმშვიდით მსახურებას ეხება; აღნიშნული თავის მეხუთე მუხლში ასეთი დათქმა იკითხება: „და ნუმცა იქმნების პურისა გინა ღვინისა და სხუათა მათ სანოვაგეთა, რომელ განწესებულ არიან, შეცვალება უგულუბელს-ყოფითა და ჭელჭობითა“ (8, 5); ამ ფრაზაში წარმოდგენილი ჭელჭობა („ჭელჭობითა“) ძველი ქართულისათვის უცნობი სიტყვაა, ის მხოლოდ ა. შანიძის მიერ 1971 წ. გამოცემულ პეტრიწონის ტიპიკონის ტექსტში დასტურდება; ტიპიკონზე დართულ ლექსიკონში პარალელური ბერძნული ტექსტის შესაბამისი სიტყვის (διδά φειδωλῶν) მიხედვით ჭელჭობითა განიმარტება როგორც „დაზოგვით“ (ამის შემდეგ, 1995 წ., ჭელჭობა დამოწმებულია ზ. სარჯველაძის მიერ გამოცემულ ძველი ქართული ენის ლექსიკონში: ჭელჭობა „გამოზოგვა“); ავ. შანიძე ტიპიკონის ლექსიკონში ასეთ განმარტებას აკეთებს: „მგონია, „ჭელჭი“, რომლისგანაც ნაწარმოებია „ჭელჭობა“ იგივე უნდა იყოს, რაც იმერეთში (მაგ., ქუთაისში) ხმარებული ჭინჭელი, ჭინჭელობს... ა. შანიძის აზრით, იგივე უნდა იყოს, აგრეთვე, ჭელტობა (მ. სწ. 274, 14) – შესიტყვა ვაჭრობაზე, დაჩინჩება (აბულაძე 1973), თუმცა ამ ვარაუდებს აღარ მიბრუნებია.

ძველი ქართულის ჭელჭ- CVCC სტრუქტურის ფუმეა, საერთოქართველური ძირეული მორფემის ძირითადი კანონიკური ფორმა კი არის CVC (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965) სადაც C სიმბოლო სონანტური ფონემის აღმნიშვნელი S სიმბოლოთი შეიძლება შეიცვალოს (CVS-, SVC-, SVS-); გადახრები ამ სტრუქტურული მოდელიდან კი ბევრ შემთხვევაში ძირითადი მოდელის ფუმეთა რედუპლიკაციით და ამ რედუპლიკაციის შედეგად მომხდარი ფონეტიკური ცვლილებებით იხსნება.

ვფიქრობ, რომ სამსჯელოდ წარმოდგენილი ჭელჭ- ფუმე რედუპლიცირებული ჭელ- (← მჭელ-, მჭელ-ი „მუჭი, მუშტი, მჯიდი, ძნა – აბულაძე 1973) უნდა იყოს; ჭელ- → ჭელ-ჭელ- → ჭელ-ჭ (შდრ.,

ჭელ-ი „მოცელილი და ერთმანეთზე მიწვენილი ყანა (ქეგლ VIII). ანალოგისათვის: ქერ- ქ ← ქერ-ქელ (ქერქი – ქგლ VII, შდრ, ქერქელა – გარე კანი, ჩენჩო ... ქგლ VII) და სხვ. (ერთელიშვილი 1970, 204).

აღნიშნავენ, რომ რედუპლიცირებული ფუძეების (ძირების) რიცხვი ქართულში საკმაოდ დიდია. რედუპლიკაციას ექვემდებარება უპირატესად CVC ტიპის ძირები (ერთელიშვილი 1970, 206). ამ სტრუქტურის ფუძეები საერთოქართველურშიც აღდგება – ანლაუტისა და აუსლაუტის იდენტური ხშული თანხმოვნებით (კენკ-, თენტ-, ღერღ- და სხვ. – ფენრიხი, სარჯველაძე 2000);

შეიძლება დადგეს ქართ. ჭელჭ „დაზოგვა, გამოზოგვა“ და მეგრ. ჭკაჭკუა „წვრილად დაჭრა“ (ყიფშიძე 1914) ფორმათა ფონეტიკური შესატყვისობის საკითხიც (შდრ., ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

## რ ო ს ტ ო მ ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე

### **მიმართულების გამოხატვის თავისებური შემთხვევები ჩეჩნურში**

1. ცნობილია, რომ ნახურ ენებში ზმნისწინები (და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული თანდებულები) ზმნისართული წარმოშობისაა. მაშასადამე, ზმნისწინი (ან თანდებული) ისტორიულად დამოუკიდებელი სიტყვა იყო, გაზმნისწინებით დაკარგა ლექსიკური მნიშვნელობა და, მასთან ერთად, წინადადების წევრობის უნარიც. დავას არ იწვევს დებულება, რომ ზმნისწინის ძირითადი ფუნქცია მოქმედების მიმართულების გამოხატვაა.

2. ჩეჩნურში გამოიყოფა ზმნათა ერთი ჯგუფი, რომლებიც პრევერბების გარეშეც მიმართულებას გამოხატავენ. ასეთია, მაგალითად:

**დ-ახ-ან** „წასვლა“ (საიქეთო მიმართულება)

**დ-აჰ (< \*დ-აღან)** „მოსვლა“ (სააქეთო მიმართულება)

**დ-აჰა-ან** „წალება“

**დ-აჰ** „მოტანა“

**დ-იგ-ან** „წაყვანა“

**დ-ალ-ჟო** „მოყვანა“...



მოქმედების მიმართულების გამოხატვა, როგორც ჩანს, შესაძლებელი გახდა დასახელებულ ზმნათა სემანტიკური დაპირისპირების საფუძველზე.

3. ამ ზმნათაგან ნაწარმოები ბრძანებითის ან კაუზატიური ფორმებიც მიმართულებას უპრევერბოდ გამოხატავენ.

საინტერესოა, რომ ჩეჩნურში ჩამოთვლილი ზმნები პრევერბებსაც ჩვეულებრივ იგუებენ, ე. ი. პარალელურად გვაქვს: დიგა<sup>5</sup> – დ'ა-დ-იგა<sup>6</sup> და მისთ.

ლი ა ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე

### **პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონის ახალი გამოცემისათვის**

1920 წელს დაიბეჭდა პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონი, რომლის ავტორებია არიან: გიორგი გედე-ვანიშვილი, სამხედრო ინჟინერი, არტილერისტი, ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარე და სატერმინო სექციის თავმჯდომარის მოადგილე, ვასილ კაკაბაძე – ინჟინერ-ტექნოლოგი, ქიმიკოსი, სატერმინო სექციის თავმჯდომარე და ტექნიკური საზოგადოების მდივანი; ინჟინერ-მშენებელი ირაკლი მჭედლიშვილი და იმ დროისათვის თბილისში გახსნილი რუსული პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, სატერმინო სექციის მდივანი დავით ბერიკაშვილი, ქიმიკოსი, იმჟამად ჯიხაიშის გიმნაზიისა და ოთხწლედის მასწავლებელი – რუსუდან ნიკოლაძე, ინჟინერ-ტექნოლოგი, მათემატიკოსი – გიორგი ნიკოლაძე, ინჟინერი ივანე ბერიძე და ქიმიკოს-ორგანიკოსი, ლაიფციგიდან ახლად დაბრუნებული მიხეილ შალაშვილი. ლექსიკონი სამ თვეში გაყიდულა, 1921 წელს კი მისი შევსებული და გადამუშავებული ვარიანტი გამოუციათ. ლექსიკონები საგანგებოდ არასდროს გამოკვლეულა, შესაბამისად, არ არის გამოკვლეული ავტორთა ტერმინოლოგიური მუშაობის პრინციპებიც.

ლექსიკონის საკმაოდ ვრცელ წინასიტყვაობაში ნათლადაა ჩამოყალიბებული ავტორთა თვალსაზრისი ტერმინოლოგიის ხასიათის შესახებ. მათი აზრით, „თანამედროვე კულტურასთან დაახლო-

ვებას და მის დონემდე ამაღლებას მეცნიერული ენის გაეროვნება იწვევს და არა გაერთაშორისება, ხალხს სწორედ ეროვნული ტერმინოლოგია უღებს დასავლეთის კარს და მომავალში ევროპასთან ერთ კულტურულ ენაზე დალაპარაკების, ე. ი. ამ დონემდე ამაღლების საშუალებას აძლევს. უცხო ტერმინების ხმარება-კი ამ განათლებას აფერხებს და მოწინავე ქვეყნებთან ხალხის გატოლებას აგვიანებს“.

ავტორთა აზრით, ე. წ. საერთაშორისო სიტყვებით ენის დამიმება ბუნებრიობას აკარგვინებს და მკვდარ ენად გადაქცევის საშიშროებას უქმნის მას. ქართული ენისთვის „ბაბილონური ზვავის“ ასაცილებლად მხოლოდ ენის უმდიდრესი ლექსიკური მასალისა და ძირების გაცოცხლება ესახებათ. „უცხო ხალხთან დასალაპარაკებლად ან უცხო წიგნების წასაკითხად როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ ტერმინოლოგიას ერთი და იგივე ფასი აქვს, რადგან ორივე ერთნაირად გამოუსადეგია, თუ თვით ეს უცხო ენები უცნობია. საკუთარ ქვეყნისთვის-კი ნამდვილ ეროვნულ ტერმინოლოგიას ვერც ერთი სხვა ვერ შეედრება“.

„სიტყვარის – პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონის“ მასალის შესწავლისას ცხადი ხდება მათი მუშაობის პრინციპები, კერძოდ,

1. აცოცხლებენ ძველ ქართულ სიტყვებს; გადმოაქვთ ძველ ქართულ ლექსიკონებში არსებული ტერმინები, რომლებიც იმდროისათვის, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ გამოიყენებოდა, მაგალითად, *ბაი* („კაკაო“), *წრიაპი*, *ძგიფი* (მცირედ შეყინული), *ჯირგინი* (მიწის ქვეშ გათხრილი წყლის სადინარი), *დამანი* („კრისტალი“), *მენაკი* („ხარისხი“), *ნუშა* („მომცრო ნავი“), *ჟღუნი* („საკვნეტი მაკრატელი“, Кусачки), *ლიფი* („გასანთლული ლარი“), *ბანჯვინი* („ბენზინი“), *ტალანი* (Коридор), *კრია*, *მოთხე* („კოლოფი“), *შორენკეცი* („ჭრელი აგური“), *ყიბლანი* (არაბ. „კომპასი“), *ცქიტი* („ცენტრი“), *წირთხლი*, *სამყე* („კაუჩუკი“), *ღრუდო*, *ფერსო*.

2. ქართული ძირებით ქმნიან ხელოვნურ ტერმინებს; მაგალითად, „პა-წია, წია – „უმცირესი“, ეს სიტყვა თავის სიმოკლითაც და ხმოვანობითაც იმის მაჩვენებელია, რომ ის ნივთიერების *პაწია წილს* შეადგენს, მაგრამ ის წილი მატერიის დანაყოფი ნაწილადი-კი არ არის, არამედ ამ ნივთიერების სადასაბამო ინდივიდუალური ერთეული“, *წია* ატომს უწოდეს; და-*კუწ*-ვა: *კუწი* – „ნაწილაკი“, და-*ყოვნ*-ება: *ყოვნა*; სა-*კუთარ*-ი: *კუთრი*; *წერტილი*: *წერტი*“ და სხვ.

3. იყენებენ არასალიტერატურო მასალას; მაგალითად: იმერული ღარბეში („ჩარჩო, რომელშიც ჩამაგრებულია წისქვილის ღარის თავი“) გამოიყენეს რუსული სიტყვის водоспуск აღსანიშნავად, „ღარბეში“, „წყალჩამშვი“; Кобальт-ს ლინჯა უწოდეს, სპილენძთან (მეგრულად – „ლინჯი“) მისი ქიმიური ანალოგიის საჩვენებლად“, იცნობენ და იყენებენ სვანურ ლექსიკასაც. ამ მხრივ ლექსიკონის მასალა საგანგებო კვლევას მოითხოვს.

წელს 100 წელი შესრულდა პირველი ქართული ტექნიკური ლექსიკონის გამოცემიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ მისი გამოცემა კომენტარებით, რომლებშიც 1921 წლის ლექსიკონის განსხვავებული ვარიანტები იქნება მოცემული.

## მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

### მიზნის აღმნიშვნელი ლექსიკისათვის ძველ ქართულში

❖ ქართ. **მიზანი** არაბულიდანაა ნასესხები: არაბ. მიმლეობური **mizān[un]** „აწონილი“; არაბ.

**mizān** „სასწორის წამი, სასწორი“; არაბ. **vazāna** „აწონა“, „სასწორი (მეშვიდე ეტლი)“; არაბ.-თურქ. **nizām** „ჯარი; ჯარისკაცი; ჯერი, რიგი, წესრიგი“, შდრ.: ჭან. (მეგრ.) **მიზან**-ი / **ნიზამ**-ი (ხ. კ. ბარანოვის „არაბულ-რუსული ლექსიკონი“; იოსებ ყიფშიძე; ივანე ჯავახიშვილი; აკაკი შანიძე; მზია ანდრონიკაშვილი).

ქველ-ის (ტ.V) განმარტებით, ქართ. **მიზანი** პოლისემანტიკურია და აღნიშნავს: „1. რაც უნდა განახორციელონ; რისკენაც მისწრაფვიან; რასაც უნდა მიაღწიონ; ... **მიზნით** ენაცვლება -თ ვ ი ს თანდებულს: იმ მიზნით (=იმისათვის); 2. წერტილი, რომელსაც თოფსა და მისთ. უმიზნებენ; ადგილი ან საგანი, რომელსაც უნდა ესროლონ – სამიზნი ნიშანი. **მიზანში სროლა** – ♠ მიზანში ამოიღებს. ♠ მიზანში იღებს. 3. ცეცხლ-სასროლი იარაღის ლულის წინა ნაწილზე მცირედ ამობურცული ადგილი დამიზნების გასაადვილებლად“.

ლექსემა **მიზანი** ძველ ქართულ ენობრივ სივრცეში არ დასტურდება. ცხადია, ძველ ქართულში მოიპოვებოდა „მიზნის“ სემანტიკის შემცველი ქართული წარმომავლობის ლექსიკა, რომელიც დღეისათვის ამ ნასესხები სიტყვითაა ჩანაცვლებული.

❖ მოხსენებაში წარმოვადგენთ „მიზნის“ სემანტიკის შემცველ იმ ძველქართულ ლექსიკას, რომელიც გვხვდება როგორც სალექსიკონო, ისე საეკლესიო და მხატვრულ ლიტერატურულ მასალაში (სულხან-საბა; ილია აბულაძე; ზურაბ სარჯველაძე; ნიკო და დავით ჩუბინაშვილები; წმიდა წერილი, წმიდა დიონისე აეროპაგელი, წმიდა ბასილი დიდი, წმიდა გრიგოლი ნოსელი, წმიდა იოანე ოქროპირი, წმიდა იოანე დამასკელი, წმიდა იოანე პეტრიწი, თომა აქვინელი, „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, და სხვ.).

საკითხის დასმის წესით, საგანგებოდ განიხილება **მიზნის** აღმნიშვნელი სამი ძველქართული პოლისემანტიკური ლექსიკური ერთეულის ლექსიკურ-სემანტიკური ფუნქცია:

**1) ძვ.ქართ. განი** – „მიზანი; საგანი; ნიშანი ისართ სასროლი (გოდება 3,12); знамение на стрельяние; цѣль; мишень – კატელ.ანტ. 23; წერტილი; სიგანე; სივრცე, სიფართოვე“; შდრ.:

„გარდააცვა მშულდსა თვსსა და გაშწონა მე, ვითარცა **განი**, სა-ისრედ“, ანუ – „მოზიდა მშვილდი და ისართა *სამიზნედ* // სასროლ მიზნად დამსვა“ (გოდება იერემიასი 3,12);

**2) ძვ.ქართ. საგანი** – „(+3,12 გოდება) ისრის (ისართ) ნიშანი; განი; ჰაზრი, წადილი, განზრახვა; გულის-წადლი, გულის-ხმა; შინა განი ძალი არსისა, არსი, ცქლ, предмет; мишень; намерение სამიზნე; სამიზნო, დასამიზნებელი“;

შდრ.: ძვ.ქართ. **სასაგნო** – „ასაბადი, ესე არს მშვილდოსანნი სა-და ნიშანსა დასდებენ ისართა სასროლელად [სწავლებისათვის] ჴელის წაყრის სიმარჯვისათვის (წაყრისათვის მარჯვეობად); ისართ სასროლად დადებული ნიშანი სიმარჯვის საწუართნელად; ისართ სასროლი დადებული ნიშანი, ცქლ [meta]; мишень; ვისრამიანი 145; ზედ. საგნისადმი საკუთვნილი; სასროლი ადგილი; ძვ.ქართ. **უსაგნო** – „ზედ. უბოლოვო ან უცოდინარი საგან ზედ სროლისა, ერისთ. 22, безцѣльный, немѣткий; მიზანს ამცილებელი“, ძვ.ქართ. **უსაგნობა** – „საგანთ სროლა არ იცოდეს; საგანთ სროლის უცოდინარი (დიონის. 4,26); საგნისა არა ქონა, неимение ცქლი, немѣткость; მიზანს აცილება“, შდრ.:

„მშვილდოსანნი **გასაგანნა**, იტყვიან: „შაბა, შაბა!“, ანუ – [მეფე ფარსადანმა] „მშვილდოსნებს *მიზანში ასროლინა*“ („ვეფხისტყაოსანი“, 373.4); „გული ძეს **საგნად** ისრისა, მესვრის საკრავად სამალი“, ანუ – ავთანდილი ეუბნება თინათინს: „ჩემი გული (სიყვარულის) *ისრის სამიზნედ* არის ქცეული“ („ვეფხისტყაოსანი“, 708.2);

**3) ძვ.ქართ. პირი** – „1. სიტყვიერობის (სათქმელის) კარი; 2. ... პირ-უტყვთა ზედა არა ითქმის, არამედ სიტყვიერთა ზედა (იოანე დამასკელის კათილორიიდან, თავი 27-ე); ტუჩი, დრუნჩი; პირისახე; სახე; მჭრელი იარაღის პირი; თავი; წინა ნაპირი; ნაპირი; საზღვარი; ზედაპირი; წინამხარე; შესასვლელი; თვისება; სახეობა; განზრახვა; საწინააღმდეგო; სიტყვა; საქმე; საგანი“;

შდრ.: ძვ.ქართ. **პირობა** – „პაემანი; პაემნის დადება; გამდოლა; სიტყვის დასკვნა შეკრულობა წერილით ან ზეპირ; მოწადინება; განზრახვა“; **პირობიანი** – „პაემნის გამთავვე; პირობის გამთავვე“; **გაპირებ-ბა** – „საქმის დაწყების ნება“; **აპირებდა** – „ქმნას ლამობდა“; **ნაპირი** – „ყოველთა კიდეთა სახელი არს ნაპირი“; **სანაპირო** – „კიდურთა ადგილი“; **უპირო** – „კაცი პირობის გამტეხი, გინა ისართ ზრო, გინა შუბის (შუბთ) ბუნი პირდაუსხმელი“; **შეპირება** – „პირობის მიცემა“; შდრ.:

„შეუძლებელ არს ჩემი მეფეთა წინაშე წარსლვად, რამეთუ მე ვიცი, თუ **რომლისა პირისათეს** მივმოხეი, ანუ – „... მე ვიცი რა მიზნით, რომელი საქმისათვის, რისთვისაც მიხმობენ“; „და ამის პირისათეს, რადთა ესევეთარი ესე ბოროტი, რომელი მოაწიეს ჩუენ ზედა ბერძენთა, არა დავიწყებულ იქმნას“, ანუ – „და იმისათვის, იმ მიზნით, რომ ...“ („ცხოვრებად იოვანესი და ეფთვმესი“); „ვეფხისტყაოსანში“ ლექსემა **პირის** შემცველი 200-მდე მაგალითიდან რამდენიმე – „მიზნის“ სემანტიკის შემცველია, მაგ.: **პირიანი** – „მიზანშეწონილი“, **პირობა** – „რჩევა, გეგმის აწონ-დაწონა“, და სხვ.

❖ მოხსენებაში დასმული საკითხის ჯერისამებრ გადაწყვეტი-სათვის, აუცილებელია ქართ.

**მიზნის** ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის კვლევის შემდეგ მიმართულებათა ერთობლივად გათვალისწინება:

• **მიზნის** აღმნიშვნელი ძველქართული ლექსიკური მარაგის შევსება-გადამოწმება;

- **მიზნის** აღმნიშვნელი ლექსიკური მარაგი ქართულ დიალექტებში;

- **მიზნის** აღმნიშვნელი ძველქართული ლექსიკის სინონიმია;

- „მიზნის“ სემანტიკის შემცველ ლექსემათა ლექსიკურ-სემანტიკური ფუნქციის დაზუსტება

ძველ ქართულში (**მიზანი** და **საშუალება**; **მიზანი** და **შედეგი**; **მიზეზისა** და **მიზნის** მრჩობლად აღბეჭდილი სინტაქსური ფუნქციის პრობლემა);

- **მიზნის სუბიექტის**, ანუ მოქმედის (განმახორციელებლის) და **მიზნის ობიექტის**, ანუ

მოქმედების საგნის – საღვთისმეტყველო შინაარსი, მაგ.: „[შესაქმისეული] **სიტყუაჲ** ღმრთისაჲ – **საქმე არს**“ (წმიდა გრიგოლი ნოსელი); „ყველა ხილული თუ უხილავი **მიზეზი** პირველმიზეზოვანია, ანუ **შედეგია** – უზეშთაესი პირველმიზეზისა“ (წმიდა იოანე პეტრიწი); ასევე: წმიდა პავლე მოციქული, წმიდა ბასილი დიდი, წმიდა იოანე ოქროპირი, თომა აქვინელი);

- „მიზნის“ სემანტიკის გამოხატვის მორფო-სინტაქსური თავისებურება ქართულში:

საგნობრივი მნიშვნელობის მქონე წინდებულთა (თანდებულის, ზმნისწინის), ასევე, ზმნიზედის (გარემოების) სიტყვაწარმოებითი ფუნქციისათვის;

- **მიზეზისა** და **მიზნის** მრჩობლი ლექსიკურ-სინტაქსური ფუნქციონირების ამსახველი

ექსტრალინგვისტური მონაცემები, დეფინიციები და პოსტულატები (**სული** და **ხორცი**, **დრო** და **სივრცე**; **პორიზონტალი** და **ვერტიკალი** (← ჯვარი), და სხვ.

## ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი

### **ბარბარიზმების საკითხისათვის თანამედროვე ქართულში\***

ბარბარიზმი არის სიტყვა, რომელიც ერთი ენიდან მეორე ენაში შედის და გამოიყენება იმ სიტყვების ნაცვლად, რომლებიც ენაში არსებობს და სრულად გადმოსცემს შესაბამის ცნებასა და შინაარსს; მაგალითად: სტოლი – მაგიდა, სპიჩკა – ასანთი, პოლი – იატაკი, ფართი – წვეულება, რეფერი – მსაჯი და ასე შემდეგ. ბარბარიზმი უსარგებლო სიტყვაა.

დღესდღეობით ინგლისური ენიდან შემოდის მრავალი უცხო სიტყვა. შესაძლოა არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა, ესა თუ ის სიტყვა ბარბარიზმია თუ არა. შესაბამისად, შემოსული სიტყვები უნდა განიხილებოდეს ყოველი კონტექსტის გათვალისწინებით, რომ ზუსტად განისაზღვროს – ბარბარიზმია ის თუ ენაში უკვე დამკვიდრებული ახალი სიტყვა – ნეოლოგიზმი.

ჩვენ მოხსენებაში ამ საკითხზე გავამახვილეთ ყურადღება: გავანალიზეთ მრავალი მაგალითი, მათ შორის, ისეთი სიტყვები, როგორიცაა:

**ატრაქტიული** – ეს სიტყვა ინგლისური ენიდან არის შემოსული – **Attractive**. აღნიშნულ სიტყვას ქართულში შინარსობრივი სიზუსტით შეესაბამება ლექსიკური ერთეული: **მიმზიდველი, მისახიბლავი**. შესაბამისად, სიტყვა **ატრაქტიული** ბარბარიზმად უნდა განვიხილოთ. მოვიყვანთ მაგალითებს: გადადგმული ნაბიჯები **ატრაქტიულია**; გატარებული ღონისძიებები **ატრაქტიულია**. უნდა იყოს: გადადგმული ნაბიჯები **მიმზიდველია**; გატარებული ღონისძიებები **მიმზიდველია (ხიბლავს ყველას)**.

ამ ნიმუშის მიხედვით, საკითხი განიხილება ისე, რომ ინგლისურში ეს სიტყვა ზედსართავ სახელს მიეკუთვნება და ქართულში იგი შეიძლება გადმოიცეს როგორც ზედსართავი სახელი: **მიმზიდველი**, ისევე ზმნის პირიანი ფორმით: **ხიბლავს**.

---

\* პროექტი – „ქართული სალიტერატურო ენა ნორმასა და ვარიაციებს შორის“ ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

**დაჩქინდა** – ინგლისურად: **Check in** – ქართულად **დარეგისტრირებას, შემოწმებას** ნიშნავს. ამ კონტექსტის გათვალისწინებით იგი ბარბარიზმია, თუმცა **დაჩქინება** გადმოსცემს კიდევ სხვა მნიშვნელობას – **ადგილსამყოფელის გაგებინებას** ყველასთვის ინტერნეტის, სოციალური ქსელის მეშვეობით. ამ მნიშვნელობით ქართულში მას არ მოეპოვება ისეთი ეკვივალენტური სიტყვა, რომელიც ზუსტად გადმოსცემს აღნიშნულ ცნებას. შესაძლოა, რომ დროთა განმავლობაში **დაჩქინება** უფრო მორგებული გახდეს და ის ბარბარიზმად აღარ ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, როდესაც ვიგულისხმებთ მნიშვნელობას – ადგილსამყოფელის გაგებინებას სოციალური ქსელების მეშვეობით.

**ვორკშოპი** – ეს სიტყვაც ინგლისური ენიდანაა შემოხული (**workshop**). ამ სიტყვას ქართულში შეესაბამება **სამუშაო შეხვედრა, სემინარი**. **ვორკშოპს** აქტიურად გამოიყენებენ სამეცნიერო წრის წარმომადგენლები. მაგალითად: ჩვენი მეცნიერები **ვორკშოპის** ფარგლებში იყვნენ საფრანგეთის ერთ-ერთ ცნობილ უნივერსიტეტში. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ **სამუშაო შეხვედრა** და **სემინარი** ზუსტად ვერ ფარავს იმ მნიშვნელობას, რაც მოიაზრება **ვორკშოპში**. გარდა ამისა, სამეცნიერო სფეროში ამ სიტყვის აქტიური გამოყენებაც უწყობს ხელს იმ პროცესს, რომ **ვორკშოპი** დამკვიდრდეს ენაში როგორც ნეოლოგიზმი და არა როგორც ბარბარიზმი.

**სეპარირება** – ინგლისურად: **Separate**. ინგლისურში ის არის ზედსართავი სახელიც: **ცალკე** და ზმნაც: **განცალკევება**. როგორც მივუთითეთ, ქართულ ენაში მას მოეპოვება ადეკვატური მნიშვნელობის სიტყვები ზედსართავი სახელისა და ზმნის ფორმებით. მოვიყვანთ მაგალითს: იგეგმება ქუჩის ნაგვის, ნარჩენების **სეპარირება** საყოფაცხოვრებო ადგილიდან. სწორი ვარიანტია: იგეგმება ქუჩის ნაგვის, ნარჩენების **განცალკევება** საყოფაცხოვრებო ადგილიდან. ცალსახად უნდა ითქვას, რომ სეპარირება ბარბარიზმია.

ჩვენ მოხსენებაში განვიხილავთ კიდევ სხვა სიტყვებს იმის გათვალისწინებით, ისინი უნდა ჩაითვალოს ბარბარიზმებად თუ ნეოლოგიზმებად.



## ჩართული სვანურში

სვანურში გამოიყოფა ჩართული სიტყვების ჯგუფები, რომლებიც მნიშვნელობის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია: შეიძლება გადმოიციეს მოსაუბრის შეხედულება, რომ იგი დარწმუნებულია ნათქვამის უტყუარობა-უქვეულობაში, თუმცა ჩართული, ასევე, შეიძლება გამოხატავდეს მთქმელის დაეჭვებასა და ვარაუდს, წინადადებაში გადმოცემული ამბის შესახებ:

ჩ'აუდმდუხუტეხ, მაჲ საკურელ ლი, ეჩე, ნიცეპილჟი (ლშხ., სვან. ქრესტ., 261) „დაკრძალეს, რა საკვირველია, იქ წყლისპირას“

აღაძრს, მჲა ნროლ მიზეუ, სოლთანიმდ ათყალტინდახ (ბზ., სვან. ქრესტ., 67) „ამათ, რა გასაკვირია („რა იქნებოდა მიზეუი“) სოლთანის შეეშინდათ“

ხოჩილ თელღრას ხეთხელი, იმჟრ ხეთორი (ჩოლ.) „უკეთეს რძალს ეძებს, როგორც ეტყობა“

კოჯ ლი, კოჯ, უჯრაუა, კოჯ ლი სოფელი თხუმისა (ჩოლ.) „კლდეა, კლდე, დაუჯერებელი, კლდეა სოფლის თავში“

ჩართულით გადმოიციემა მოსაუბრის ემოცია და შეფასება, რომელიც გამოწვეულია წინადადების შინაარსით:

აშ, ღერთიწნიდ, გიე ნიშგუტეჲს ჳგიტ'ოხუტრხახ (ბზ., სვან. ქრესტ., 67) „ისე, საბედნიეროდ, გიე ჩვენებს სახლში დაუბრუნებიათ“

ეჯრ ეზარ, ქ'ერ მრდ აშყად ი ქა ლეხსად, ლაიღბალწლდ (ლშხ.) „ისიც კარგი, რომ არ გადავარდა და გადარჩა, საიღბლოდ“

ნაჲ ოგხუტრდა, ლაუბედრწლდ, ამკჲა უმკერა მასძელ (ჩოლ.) „ჩვენ შეგვხვდა, საუბედუროდ, ასეთი გაუგებარი მასპინძელი“

განკერძობებული სიტყვა-გამოთქმები შეიძლება გამოხატავდეს მთქმელის დამოკიდებულებასა და სურვილს, რომ წინადადებაში გამოთქმული მძიმე, უსიამოვნო ამბავი მთქმელსა და მსმენელს არ გადახდეთ:

ლაშრაუწლჟი, შორსუღი, ლაგუწან ლეთ ლიშრაუწლს იჩმუდახ (ლშხ.) „პირის გახსნისას, შორს იყოს, გასვენების დამეს პირის გახსნას აკეთებდნენ ხოლმე“

საფლავტუნენ, შორსული, ლალყმა შენობრლს აგემდახ (ჩოლ.) „საფლავზე, შორს იყოს, წვიმისაგან თავდასაცავ შენობას აგებდნენ“

საინტერესოა სიტყვა-გამოთქმებისა და შორისდებულების ისეთი ჯგუფი, რომლებიც ჩართულის ფუნქციით გამოიყენება, თუმცა მათი პირვანდელი სემანტიკა ჩართვის შემთხვევაში დაჩრდილულია და გარკვეულ ემოციურ ელფერს სძენენ თანმხლებ წინადადებებს, რაზეც ვრცლად მოხსენებაში ვიმსჯელებთ.

## ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

### **განუსაზრვრელი ოდენობის აღმნიშვნელი სახელები მეგრულში**

საგნის რაოდენობა, ძირითადად, რიცხვითი სახელით გადმოიცემა, მაგრამ საგნის განუსაზრვრელი ოდენობა გადმოიცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით: არსებითი სახელით, ზედსართავი სახელით, რიცხვითი სახელით, ნაცვალსახელით, ზმნიზედით.

საკმაოდ ბევრია საგნის სიმრავლისა და სიმცირის გამოხატველი სიტყვები.

#### **სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვებია:**

**ულიუ** – || **ულიური** „ულევი“; **ულისქი** – უთვალავი, აურაცხელი, **ეფშა** „სავსე, ბევრი“, **ბრელი** „ბევრი“, **აუარება** || **აუარებელი** „ბევრი, ურიცხვი“, **ხვეიანი** „ხვავიანი, ხვავრელი, ბევრი, ბლომად“, **ლიხიმი** || **ლგხგმი** „ბევრი, უთვალავი“, **ანაყუ** „ბევრი“, **ოში** „ასი, ბევრი“, **მუზმა** „რამდენი, ბევრი“ (კითხვითი სიტყვაც არის და სიმრავლესაც გამოხატავს), **მუსხი** || **მუსხე** „რამდენი, ბევრი“ (კითხვითი სიტყვაც არის და სიმრავლესაც გამოხატავს), **მილიონი** „მილიონი, ბევრი“, **ულიუ** || **ულივ** ულევად, **დასტობით** || **დასტა-დასტა** „ბლომად, ბევრი“, **ჯგირო** „კარგად, ბლომად“, **მერყას** – თავზესაყრელად, ბლომად, **მორღოთ** „ბლომად, მსხვილად“, **მორღო-მორღოთ** „ბლომ-ბლომად, მსხვილ-მსხვილად“, **გვარიანო** „გვარიანად, რიგიანად, საკმაოდ

კარგად“. **ქიანა** || **ქივანა** „ბევრი, ქვეყნის“, **კოკა** „კოკა, ბევრი, ბლო-  
მად“, **ფუთი** „ფუთი, ბევრი“, **ფუთობით** „ბევრი, ბლომად“, **კოკობით**  
„ბევრი, ბლომად“, **არაბა** „ურემი, ურემში შებმული წყვილი ხარი,  
ბევრი“, **ზღვა** „ზღვა, ბევრი“.

**სიმცირის აღმნიშვნელი სიტყვებია:**

**ბუცუცუნია** „მცირე რამ“, **აკაბუცხა** || **აკაბურცხა** || **აკაბცხა** „პა-  
წაწინა, ძალიან ცოტა, სულ ცოტა, ერთი ბეწო, ფრჩხილისოდენა“.  
**აკაბუცუნა** „პაწაწინა, ერთი ბეწო, პაწაწკინტელა“, **ცვარი** „ცვარი, წვე-  
თი, სულ მცირე“ **არცვარი** „სულ მცირე“ < ართი ცვარი „ერთი ცვარი,  
წვეთი“, **კაპიკი** || **კაპეკი** „კაპიკი, მცირეოდენი თანხა“, **მირსხალი** ||  
**მირცხალი** „მისხალი, მცირეოდენი“, **ჭიჭე** „პატარა, ცოტა“, **პირპილი**  
|| **პირპილია** „ნატამალი, ნამცეცი“, მცირედი. **ცონცი** „ნამცეცი, ცოტა“,  
**ლუკა** || **ართი ლუკა** „ცოტა, მცირე“, **ცამი** – „მცირედი, სულ ცოტა“.

განუსაზღვრელი ოდენობა გადმოიცემა შესიტყვებით: **ართი**  
**ხუ** „მცირე, ცოტა“, ზედმიწ. „ერთი მუჭი“; **ოში ოღალ** „ბევრი, ბლო-  
მად“, ზედმიწ. „ასი წაღება ტვირთი“ – მხარზე ერთი გადებით წასა-  
ღები რამ; **თუმაში მასქა** (ხალხი/კოჩი) – „ბევრი, უთვალავი“, ზედ-  
მიწ. „თმის სისქის/თმის ღერის სიმრავლის“.

გარდა სემანტიკისა, საყურადღებოა მოცემული ერთეულების  
რიცხვში შეთანხმების საკითხი. თუ განუსაზღვრელი ოდენობის სი-  
ტყვას კრებითი ან უთვლადი სახელი ახლავს, რიცხვში შეთანხმება  
არ არის. მაგ.: **ქიანა კოჩი** „ბევრი ხალხი“, **ბრელი ფარა** „ბევრი ფუ-  
ლი“, მაგრამ თუ ოდენობის აღმნიშვნელი სიტყვა ახლავს სხვა ჯგუ-  
ფის სახელებს, სახელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც  
მხოლოდითი რიცხვის, ასევე მრავლობითი რიცხვის ფორმითაც: **აუ-  
არება წიგნი/წიგნეფი ულუ** „ბევრი/ურიცხვი წიგნი/წიგნები აქვს“.

## **ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. 93-95**

**93.** მერვე რეგიონალური სამეცნიერო სესია იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხებზე გაიმართა სოხუმში 1977 წლის 16-18 ნოემბერს. სესია თემატური იყო – მიემდგნა გრამატიკული კლასის კატეგორიის იბერიულ-კავკასიურ ენებში.

სესია გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფ. გ. ძიმარამ. სესიის მონაწილეებს მიესალმა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. საყვარელიძე.

შესავალი სიტყვით გამოვიდა სესიის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, აკად. არნ. ჩიქობავა, რომელმაც ხაზი გაუსვა გრამატიკული კლასის პრობლემის მნიშვნელობას იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისათვის. აღნიშნა, რომ ეს კატეგორია არის **შეფასებითი** – მიუთითებს დამოკიდებულებაზე საგნებისადმი და წარსულში სათანადო ხალხთა **მსოფლხედვაზე**; გრამატიკული კლასის კატეგორია, როგორც სემანტიკური კატეგორია, ერთნაირად არის წარმოდგენილი იბერიულ-კავკასიურ ენებში, მაგრამ, როგორც გრამატიკული კატეგორია, სხვადასხვანაირ სურათს გვიჩვენებს ჯგუფებსა და ცალკეულ ენებში; საჭიროა გავითვალისწინოთ გრამატიკული კლასის ისტორიული განვითარების ეტაპები.

შესავალი სიტყვის ბოლოს აკად. არნ. ჩიქობავა მიესალმა სესიის მონაწილეებს და იმედი გამოთქვა, რომ სესია წარმატებით იმუშავებდა.

აკად. არნ. ჩიქობავას მიერ სესიაზე წაკითხული მოხსენება შეეხებოდა გრამატიკული კლასის საკითხს ქართველურ ენათა ისტორიაში. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ, თუმცა ამჟამად ქართველურ ენებში გრამატიკული კლასის მორფოლოგიური კატეგორია არა გვაქვს, მაგრამ წარმოდგენილია ადამიანისა (პიროვნებისა) და ნივთის სემანტიკური კატეგორია; ისტორიულად მის არსებობას ადასტურებს ქართველურ ენათა მასალის ანალიზი.

სულ მერვე რეგიონალურ სამეცნიერო სესიაზე მოხმენილი იყო 48 მოხსენება. გაიმართა ორი პლენარული და 6 სექციური სხდომა (ორ სექციაში). ბ-ნი არნოლდი, პლენარული სხდომების

გარდა, ესწრებოდა სექციურ სხდომებსაც და აქტიურად მონაწილეობდა დისკუსიებში. მისი ყოველი შეკითხვა თუ მსჯელობა, როგორც ყოველთვის, გამორჩეული იყო, ერთი მხრივ, ლოგიკურობით, ორიგინალურობით, პრინციპულობით, მეორე მხრივ, განსხვავებული აზრის შემწყნარებლობით...

დასკვნით პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ სექციათა ხელმძღვანელები. აკად. არნ. ჩიქობავამ შეაჯამა სესიის შედეგები და აღნიშნა, რომ სესია იყო წარმომადგენლობითი და სესიის მონაწილეთა მიერ წაკითხული მოხსენებები – საინტერესო; გამოიკვეთა თვალსაზრისი, რომ გრამატიკული კლასის კატეგორია ძველი კატეგორიაა. გრამატიკული კლასის კატეგორიის რაოდენობა ამ თუ იმ ენაში უნდა განისაზღვროს მხოლოდობით რიცხვში წარმოდგენილი ვითარების მიხედვით, რადგან მრავლობითში ხდება დეპერსონალიზაცია, ამიტომ არა გვაქვს აქ პირველი გრამატიკული კლასის ნიშანი. რაც შეეხება ნივთის კლასის სახელების განაწილებას სხვადასხვა გრამატიკულ კლასში, ეს საკითხი შემდგომ სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

ამასთან, აკად. არნ. ჩიქობავამ აღნიშნა, რომ იბერიულ-კავკასიური ენები უნდა შეისწავლებოდეს როგორც ისტორიულ-შედარებითი, ისე აღწერითი თვალსაზრისით. რაც ფასეულია, უნდა მივიღოთ, მაგრამ უნდა განვასხვავოთ **ფასეული** და **მიოდური**. ფასეულის მაგალითად მან დაასახელა კორელაციის პრინციპი ფონოლოგიასა და მორფოლოგიაში. უნდა გავითვალისწინოთ უცხოურ სამეცნიერო მიმართულებათა მიღწევები, მაგრამ უნდა მოხდეს მათი კრიტიკული შეფასება...

დასასრულ აკად. არნ. ჩიქობავამ მადლობა გადაუხადა მასპინძლებს – დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტისა და მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს სესიის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რომელმაც უზრუნველყო ოპტიმალური პირობები სესიის მუშაობისათვის...

სოხუმის სესიაზე, კავკასიის სხვა ქალაქებში ჩატარებულ სესიათა მსგავსად, იგრძნობოდა გამორჩეული ყურადღება, დიდი მოწიწება კავკასიის დიდი შვილის – აკად. არნ. ჩიქობავას მიმართ...

**94.** რეგიონალურ სამეცნიერო სესიებზე, რომლებიც ადრე ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა, ბ-ნ არნოლდთან ერთად ბრძანდებოდა მისი მეუღლე – ქ-ნი თ. ყიასაშვილი. სოხუმის სესიაზე ქ-ნი თამარი ვერ წამობრძანდა, რადგან შეუძლოდ იყო, და მთხოვა ვყოფილიყავი სესიაზე ბ-ნ არნოლდთან ერთად...

სესიის დამთავრების შემდეგ მიღებაზე (ბანკეტზე), რომელსაც 80-მდე კაცი ესწრებოდა, თამადობდა პროფ. გ. ძიძარია, რომელმაც შინაარსიანი და იუმორით გაჯერებული სადღეგრძელოები შემოგვთავაზა. ყურადღების ცენტრში იყო ბ-ნი არნოლდი, რომელმაც თავის გამოსვლაში კავკასიის ხალხთა და ენათა უნიკალურობასა და კავკასიის სამყაროს კვლევის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

19 ნოემბერს შუადღისას წაგვიყვანეს ექსკურსიაზე ახალ ათონში მღვიმის დასათვალიერებლად. გვახლდნენ ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. გ. ძიძარია და აფხაზი კოლეგები. ბ-მა არნოლდმა მღვიმეში შესვლა არ ისურვა და გარეთ დარჩა. მასთან დავრჩით ჩვენც – პროფ. გ. ძიძარია, მისი მძღოლი და მე. ველოდებოდით ჩვენი კოლეგების დაბრუნებას. ცოტა ხნის შემდეგ პროფ. გ. ძიძარიამ მიგვიპატიჟა იქვე მდებარე კაფეში. ბ-მა არნოლდმა იუარა და მოისურვა სასტუმროში დაბრუნება, მე კი მითხრა: თქვენ დარჩით და საღამოს მატარებელზე არ დააგვიანოთო...

კაფეში პროფ. ძიძარიამ მოატანინა კონიაკი, შოკოლადი და მინერალური წყალი. მე ცოტას ვსვამდი, გ. ძიძარია კი შეზარხოშდა. უცებ მეუბნება: გაგრამი ქალიშვილი მყავს გათხოვილი და მონახულეზა მინდა, თქვენც წამობრძანდით, უარს ნუ მეტყვიითო... ვიუარე: მატარებელს ვერ მოვუსწრებთ-მეთქი. ბ-ნი გიორგი ხანდაზმული კაცი იყო, მე – ახალგაზრდა, და თხოვნაზე უარი არ გამომივიდა...

დაახლოებით 5 საათი იქნებოდა, გაგრამი რომ ჩავედით. სუფრა გაგვიშალეს. მძღოლი აჩქარებდა, მაგრამ, სანამ რამდენიმე სადღეგრძელო არ ითქვა, ვერ წამოვედით... სოხუმში რომ დავბრუნდით, მატარებლის გასვლამდე 30 წუთი რჩებოდა. პირველ რიგში სასტუმროში მივედით. სასტუმროს კარებთან პროფ. მ. კუმახოვი და მისი მეუღლე დაგვხვდნენ. გვითხრეს: ბ-ნი არნოლდი ძალიან შეწუხებულია და 10 წუთის წინ გ. თოფურიასთან ერთად გაემსგზავრა სადღურშიო... ბაქანზე რომ გავედით, ვხედავთ, ბ-ნი არნოლდი ჯოხით დინჯად მიაბიჯებს ბაქანზე (გ. თოფურიასთან ერთად). მოვუბოდიშე. არ გავუკიცხივარ, მხოლოდ ჩაილაპარაკა: მადლობა

ღმერთს ცოცხლები ხართო... გ. მიძარამ სცადა ჩემი დაცვა: ჩემი ბრალია, ბ-ნო არნოლდ, გაგრამი წავიყვანე ჩემი შვილის ოჯახში, ბო-  
დიშს გიხდითო. ბ-ნი არნოლდი: არა უშავს, ხდება ხოლმე...

მატარებელში ბ-ნ არნოლდს საყვედური არ უთქვამს... თბი-  
ლისში ბ-ნი არნოლდის მძლოლი ივანე დაგვხვდა...

**95.** არნ. ჩიქობავასა და ი. ცერცვაძის თანაავტორობით 1962 წელს გამოცემული მონოგრაფიის „ხუნძური ენა“ წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ავტორები ხუნძური ენის შესასწავლად არაერთხელ ყოფილან მივლინებით, კერძოდ, არნ. ჩიქობავა – პირველად 1929 წელს. ამავე წელს ლაზური მეტყველების შესასწავლადაც ყოფილა მივლინებით აფხაზეთში; ამ მივლინების შედეგად მოპოვებული მასალა და დაკვირვებათა შედეგები წარმოდგენილია მის მონოგრაფიაში „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“.

მივლინებათა ანგარიშები არნ. ჩიქობავას წარუდგენია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატისათვის. ამ ანგარიშებს საქართველოს ეროვნულ არქივში მიაკვლია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა ს. ჭაავამ, რომლის ხელმძღვანელმა პროფ. თ. გვანცელაძემ მათი ასლები მე გადმომცა (ფონდი 471, ანაწერი 4, საქმე №195), პროფ. **თ. გვანცელაძეს** და დოქტორანტ **ს. ჭაავას** ვუხედი გულითად მადლობას.

დალესტანში მივლინების ანგარიშში არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ ა. შიფნერისა და პ. უსლარის ნაშრომები ხუნძური ენის სამხრული დიალექტის მონაცემებს არ ითვალისწინებს, ხოლო პროფ. ლ. ჟირკოვის გრამატიკა არსებითად პ. უსლარის ნაშრომს ემყარება. ამ პირობებში მკვლევარს მიზნად დაუსახავს სამხრული ხუნძურის, ანწუხურის შესწავლა, რისთვისაც ის სწვევია ლუნიბს, სადაც იმ დროს მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები იყო, შემდეგ – ბუინაკსკს. მივლინება ერთ თვეს გაგრძელებულა.

ამ დროის განმავლობაში გაურკვევია:

1. ფონეტიკური ღირებულება სხვადასხვა ავტორის მიერ გამოყენებული ნიშნებისა,
2. ხუნძური ენის სტრუქტურის ძირითადი ელემენტები,
3. შეუგროვებია მასალები სახელის ბრუნების თავისებურებათა გასარკვევად.

არნ. ჩიქობავას რჩევით ადგილობრივ მასწავლებლებს დაუწყიათ ხუნძური ტექსტების ჩაწერა.

არნ. ჩიქობავას დაკვირვებით, პ. უსლარის გამოკვლევას საფუძვლად უდევს მხოლოდ ჭირკვის თქმა, რის გამოც არაერთი ფაქტი ხუნძახურისა აღუნიშვნელი რჩება; აუცილებელია ხუნძახურის შესწავლა აულების თქმათა მიხედვით და ანწუხურის შესწავლაზე გადასვლა.

ამის შემდეგ არნ. ჩიქობავა კიდევ ექვსჯერ იყო მივლინებით ხუნძური ენის შესასწავლად (ხუთჯერ – დაღესტანში, ერთხელ – ზაქათალაში).

აფხაზეთის სოფლებში არნ. ჩიქობავას ჩაუწერია 128 გვერდი ტექსტი: 64 გვერდი – არქაბული, 22 – ვიწური და 32 – ათინური. ტექსტებში დაუდასტურებია რიგი საინტერესო მოვლენა:

1. ათინურში კარგად არის დაცული მოთხრობითი ბრუნვა, რაც არ იყო აჭარაში ჩაწერილი ათინელის მეტყველებაში.

2. არქაბულში გვხვდება ჩვენებითი ნაცვალსახელების თავისებური ფორმები.

3. ვიწურში ჩვენებით ნაცვალსახელებს გააჩნია უჩვეულო დაბოლოება.

4. ვიწური და არქაბული მყოფადის საწარმოებლად მრავლობითი რიცხვის სამსავე პირში **-ერე**-ს წარმოგვიდგენს.

5. არქაბულში დაცულია სადაურობის მაწარმოებელი **-არ** ფორმანტი.

6. არქაბულსა და ვიწურში მიმღეობის მაწარმოებლად **-ონ** სუფიქსი გამოიყენება.

7. არქაბულსა და ათინურში დასტურდება ტონური მახვილი სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზე, იშვიათად – პირველზე.

ჩაწერილი ზღაპრები სიუჟეტით და პერსონაჟებით ქართულს ჰგავს.

ქორწილის ადათიც ქართულისებურია.

ანგარიშის ბოლოს ავტორი გამოთქვამს იმედს, რომ ეს მივლინება დასაწყისია ხანგრძლივი, სისტემატური მუშაობისა აფხაზეთის ლაზთა მეტყველების შესასწავლად.



## ჩოლურული მასალა ნიკო მარის სვანურ-რუსულ ლექსიკონში

აკადემიკოსმა ნიკო მარმა ოთხჯერ (1911-1914 წ.წ.) იმოგზაურა სვანეთში. მისი მასპინძლები იყვნენ ცნობილი მოღვაწეები არსენ ონიანი (ლაშხეთი, სოფ. სასაში) და ბესარიონ ნიჟარაძე (ბალსზემო სვანეთი, სოფ. უშგული). სწორედ ამ სამეცნიერო კონტაქტების შედეგია ნ. მარის "Сванско-русский словарь" (1916 წ.), რომელიც შეიცავს 283 გვერდს და ხელნაწერის სახითაა დაცული რუსეთის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის სანკტ-პეტერბურგის არქივის №800 ფონდში, სადაც ის შეცდომით იდო სრულიად სხვაგან საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, მაგრამ რის ვაი-ვაგლახით, როგორღაც მოვახერხეთ და მივუჩინეთ თავისი ადგილი. არქივის თანამშრომელთა განცხადებით, ამ ლექსიკონზე გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მუშაობდა ნ. მარის მოწაფე, პროფესორი იოსებ მეგრელიძე, მაგრამ ჯერჯერობით ამ მუშაობის შედეგს ვერსად მივაკვლიეთ.

დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ, როგორც იქნა, მოვიპოვეთ საანალიზო ნაშრომის მხოლოდ 20 გვერდი (მთელი ხელნაწერის შემენას ჩვენი სამი თვის ხელფასი სჭირდება!..) და მისმა შედარებამ ამ ლექსიკონის ერთ-ერთ ნაწილთან ("Извлечение изъ сванско-русскаго словаря"), რომელიც თავად ნ. მარმა გამოსცა 1922 წელს, გვიჩვენა მეტად საინტერესო შედეგი:

ლექსიკონში წარმოდგენილია სვანური ენის ყველა დიალექტისა და ზოგი მნიშვნელოვანი კილოკავის მასალა. ინტერფერენცირებულ მეტყველებათა შორის ნ. მარს საგანგებო ყურადღება მიუქცევია ჩოლურულისთვის, თუმცა **კოდორული მეტყველება ნახსენებიც კი არსად აქვს**. სხვა ხელნაწერიდან ("Поездка в Абхазию из Сваний", 1912) ვიგებთ, რომ, სვანეთიდან პეტერბურში მიმავალ გზაზე, კოდორის ხეობაში (ჰარვის მთაზე) მას შეხვედრია აფხაზი (სოფელ ჯგერდიდან) მწყემსი, რომლისგანაც ჩაუწერია აფხაზური ენის მასალები.

აშკარაა, რომ ნ. მარს გამოყენებული აქვს ა. გრენის "Грамматические заметки" (СМОМПК, X, Тифлиси, 1890), რომელშიც **პირველად იქნა ფიქსირებული ჩოლურული მეტყველების ნიმუშები, თუმცა შეცდომებით სავსე**. იგი ყველგან ცდილობს მათ გასწორებას.

ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ სალექსიკონო მასალა გაწყობილია უმჯობესად ან ხალღურ სიტყვაფორმათა ანბანთრიგზე, ხოლო სვანური ლექსემების თარგმანებში რუსულის გვერდით გამოყენებულია ქართული ენის ამა თუ იმ დიალექტის (ძირითადად, დასავლურის) მონაცემებიც. არაერთ სიტყვა-სტატია ახლავს მეტად მნიშვნელოვანი შენიშვნა ძირთა სემანტიკითა თუ ეტიმოლოგიური ანალიზითურთ.

ჩოლურულ მასალებში ერთი ძალზე საინტერესო ფონეტიკური პროცესი შევნიშნეთ:

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ სვანურ ენას ლექსემათა აუსლაუტში ახასიათებს ხშულ თანხმოვანთა გამჟღერება (**ზანგლგ** < ქართ. **ზან-ზალ-აკ-ი** „ზარი“), ნ. მარის "Сванско-русский словарь"-ში კი შემდეგი ვითარებაა: **ანტყვასგ** (шх., м.), **ანტყვსგა** (р.), **ანტყვსგი** (м., и.), **ანტყვასქ** (ч.), **ანტყვასკ** (мх.), **ამტყვასგ** (ушг., тр.) – ვარ-სკვლავი, ანუ აუსლაუტში გვხვდება როგორც მჟღერი (**გ**), ისე მკვეთრი (**კ**) და ფშვინვიერი (**ქ**) თანხმოვანი. I და II ფორმები სვანური ენის დიალექტებში არაერთხელ დაგვიდასტურებია, ფშვინვიერი ფონემა კი მხოლოდ ნ. მარს აქვს შენიშნული. თუ ჩვენი დიდებული მასწავლებლების (ს. ჯანაშია, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. როგავა) აზრს გავიზიარებთ, ამ ლექსემისთვის ამოსავალია ჩერქეზული **მასკა** („ვარსკვლავი“) [შდრ. საერთოქართველური ძირიდან (**ტყუენ-ტყოც** – „ელვა, ნათება, ნაპერწაკალი, ვარსკვლავი“) მომდინარეობის ვარაუდი – ჩუხუა, 2000-2003: 218)], ამიტომ სვანურში (ზოგ დიალექტსა და კილოკავში) სრულიად მოსალოდნელი იყო აუსლაუტის მკვეთრი თანხმოვანი სადმე უცვლელად დარჩენილიყო ან სხვა სოფლებში გამჟღერებულიყო (სვანურ ენაში არსებული ფონოტაქტიკური წესების მიხედვით!), მაგრამ **სრულიად მოულოდნელია ჩოლურული ფორმის ფშვინვიერი – ქ.**

ნ. მარის ლექსიკონში სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მონაცემებს შორის გაცილებით ნაკლებია ჩოლურული ლექსიკა, თუმცა სხვა ენათაგან ნასესხებ მასალას შესადარებლად თითქმის ყოველთვის ახლავს საერთოქართველური წარმომავლობისა თუ საკუთრივ სვანური სიტყვა:

**ირემ** шх., чл., э. – олень, ср. **ლა-ჩუ**

**გ'ოქთავ** шх., чл., хл., м. – ребёнок дорогой, милашка, ср.

**ჩიჩვილ**

**ურ** шх., чл. – молоть деревянный (шх., хл., м. железный) – ურო, ср. **წირ**

**ურია** (< ქართ. ჰ უ რ ი ა) ч л., э., п., х. – Иудей, еврей, ш х. ური-  
ამ, т х. ურმა, у. ჯირია х л., и п., м. ჯირიამ.

მაღალმეცნიერულ დონეზეა წარმოდგენილი ლექსიკონში  
სახელთა ერთფუძიანი და ორფუძიანი ბრუნების მონაცემები (მაგა-  
ლითად: ლშხ. **ღგვ-ემ** || **ღგვ-ი აგუსტ** „წყლის გრძელი ჭია, რომე-  
ლიც განსაკუთრებით აგვისტოში მრავლდება“).

საოცარი რემარკები აქვს ნ. მარს თავის ნაშრომებში! – ამ მხრივ  
არც სვანურ-რუსული ლექსიკონია გამონაკლისი. ჩვენი განსაკუთ-  
რებული ყურადღება მიიქცია თვლის სისტემამ, რომელიც დღემდე  
განსხვავებულადაა წარმოდგენილი სვანური ენის დიალექტებში –  
ათობითი (ბზ./ლშხ.) და ოცობითი (ბქ./ლნტ.). აი, რას წერს  
ლექსიკონის ავტორი: **"Говорили мне въ первыхъ поездкахъ семъ еркъмд**  
(„სამი ოცი“) – **шестьдесятъ, но на самомъ деле у нихъ (шх., чл.)**  
**счесть по десяткамъ"** (გვ. 13).

მეტად საყურადღებოა ჩოლურული **უსგჯემტ** („სამოცი“) ინ-  
ტერფერენციის თვალსაზრისით. მასში გრძელი ხმოვანია წარმო-  
დგენილი ლაშხურისებურად, მაგრამ იმავდროულად ლენტეხური  
ფონოტაქტიკაც (**შტ < შდ**) გვხვდება, თუმცა თვლა განხორციელებუ-  
ლია ათობითი სისტემის (ე. ი. ლაშხური დიალექტის) მიხედვით.

იმდენი მნიშვნელოვანი მოსაზრებაა წარმოდგენილი სვანური  
უღლების შესახებ, რომ შეუძლებელია მათი თეზისებში ჩატევა.

საინტერესო დაკვირვება აქვს მოცემული ნ. მარს ნაწილაკებ-  
თან დაკავშირებითაც. მისთვის **-უჟ** სხვათა სიტყვას გადმოსცემს  
ისევე, როგორც **როქჟ/ლოქჟ** და **ესერ**, „მაგრამ **чтобы** („რომ, რათა“)ს  
მნიშვნელობით მე არ შემხვედრია სვანეთში, თუმცა სპეციალურ  
ლიტერატურაში არის ამაზე მითითება“.

შორისდებულებში ნ. მარი გამოყოფს, ე. წ. უხემ და ზრდილო-  
ბიან ფორმებს.

დასასრულს, ნიკო მარი დიდი პატივით მოიხსენ-  
იებს სვან მთქმელებს, უწოდებს მათ თავის მას-  
წავლებლებს და ბოდიშს უხდის მკითხველს იმ მოსალოდნელი  
შეცდომებისთვის, რომლებიც ახასიათებს ყოველგვარ ადამიანურ  
სამუშაოს, მით უმეტეს, თუ ის ახალ სფეროს ეხება. ძალიან წუხს,  
რომ უმგულურ მეტყველებაში მან საკმაოდ გვიან შენიშნა გრძელი  
ხმოვნები და არც თუ ისე სწრაფად აითვისა რბილი ა, რომელსაც  
თურმე პირველ ხანებში ხშირად ურევდა **აა**ში. წარმოგიდგენიათ,

რამდენ ბოდიშს იხდის ბუმბერაზი მეცნიერი უნებლიე შეცდომების გამო? – დღეს კი ზოგი თითო-ოროლა სტატიისა თუ წიგნის ავტორს თავი გენიოსი ჰგონია.

როგორმე აუცილებლად უნდა შევძლოთ აკადემიკოს ნიკო მარის სვანურ-რუსული ლექსიკონის ხელნაწერის შეძენა (უკვე სამი წელია, ამას გავიძახით!..), რადგანაც ის შექმნილია მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში, როცა მწვავედ არ იდგა ჩვენი ენების სემიტურ ენებთან სავარაუდო ნათესაობის საკითხი – „იბერიულ-კავკასიურ ენებზე მომუშავე სპეციალისტი აუცილებლად უნდა იცნობდეს ნ. მარის შრომებს“ (ჩიქობავა, 1965: 374).

სხვა რომ ვერაფერი მოვახერხებთ, გადავწყვიტეთ, მონაწილეობა მიგველო რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსში, სადაც ჩვენმა პროექტმა მაღალი შეფასება მიიღო, თუმცა ვიღაც „ინკოგნიტო“ უცხოელმა ექსპერტმა დიდი საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ ნ. მარის "Сванско-русский словарь"-ის შესწავლისა და გამოქვეყნების საქმეში არ ჩავრთეთ პეტერბურგელი კოლეგები; **ამიტომაც დაგვსაჯეს – ჩვენი პროექტი აღარ დაფინანსდა!!!** საოცარი კია, ვინ უნდა ჩაგვეერთო ჩვენს სამუშაოში?! – **დღეს ხომ არც პეტერბურგში და არც მოსკოვში აღარავინ მუშაობს ქართველოლოგიაში!** ნუთუ, ეს არ იცის ჩვენმა „ინკოგნიტო“ ექსპერტმა?!

2011 წლის 17 იანვარს ინტერნეტში (Posted in History) შემდეგი ტექსტი ამოვიკითხეთ ვინმე ნუგზარ ტალიკაძისა:

„ნიკო მარი... ნიკო მარი... ნიკო მარი...“

ჩემი შორეული ახალგაზრდობის სიზმარი...

რატომაა იგი მივიწყებული სამეცნიერო საზოგადოებაში?! ვინ ჰყავს საქართველოს მასზე უკეთესი?!

ის ხომ ბუმბერაზი მეცნიერი და მომწესხველი პიროვნება იყო!..

იქნებ მოხერხდეს მისი შემოქმედების ყველასთვის გასაგები ენით აღწერა და გამოცემა? – ეს წიგნი ათასჯერ გაამართლებს მის შექმნაზე დახარჯულ შრომას!

აკადემიკოს ნიკო მარის გახსენება უთუოდ გააუმჯობესებს შავბნელ კლიმატს საზოგადოებაში და სიცოცხლის დღეებს გაუნათებს ხალხს ამ ჩამუქებულ ცხოვრებაში“...

**„მეტაფორის ალქიმია“ და მეტალინგვისტური რეფლექსია შოთა ნიშნიანიძის უცნობ ბელეტრისტულ პოემაში „ყვავები“**

შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტული პოემები გასული საუკუნის 90-იან წლებში შეიქმნა და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი და ხელმისაწვდომი დიდი შემოქმედის ეს ძვირფასი ქმნილებები მხოლოდ ახლახან – 2019 წელს – პოეტის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულით გახდა (შოთა ნიშნიანიძე – 90. საიუბილეო კრებული. თბ., 2019. გამომცემლობა „მერანი“. პროექტის ავტორი და რედაქტორი მაყვალა გონაშვილი. შემდგენლები: ბადათერ არაბული, ნათია ნიშნიანიძე).

დიდი პოეტის საიუბილეო კრებულის შესავალ წერილში („ქვაში გამომწყვდეული ცეცხლის სიბრძნე“, გვ. 5-6) რედაქტორი მაყვალა გონაშვილი წერს: „თქვენ ამ ახალ კრებულში ახალ შოთა ნიშნიანიძეს შეხვდებით, დღემდე ცნობილ შედეგებთან ერთად სრულიად უცნობ ბელეტრისტულ პოემებს წაიკითხავთ, სადაც ცეცხლოვანი პოეტის უკვე „გაციებული ცეცხლის“ სიბრძნესა და სიდიდეს ეზიარებით. თუ შოთა ნიშნიანიძის ადრეულ პოეზიაში მისი აღმოდებული სტრიქონები გატყვევებდათ, სიბრძნის ასაკში დაწერილ ამ პოემებში აზროვნების სიდიადე და ტკივილის სიმძაფრე დაგამუნჯებთ. პოემები პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ წლებშია დაწერილი, 90-იანი წლების უჟამურ, უმძიმეს წლებში... ქვეყნის უბედობით გულდამიმბეზულ პოეტს თითქოს სტრიქონიც უმძიმდება, ამიტომაც იწყებს ჯვარზე გაკრული ჯვარედინი რითმების უარყოფას, სიტყვებს ლექსის ჩვეული არტახებიდან ათავისუფლებს და უხვი ინფორმაციის, ინტელექტუალური სათქმელის გამოსახატავად ვერლიბრს მიმართავს“.

საიუბილეო კრებულში დაბეჭდილია შოთა ნიშნიანიძის 13 უცნობი ბელეტრისტული პოემა. ამ პოემებში დავანებული მხატვრული სამყარო, ცხადია, პოეტური ენითა და ლინგვისტური ძიებებითაც იქცევს ყურადღებას. ჩვენი მსჯელობის საგანი ამჯერად მეტაფორა იქნება, უფრო სწორად, როგორც თვით მეტაფორა, ისე „მე-

ტაფორის ალქიმი“ (პოეტის ტერმინია) ანუ მეტაფორის შექმნის ხელოვნება თუ მეტაფორის გაჩენის ჯადოსნური საიდუმლოება, რომელიც გადმოცემულია პოემაში „ყვავები“.

თვით პოემის სახელწოდება – „ყვავები“ – უკვე მეტაფორაა ორი მნიშვნელობით:

I. ბრზო, მასა;

II. საქართველოს მტრები.

საერთოდ, პოემაში ნამდვილ ყვავებზეცაა საუბარი და მეტაფორულზეც. პოემა იმთავითვე ამ მეტაფორის გახსნით და ინტერტექსტური წიაღსვლით იწყება:

„გუშინწინ მეტეხთან ამოვიარე,

ცაში ყვავები ირეოდნენ...

მაშინვე გამახსენდა სტრიქონები

„დიდოსტატის მარჯვენიდან“:

„იმ წელს საქართველოს ჭივჭავი შემოესია“...

ეს ინტერტექსტური წიაღსვლა – სულ ორი სტრიქონი – იტევს მთელ ისტორიას, რომელსაც პოემის ბოლოს ისევ გაიხსენებს პოეტი. პოემის შინაარსს წარმოადგენს დიალოგი კონსტანტინე გამსახურდიასა და ახალგაზრდა პოეტს შორის, რომელიც ჩვეულებრივ ყვავებზე საუბრით იწყება და „მეტაფორის ალქიმიის“ მწვერვალამდე ადის.

მეტაფორის შესახებ ავტორის, როგორც სიტყვის დიდოსტატის ნაფიქრი და ნააზრევი, მრავალ საინტერესო დაკვირვებას გავგანდობს და ფაქტობრივ, ეს მეტალინგვისტური რეფლექსიის დიდებული ნიმუშები ორი რიგის საკითხებად შეიძლება გავაერთიანოთ:

I. მეტაფორა ზოგადად, როგორც მოვლენა და

II. ქართული მეტაფორა, როგორც ზოგადის ნაწილი.

ენის ფილოსოფიის თვალსაზრისით საინტერესოა სიტყვის ფენომენის, სიტყვათქმნადობის პოეტისეული ასხნა:

„ლიტერატურა, რა თქმა უნდა,

ცხოვრებასთან და დროსთან დიალოგია,

მაგრამ სიტყვა მისტიკური ფენომენია.

პირველად იყო სიტყვა.

სიტყვა ხატოვანი უნდა იყოს და არა შიშველი.

განა შეიძლება, ჩემო დავით,

ეკლესია ხატებისა და ფრესკების გარეშე?  
 პოეზიაც ხომ ეკლესიაა.  
 ვერაფერი შვილია უსახეებო პოეზია.  
 უსახეებო პოეზია იგივე უხატებო ეკლესიაა“.

ქართულ სიტყვასა და მეტაფორას რაც შეეხება, პოეტი წერს:  
 „პირველად იყო სიტყვაო – ზიბლია რომ გვაუწყებს,  
 ქართველისათვის ალბათ,  
 მხატვრული იქნებოდა ის პირველი სიტყვა,  
 ისე პოეტურები არიან ქართველები.  
 მოდი, ახლა ქართულ მეტაფორასაც ავუღოთ ჭაშნიკი.  
 იცი შენ, ვისიცაა ეს მეტაფორა.  
 მართლა ბრწყინვალეა, ტევადი და ასოციაციების  
 აღმძვრელი.  
 მისი წვდომა – გააზრება თანაავტორობას მოითხოვს.  
 ასეც უნდა იყოს.  
 და საერთოდ, როცა შედევრს ქმნის ხელოვანი,  
 იგი პატარა თანაავტორია სამყაროს დიდი შემოქმედისა.  
 გუთანს ისე ეკიდა გლეხი,  
 როგორც კვამლი ჩიბუხზეო“.

პოეტის აზრით:  
 „სიზუსტე ფორმულას და აფორიზმს უხდება მხოლოდ.  
 მეტაფორაში შემოსული საგანი და მოვლენა  
 კიდევ უნდა იყოს ზუსტი და არც უნდა იყოს ზუსტი.  
 ... კვამლი მცირე ხანს ჩერდება ჩიბუხზე,  
 ასეა ქართველი გლეხიც...  
 არ უყვარს გუთანზე დიდი ხნით მოკიდება“.

პოეტს მეტაფორა იმიტომ უყვარს, რომ მასში დაწნეხილი ენერჯიაა, „სულიერი მტეხიარობის იეროგლიფია, ტვიფარია“. სწორედ ამიტომაც, რომ „რა ამოფხიკავს მეხსიერებიდან ამ მეტაფორას. / ხვლიკი ერთი წვეთი ნიანგია – ამბობს ლორკა. / ამაზე უფრო მომჭირნედ, უფრო კარგად ვერ იტყვი“. პოეტისათვის შემოქმედებითი სიმბოლოებია *ცეცხლი* და *ლერწამი*. იგი ისეთ მეტაფორაზეც ლაპარაკობს, ჩალის ფასი რომ აქვს, ისეთზეც, რომელიც „დაბრეცილია და მოქმედებას თავდაყირა უჩვენებს“. და მაინც, პოემის მთავარი მეტაფორის გმირები „ემშაკის ამონახველი ყვავებია“, მცხეთასა თუ თბი-

ლისში. სწორედ მათ გამო მოუხდა პოეტს საუბარი ქართულ მეტა-ფორაზე ქართული შაშვისა და ქართული ფუტკრის გვერდით. პოემის დასასრულს, დანაწევრებით წერს:

„მეტეხი მოხუცი კნინასავით ინიავებდა  
ყვავების მარაოს.

ნარიყალა კი ბებერი მეციხოვნესავით მარცვლავდა  
ყვავების კრიალოსანს.

მეტეხსა და ნარიყალას შორის  
ყვავების ჯგრო მიიგრან-მოიგრანებოდა,  
რია-რია... ყრუ ქშუილით...

ციდან ყრანტალი, ჩრდილები და  
დამტვრეული სხივები ცვიოდა...

იმ წელს საქართველოს ყვავი შემოესია...“

## ნ ი ნ ო ც ი ხ ი შ ვ ი ლ ი

### **გერმანიაში დაცული ქართული ხელნაწერები**

(იულიუს ასფალგის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)

ცნობილი გერმანელი ორიენტალისტი, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, იულიუს ასფალგი მეცნიერულად შეისწავლიდა ქართულ საეკლესიო ლიტერატურას, ძველ ქართულ ენას, ქართულ დამწერლობას, ეკლესიის ისტორიას, ძველ ქართულ ხელნაწერებს და წარწერებს, ბიბლიის უძველეს ქართულ თარგმანებს.

გერმანელი მეცნიერი ყურადღებით ადევნებდა თვალს თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის ყველა აქტივობას, ხელნაწერთან დაკავშირებულს, და ამ სიახლეთა შესახებ რეცენზიებსა და გამოხმაურებებს აქტიურად აქვეყნებდა ჟურნალში „Oriens Christianus“, რომლის გამომცემელიც წლების განმავლობაში თვითონვე იყო.

იულიუს ასფალგმა გერმანიაში ძველ ქართულ ხელნაწერებს მიაკვლია. 1963 წელს მან ვისბადენში გამოსცა წიგნი „ქართული ხელნაწერები“ („*Georgische Handschriften*“). წიგნში წარმოდგენილია



15 ქართული ხელნაწერი, რომლებიც გერმანიის სხვადასხვა ქალაქის (ლაიფციგი, ტიუბინგენი, მარბურგი, ჰალე, გიოტინგენი) წიგნსაცავებშია დაცული.

წიგნის ღირსებაა ის, რომ აქ პირველად ქართული ხელნაწერები აღწერილია თანამედროვე მეცნიერული პრინციპების მიხედვით. ყოველ ხელნაწერს წინ უძღვის მოკლე ტექნიკური აღწერილობა, ტექნიკურ აღწერილობას მოჰყვება ხელნაწერის შინაარსობრივი აღწერა, ანდერძ-მინაწერების ანალიზი და მოყვანილ ციტატებს შორის ზოგჯერ ავტორისეული კომენტარიც გვხვდება. ეს ხელნაწერები ერთმანეთისაგან განსხვავდება ეპოქის, შინაარსის, წარმომავლობის მიხედვით და უმრავლესობა ფრაგმენტული ხასიათისაა.

ი. ასფალგი მიუთითებს ხელნაწერთა დიდ მნიშვნელობაზე და ამბობს, რომ ისინი, განსაკუთრებით კი შედარებით ძველი ხელნაწერები, იმსახურებენ ძალიან დეტალურ კვლევას.

გერმანელი ქართველოლოგი ამ წიგნს უძღვნის თავისი უფროსი მეგობრისა და ქართველოლოგიაში გზის გამკვალავის, მიხეილ თარხნიშვილის, ხსოვნას.

ს ო ფ ი კ ო ჭ ა ა ვ ა

## **აფხაზეთის საჯარო სკოლების აფხაზური ენის მასწავლებლების ენობრივი კომპეტენცია**

2019 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის („თანამედროვე აფხაზური ენის ეკოლინგვისტური ანალიზი“ – OTG – I – 19 – 1128) ფარგლებში ვახორციელებთ აფხაზთა, ქართველთა და ქართულ-აფხაზური ოჯახის წარმომადგენელთა გამოკითხვას აფხაზური ენის შესახებ. სოციოლინგვისტური კითხვარისა და ინტერვიუების მეშვეობით ვიკვლევთ, თუ რა ვითარებაშია ამჟამად აფხაზური ენა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკაში, როგორია მისი გამოყენება სხვადასხვა თაობის ადამიანებს შორის, როგორი იყო აფხაზეთის ენობრივი სიტუაცია დევნი-

ლობამდე და რა შეიცვალა მის შემდეგ, ასევე, რა კეთდება ენგურს გამოღმა აფხაზურის, როგორც სახელმწიფო ენის გადარჩენისა და შენარჩუნებისათვის.

წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოს მცირე ნაწილს. კერძოდ, გავაანალიზებთ აფხაზეთის საჯარო სკოლების აფხაზური ენის აფხაზი და ქართველი მასწავლებლების ინტერვიებს, რომლებშიც ასახული იქნება მათი ენობრივი კომპეტენცია და აფხაზური ენის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები.

2015-2016 წლებიდან აფხაზური ისწავლება აფხაზეთის 5 საჯარო სკოლაში (თბილისში, ზუგდიდსა და სენაკში). ჩვენი რესპონდენტები არიან აფხაზეთის N2 საჯარო სკოლის მასწავლებელი ალა კვეკვესკირი (აფხაზი, 56 წლის, ოჩამჩირის რაიონიდან) და აფხაზეთის N11 საჯარო სკოლის მასწავლებელი ხატია ზარქუა (ქართველი, 30 წლის, გალის რაიონიდან). ინტერვიუს ჩაწერის დროს ა. კვეკვესკირი საუბრობდა ქართულ ენაზე, ხოლო ხ. ზარქუა – რუსულად, ქართულად და მეგრულად.

ა. კვეკვესკირის ბაბუას და მამას ქართველი მეუღლეები ჰყავდათ, თავად ალაც ქართველს გაჰყვა ცოლად. სამი თაობის ქართულ-აფხაზური ოჯახის წევრები საუბრობდნენ ქართულად, მეგრულად და აფხაზურად. ასევე მოგვიანებით დაეუფლნენ რუსულ ენას, რომელიც მათი განათლების ენა ხდებოდა მეოთხე კლასის შემდეგ. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ აფხაზური უსწავლია რესპონდენტის ქართველ მეუღლესაც, რაც პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატულებათა პარტნიორის მიმართ. თბილისში მცხოვრები აფხაზი მასწავლებელი აფხაზურ ენას იყენებს ოჯახში, ნათესავებთან, გაკვეთილის ჩატარების დროს და სოციალურ ქსელებში ურთიერთობისას, აქტიურად სარგებლობს ტელეფონში ჩაწერილი აფხაზური შრიფტით, ასევე უსმენს აფხაზურენოვან საინფორმაციო არხებს და აფხაზურ სიმღერებს. სამწუხაროა, რომ მის მიერ აფხაზური ენის ცოდნის გადაცემა შემდეგი თაობისათვის უფრო სრულყოფილად ვერ მოხერხდა, ვინაიდან მის შვილებს აფხაზური მხოლოდ ესმით და ვერ ლაპარაკობენ.

მეორე რესპონდენტმა ხ. ზარქუამ გალში რუსული სკოლა დაამთავრა, სადაც კვირაში 2-3-ჯერ უტარდებოდა აფხაზური ენის გაკვეთილები. ხ. ზარქუას ინფორმაციით: „გალში მეგრული დომინანტობს, მაგრამ არანაკლებად დომინანტობს რუსული ენა. ჩხორთულ-

ში აფხაზები არიან და იქ უფრო ისმის აფხაზური. „გალ ტივი“ გვაქვს რუსულად, აფხაზურად და მეგრულად. გალში აფხაზებმა ლაპარაკის დროს შეიძლება ერთი სიტყვა თქვან აფხაზურად, ერთი მეგრულად და ერთი რუსულად. აფხაზებმა იმაზე მეტად იციან ქართული და მეგრული, ვიდრე ჩვენ – აფხაზური. სოხუმში უფრო რუსულად ლაპარაკობენ, ახალ, თანამედროვე სიტყვებს რუსულად ამბობენ. აფხაზურ ენაში არის რუსული, მეგრული და თურქული სიტყვები. ახლა უფრო მეტი სიტყვა რუსული ენიდანაა”.

ჩვენ მიერ ჩაწერილი რესპონდენტების მონათხრობიდანაც ჩანს, რომ დევნილობამდე და დევნილობის შემდეგ, აფხაზეთში მცხოვრები ადამიანების უმრავლესობა ურთიერთობდა ქართულად, მეგრულად, აფხაზურად და რუსულად. ორივე მასწავლებელმა განათლება რუსულ ენაზე მიიღო, ორივემ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლეს აფხაზური ენა, თუმცა იმავე სასწავლო დაწესებულებებში არცერთს არ უსწავლია ქართული, როგორც სახელმწიფო ენა. ამასთანავე, ორივე მასწავლებელი შინაურ და ახლობელ ადამიანებთან ქართულად, მეგრულად ან აფხაზურად ლაპარაკობს, ხოლო რუსული თითქოს „საგარეო ენის“ ფუნქციას ასრულებს მათთვის. რუსეთის მიერ განხორციელებული რუსიფიკატორული ენობრივი პოლიტიკის შედეგები ორივე რესპონდენტის ენობრივ კომპეტენციაზეც აისახა, ვინაიდან მშობლიურ ენებზე მეტად, მათ რუსული იციან და ამ ენაზე საუბრისას უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს.

მიუხედავად ამისა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე სკოლებში ასწავლიან აფხაზურ ენას, მაინც აშკარაა, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზური ენის ფუნქციონირება მცირდება და მის ადგილს უკანონოდ იკავებს მეზობელი სახელმწიფოს ენა. ინტერვიუს დროს რესპონდენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ თანამედროვე აფხაზურში უმეტესად რუსული სიტყვები შემოდის და მკვიდრდება, რითაც აფხაზური ენის ეკოლოგია საგრძნობლად ირღვევა.

ენგურს გამოლმა მცხოვრები ქართველი და აფხაზი მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ ქართველ სკოლის მოსწავლეებს შეაყვარონ და ასწავლონ აფხაზური ენა. სასწავლო პროცესში ისინი აქტიურად იყენებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

განათლების სამინისტროს მიერ შექმნილ ელექტრონულ სასწავლო პროგრამას, ქართველი და აფხაზი ავტორების მიერ ერთობლივად შედგენილ აფხაზური ენის სახელმძღვანელოს, ლექსიკონებს და სხვა აუდიო – თუ ვიდეომასალებს, თავადაც ქმნიან მრავალფეროვან თვალსაჩინოებებს აფხაზური ენის უფრო ეფექტურად სწავლებისათვის.

## ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

### „კვანჩხა“, „კვანჩხი“, „კონჩხო“ სიტყვების წარმოშობისათვის

საშუალ, ახალ ქართულსა და მის დიალექტებში გასტურდება:

**1. კვანჩხი** 1. კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც მუჭი. || რაც კვანჩხში ჩაეტევა, რაც ცალ ხელში ჩაეტევა, – ნახევარპეშვი. «[ლობიო] ერთი-ორი კვანჩხიც რომ შევჭამო, ვინ შემატყობს?» (აკაკი). [სარიდანმა] დაიჭირა... მამალი და წავიდა ბაზარში, რომ იქნება რამდენიმე კვნიტ შაქარზე და ერთ კვანჩხ ჩაიზე გადაეცვალა (ა. ბელ.). 2. ძვ. პატარა სასმისი არყისა (საბა) – ქეგლი.

**2. კვანჩხა** კუთხ. (ქვ.-იმერ.) ძვ. ღვინის ან წყლის დასაღვეი ხის ჭურჭელი ჭიქის ფორმისა (შდრ. კვანჩხი, მნიშვ. 2). «ძველად შუშის ჭიქა არ გვექონდა, ამიტომ ხის გულს შუაში ამოტეხდნენ, გაასუფთავებდნენ და ხმარობდნენ წყლისა და ღვინის დასაღვეად, ასეთ ხის დასაღვეს-კი ვეძახდით კვანჩხას» («შინამრეწვ.») – ქეგლი.

რაჭულში დასტურდება **კვანჩხურა** || **კვანჩხულა** || **კვანჩხუა** (რაჭული, კობახიძე).

**3. კონჩხა** კუთხ. (ფშ.) «მეცხვარის წყლის სასმელი თასი ხისა, ყურიანია, და მეცხვარეს იგი წელზე ჰკიდია ჩვეულებრივ» (ა. შან.). «შენფერა, ბაბურაულო არავინა გვყავ მთაშია. იცოცხლე, დიდხანს იცოცხლე!» დასტურმაც **კონჩხას** ასწია (ვაჟა). [ხევისბერმა] ამოიღო გობიდან რამდენიმე თასი ღვინო ყანწებით თუ **კონჩხებით** და... გადასცა საპატიო პირთ (ვაჟა). კონჩხო კუთხ. (ქიზ.) 1. ხის ჭურჭელი ერთგვარი – ქეგლი.

**4. კოჩხო** კუთხ. (ფშ. თუშ.) ხის პატარა ჭურჭელი (სახალე გუდაში წყლის ჩასასხმელად). ხალის გაზელა მარილით, *კოჩხოტი* ხვრიტა წყლისაო (ხალხ.). აგრეთვე: კოჩხოტი (ფშაური, ხორნაული).

**5. ვვიქრობთ**, ზემოდასახელებული სიტყვები სხვადასხვა ფონეტიკური პროცესებით უნდა მომდინარეობდეს „მუჟის“ აღმნიშვნელი **კვანჩხიდან**. იხ. კვანჩხი 1. მნიშვნ. – ქეგლი. აგრეთვე: კვანჩხი თითებმოხრილი ხელი. მოვკიდე ხელი სახელურს, ამევიდა ე გოგო და *კვანჩხზე* დამკრა (ლიჩი, ზ.-იმერული, ძოწენიძე, ვ. ბერიძე, პ. გაჩეჩილაძე, ხევსურული, ჭინჭარაული).

**კვანჩხიანი პური** ხშიადი. კვანჩხიან პურს საფუნებლის გარეშე ვაცხოფთ და კვანჩხს დავაჩენთო ზედ (წყალმავ, ზ.-იმერული, ძოწენიძე).

ამავე წარმომავლობისაა ჩანს **კუჭანჩხ** – ხის სასმისი, კონჩხა; კინი. *კუჭანჩხულდ/კუჭანჩხულ* (სვანური – თოფურია. ქალდან). კვანჩხა, კაჩხა ხის პატარა ქვიშის საათებივ წელში გაწვრილებული სასმისი ზან. (მეგრული, ქობალია).

თავის მხრივ, **კვანჩხი**, „პეშვის ნახევარი“ < **კრუნჩხი//კრუნჩხვა**.

**კრუნჩხვა**: ვჰბლუნძავ, ვჰხრუკავ (დ. ჩუბინ.). შდრ. **მაიკუნჩხე-ბის** მოიხრება, მოიმუჭება (თითები...). *შამაიკუნჩხავს* შემოიკუჭავს (ფეხებს). საბნელოს ჩაჯდა ამირან, *შამაიკუნჩხა* ფეკები: „თუ ამის მეტი არ ვიყავ, სამზეოს რას ვებეკები? (ხევსურული. ჭინჭარაული). შდრ. **კვანჩხის ქარი** ხელფეხის კრუნჩხვა (ავადმყოფობაა ერთგვარი) (გურული შარაშიძე). აგრეთვე: **კონჩხო** უშნო სახის ადამიანი (ქიზიყური, მენთემაშვილი). **კრუნჩხი**: პატარა, ზრდადაუსრულებელი (ტარო) (ქართლური ლექსიკონი).

მიგვაჩნია, რომ კრუნჩხის შესატყვისი უნდა იყოს სვანურში დადასტურებული **კუჭა[რ]ჩხაჲ, კაჩხუაჲ, კაჩხუჲ, კაჩხე** „კოჭლი“ (თოფურია, ქალდან; ლიპარტელიანი).

## ერთი იშვიათი დერივატისათვის შატბერდულ კრებულში

X საუკუნის ცნობილი ხელნაწერი „შატბერდის კრებული“ ქართული მწერლობის ღირსშესანიშნავი ძეგლია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მრავალი ლიტერატურულ-ისტორიული საკითხის გასარკვევად, აგრეთვე, ძველი ქართული ლიტერატურული ენის შესასწავლად. კრებულის ენა გამოირჩევა მრავალფეროვანი, საინტერესო ლექსიკური ერთეულებით: ზოგჯერ ნასესხები, კალკირებული, ხშირად ძალზე თავისებური, როგორც არქაული, ისე – ახლებური წარმოების სიტყვებით.

შატბერდის კრებულის ბოლოს, ანდერძის წინ, საკუთრივ დავითის ფსალმუნების თარგმანების ტექსტს („თარგმანებად დავითის ფსალმუნებისა“) ერთვის დაჩის (რომელიც მოღვაწეობდა IX ს-ის დასასრულსა და X ს-ის პირველ მეოთხედში) ცნობილი წერილი ანტონ მროველისადმი [„მიწერილი დაჩისი (მრ)უველ ებისკოპოსისა ანტონისა“]. ეს წერილი ძალიან საინტერესო ლექსიკურ მასალას შეიცავს. ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ ეპისტოლეში დადასტურებულმა ერთ-ერთმა სიტყვამ **გრეხი**: „...მიპყარ ხელი მარჯუენე ჩემი და ელომენოსად მიძლოდე მე წინაშე ჩემსა და **განმავლენ მე გრეხნი იგი ძნიად-ძნიად სავალნი...**“ – **გრეხნი იგი ძნიად-ძნიად სავალნი** ნიშნავს „უსწორმასწოროს, ძნელად სავალს“ [„აიღე ჩემი მარჯვენა ხელი და წინამძღვრად [ელომენოსი < ბერძნ. hegymenos „წინამძღოლი“] მიძლოდე და გამატარე უსწორმასწორო, ძნელად სავალი [გზები]“.

**გრეხი** „მრუდი, უსწორმასწორო, ხვეული (მიხვეულ-მოხვეული), კლაკნილი...“ უძველესი, უსუფიქსო დერივაციული წარმოების სიტყვაა: ის იშვიათად დასტურდება უკვე ძველ ქართულ ტექსტებშივე. **გრეხ**-ი უნდა მომდინარეობდეს **გრეხა** (გრეხ-ს) ზმნისაგან. ეს დერივატი ისევეა ნაწარმოები, როგორც წნეხი < წნეხა (წნეხ-ს), კვეთი < კვეთა (კვეთ-ს), წვეთი < წვეთა (წვეთ-ს) და ა. შ.

**გრები** იგივეა, რაც თანამედროვე **გრებილი** ([და]გრებ-ი-ლი) „მრუდი, უსწორმასწორო...“ ეს სიტყვა გაარსებითებული მსაზღვრელია (ტიპოლოგიისათვის შდრ. სემანტიკურად თანხვედნილი **ხვეული**: „ხვეულ-ი 1. მსაზღვრელად: გრებილი, კლაკნილი... 2. არსებითი სახ. 1. დახვეული, დაგრებილი რამ... 2. მიხვეულ-მიხვეული გზის ნაწილი...“ (ქეგლ VIII). საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ქართულში ვაზის ერთ-ერთ ჯიშს **გრები** ჰქვია.

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

### **ზოგიერთი ფიტონიმის დაზუსტებისათვის**

ალექსანდრე მაცაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონის“ გამოცემამ (1949 წ., 1961 წ.) გარკვეული წესრიგი შეიტანა მცენარეთა ქართველური სახელების ნომეკლატურაში. დღეს მცენარეთა ქართული სახელები სწორედ ამ ლექსიკონის მონაცემებს ეყრდნობა, ამიტომაც მათ სიზუსტეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ლექსიკონში შეინიშნება სხვადასხვა სახის უზუსტობანი, რაც ენაში ხშირად გაუმართავი ან ბუნდოვანი ფიტონიმების დამკვიდრებას განაპირობებს. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია რიგი შესწორებანი. ამ თვალსაზრისით ახალ ლექსიკონში („მცენარეთა სახელების კრებისთი ლექსიკონი“) არაერთი ცვლილება განხორციელდა.

ცვლილებისას ამოსავალია: მცენარის ბოტანიკური მონაცემი და ქართულ ოფიციალურ სახელთა შესაბამისობა თანამედროვე ლათინურ ნომეკლატურასთან, ქართულ სალიტერატურო ენის ნორმებთან; ოფიციალურ სახელთა მკაფიოობა, გავრცელება, ენობრივი ტრადიცია და სხვ.

ლექსიკოგრაფიულ, დიალექტოლოგიურ, სამეცნიერო-ტერმინოლოგიურ მასალებზე დაკვირვება კარგად წარმოაჩენს ოფიციალურ სახელთა დამკვიდრების დინამიკას, რასაც ვითვალისწინებთ ალ. მაცაშვილის მიერ დადგენილი ზოგიერთი სახელის ცვლილებისას.

## მეგრულში ნასესხები რამდენიმე სიტყვის სემანტიკისთვის

1. ქართული ზმნური **გდ**- ძირის (მასდარი – **გდება**) შესატყვი-სად მეგრულში **რდ**- მიიჩნევა, მაგრამ მეგრული მასდარი **არდება** „მასხრად აგდება“ ნასესხები ჩანს და ქართულ აგდება-ს უნდა უკავშირ-დებოდეს (პროცესი გ → რ მეგრულში ცნობილია); ქართულს აღნიშნუ-ლი მნიშვნელობა უდასტურდება შესიტყვებაში **მასხრად აგდება**.

2. მეგრულ **დაშება**-ს, რომელიც ქართულიდან არის ნასესხები და გარკვეული ფონეტიკური ცვლილებით (დაშევა → დაშება) და-მკვიდრებული, „შავად ქცევის, გაშავების, ჩაშავების“ მნიშვნელობა არ გააჩნია (ამ მნიშვნელობით გამოიყენება საკუთარ **უჩა** „შავი“ ფუ-ძეზე დამყარებული **გაუჩორება**).

3. მეგრული **თანაქა** „კეცზე გადასაფარებელი თხელი თუნუ-ქის ნაჭერი“ აღმოსავლური ნასესხობაა, შესამღებელია – ქართულის მეშვეობით (შდრ. ქართ. დიალ. თანაქა || თანაქი „თუნუქის ჭურჭელი“ და თუნუქი „1. თხელი ფურცლოვანი რკინა, 2. თუნუქის ჭურჭელი“).

4. მეგრული **თუნჯია** „თუჯის პატარა ქვაბი“ თურქულიდან უნდა იყოს ნასესხები – თურქ. tunç „ბრინჯაო“ (ბ. გიგინეიშვილი).

5. ქართულიდან მეგრულში ნასესხებ **მამულ**-ს, ქართულისე-ბურ მნიშვნელობასთან ერთად, ახალი მნიშვნელობაც შეუძენია – „ვე-ნახი“, რომელსაც ო. ქაჯაია გადატანით მნიშვნელობად გვთავაზობს.

6. მეგრული **მორდება** „ხათრი“ – შდრ. **მორიდება** „1. რიდი, კრძალვა, მოკრძალება, 2. მოცილება, მოშორება (ვინმესგან ან რამის-გან...)“. მეგრულში ნასესხები სიტყვის მნიშვნელობა სათანადო ქარ-თული სიტყვის პირველი მნიშვნელობისაგან გამოიყვანება; მეორე მნიშვნელობა კი მეგრულში არ არის წარმოდგენილი.

7. **პილატოკი** || **პლატოკი** „ცხვირსახოცი“ მეგრულში რუსუ-ლიდან არის ნასესხები. სათანადო რუსულ სიტყვას (платок) ორი მნიშვნელობა აქვს: „1. თავსაფარი, თავშალი, 2. ცხვირსახოცი“. მე-გრულ **პილატოკში** **ი**-ს ჩართვა არაბუნებრივი **პლ** კომპლექსის სუპე-რაციისთვის მომხდარი პროცესია.

8. მეგრული **უმუშელა** „უმუშევარი, ზარმაცი“ სიტყვის ფუძეა ქართულიდან ნასესხები **მუშ**- (მასდარი **მუშაობა** „საქმის კეთება, მო-ქმედება, შრომა, გარჯა, ჯაფა“).



ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თ. გაბროშვილი**